ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

მერაბ ლებანიძე

# თეატრალიზებული ცხოვრება
# ცხოვრებისეული თეატრი

ბათუმი
2018

**რედაქტორი:** თეიმურაზ კეჟერაძე

**რეცენზენტები:** ზაზა სიხარულიძე
ბესო კუპრეიშვილი

**დიზაინი:** ანა ლებანიძე
მაგდა ლებანიძე

„კომუნიზმში“ - ვერ ვიცხოვრეთ!

ვიცხოვრეთ - „უძრაობის ხანაში“

„პერესტროიკამ“ დაშალა „სსრკ“

და

ქართველებმა ჩავთვალეთ, რომ

თავისუფლები ვართ?!

„მთელი ცხოვრება ის ისწავლე - როგორ იცხოვრო“
სენეკა

საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო და... აჭარაში, ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდიც დადგა. ამის შესახებ ერთი საგაზეთო სტატია უფრო ბევრის მთქმელი იქნება, ვიდრე ჩემი მონათხრობი, მაგრამ მინდა ვთქვა, როდესაც 2003 წლის 6 მაისს ბატონი სააკაშვილი გაჰკიოდა – „ასლან აბაშიძე აჭარიდან გავაძევეო“, – როგორც ყოველთვის, უსინდისოდ ცრუპენტელობდა, ვინაიდან ა. აბაშიძეს იმ დროისათვის გემებით, თვითმფრინავებით და არ ვიცი კიდევ რა გზებით, მთელი თავისი ქონება უკვე გატანილი ჰქონდა (გადაფურცლეთ იმდროინდელი ყველა გაზეთი). აბაშიძე ელოდებოდა მისთვის მომგებიან მომენტს, მას სჭირდებოდა სამშობლოდან დევნილის მანტია. ხიდების აფეთქება იყო ძალის დემონსტრირება, ეფექტური სვლა, რაც ასევე ძალიან ხიბლავს სააკაშვილს. საერთოდ, მან ძალიან ბევრი რამ ისწავლა აბაშიძისაგან. თუ შეადარებთ მათ სატელევიზიო გამოსვლებს, ისინი ერთი-ერთში ჰგვანან ერთმანეთს.

აბაშიძემ კი აჭარა დატოვა მაშინ, როდესაც დაინახა, რომ რეგიონების ნაწილი განუდგა და ბათუმის მოსახლეობამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

... ეს ისე, დღევანდელი ოპოზიციის გასაგონად.

ობიექტურობიდან გამომდინარე - ის, რომ „მხედრიონი“ ვერ შემოვიდა აჭარაში, ეს ნამდვილად ა. აბაშიძის დამსახურება იყო.

ის, რომ დღეს ბათუმის მნიშვნელოვან ნაწილში თურქები ბინადრობენ, ეს მ. სააკაშვილის „ღვაწლია“.

# ჩვენი ალერსიანი და სასტიკი მხეცი

— „კარგი ამინდი დაგახვედრეთ," — ეს იყო პირველი ფრაზა, რომელიც წარმოთქვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ასლან აბაშიძემ ბათუმში, მას-მედიისათვის გამართულ საინფორმაციო სააგენტო „აჭარის" პრეზენტაციაზე.

ჟურნალისტთა 50-კაციანი დელეგაცია 10 მარტს თვითმფრინავითა და აუგზნებელი სინდისით გაემგზავრა ბათუმს, რათა ახალი საინფორმაციო სააგენტოს პრეზენტაცია და იტალიური ოპერა საკუთარი თვალით ენახა. მას-მედია აშკარად ელოდა სენსაციას თუ არა, მოულოდნელობას მაინც, მაგრამ ხელში შერჩა პროტოკოლური ბრწყინვალება, მკაცრად ოფიციალური განაწესი, ბაროკალური ვახშამ-სადილები და... ცხელი წყალი ქობულეთის სასტუმრო „კოლხეთში".

პრესკონფერენცია იმავე დღესვე გაიმართა უზენაესი საბჭოს შენობაში და, ძირითადად, მიეძღვნა ახლადშექმნილ საინფორმაციო სააგენტოს, საოპერო პრემიერას, უშიშროების მეფესა და, ნაწილობრივ, გაზეთ „7 დღეს.

საინფორმაციო სააგენტო „აჭარა" იმავე შენობაშია მოთავსებული და მისი ხელმძღვანელია 21 წლის ფრიად პერსპექტიული და სანდომიანი ახალგაზრდა თამაზ ბაკურიძე, რომელიც ადრე უზენაესი საბჭოს პრესცენტრში მუშაობდა და რომელიც პრესკონფერენციაზე უფრო მდუმარე ზრდილობით გამოირჩეოდა, ვიდრე ენაწყლიანობით. სამაგიეროდ, ბ-ნი ასლან აბაშიძე ამჟღავნებდა ჟურნალისტებთან აქტიური კონტაქტის დაუფარავ სურვილს.

უშიშროების მეფთან გამძაფრებული ურთიერთობების ფონზე პრესკონფერენცია აღიქმებოდა როგორც საინფორმაციო საშუალებების საკუთარ პოზიციებში დარწმუნების, „მოთვინიერებისა" და პერსპექტივაში კარგი ქცევისათვის წახალისების მცდელობად.

ბ-ნ ასლან აბაშიძის ინტერესი ეპიკური ოპერებისადმი ძალზე დასაფასებელია, თუმცა, შემდგომში აჯობებდა, ლირიკულ-ფსიქოლოგიური ჟანრისთვისაც მიექცია ყურადღება, განსაკუთრებით დაძაბული პოლიტიკური მიკროკლიმატის ფონზე. მან აღნიშნა, რომ გრძნობს ინფორმაციის ნაკლებობას აჭარის შესახებ. ამიტომაც შეუწყო ხელი სააგენტოს დაარსებას და იმედოვნებს, რომ საქართველოს მოსახლეობა მიიღებს ობიექტურ ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. თუმცა, დასძინა, რომ „აჭარის საწინააღმდეგო ინფორმაციას არასოდეს გადასცემს."

აჭარის ლიდერმა დაადასტურა უშიშროების მეფთან მისი საკმაოდ გართულებული ურთიერთობა, აგრეთვე ფრაზა „Я уберу Абашидзе", რომელიც იგორ გიორგაძეს მისთვის პირადად უთქვამს. ამავე დროს, უარყო „Московские новости"-ს კორესპონდენტის ინფორმაცია, თითქოს რუსეთის მთავრობამ აჭარას გამოუყო 100 მილიონი მანეთი.

მსუბუქ რისხვას სატელევიზიო პროგრამა „ალიონიც" ვერ გადაურჩა, რომელმაც თავის დროზე არ გადსცა ბ-ნ ასლან აბაშიძესთან ინტერვიუ. ამ ფაქტს კი დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

წამოიჭრა აგრეთვე საკითხი კონტროლის პალატის შესახებ, რომელმაც „რამოდენიმე მილიონი დოლარი წაიღო, ხოლო სახელმწიფოს მეთაურს ამის შესახებ დროზე არ მიაწოდეს ინფორმაცია".

ბ-ნი აკაკი მიქაძის შეკითხვაზე, თუ რატომ სურთ მისი ფიზიკური განადგურება, ასლან აბაშიძემ საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი გასცა: „ესენი არიან ძალები, რომელთაც არ სურთ სტაბილურობა და მშვიდობა აჭარაში და, საერთოდ, საქართველოში." აქვე მოვისმინეთ რამოდენიმე ვერსია მისი სავარაუდო მკვლელობების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა პიროვნებებსა და ორგანიზაციებს ჰქონდათ დაგეგმილი და რომლებიც მანვე გამოამჟღავნა. უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრებები ზედმეტად ჰიპოთეტური ხასიათის და ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის ვლადიმერ გლადიშევისა და ასლან აბაშიძის ურთიერთობის „სინქრონიზმისა და ჰარმონიულობის" შესახებ, ეს უფრო „პოლიტიკური ტეიქსია", ვიდრე თანამოაზრეობა ან აჭარული მშვიდობისათვის თავდადება. ნიშანდობლივია აჭარის ხელმძღვანელის ფრაზაც: „თუმცა გლადიშევი განთავისუფლებულია თანამდებობიდან, რუსეთის ჯარი ისევ დარჩება რეგიონში". მანვე დაადასტურა მოსაზრება, რომ სასაზღვრო ჯარში ქართველებიც იმსახურებენ.

პრესკონფერენცია შამპანურის გახსნა-განუწევით დაიწყო და დოკუმენტური ფილმის ჩვენებით დასრულდა. თუმცა კორიდორში ჟურნალისტების კოჰორტა ისევ შემოერტყა „აჭარის ლომს". რიგი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, არ მოგვეცა მასთან კერძო საუბრის საშუალება.

მეორე დღეს, 11 მარტს, ჟურნალისტთა დელეგაცია იმყოფებოდა სარფში, სადაც მოინახულა საბაჟო და თურქეთ-საქართველოს საზღვარზეც დაადგა ფეხი. აქვე ახლადგახსნილ მაღაზიაში, რომლის სახელწოდებაა „დიუტი-ფრი", მეპატრონემ აგვიხსნა, რომ ეს არის ამერიკაინგლის-საქართველოს ერთობლივი მაღაზია, რომელიც სწრაფად და იაფად მოემსახურება საბაჟოზე გამავალ მგზავრებს.

განსაკუთრებით „სასიამოვნო" სანახავი იყო თურქეთისა და საქართველოს საზღვარზე რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილის ხილვა. შემოლობილ ტერიტორიაზე რუსეთის დროშა იყო აღმართული.

შემდგომ დავათვალიერეთ ბათუმის სანაპირო, რომელიც ინტენსიური ტემპებით შენდება და ახლადგახსნილი კორტები. სწორედ აქ, კორტებზე გადაიკვეთა ქართული ინტელიგენციის ნაწილისა და მას-მედიის გასტრონომიული ინტერესები. ამ უკანასკნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპებით აითვისეს ბანანი და შამპანური, რითაც პირველებს საქმე გაუიოლეს.

საღამო დაგვირგვინდა პომპეზური ბრწყინვალებით წარმოდგენილი ოპერით, რომლის შესახებაც ცოტა ცალკე მოგითხრობთ.

წვიმიან დღეს გამომშვიდობება არ ყოფილა მხოლოდ სენტიმენტალური. ბ-ნი ასლან აბაშიძე თვითმფრინავის ტრაპთან დაგვხვდა და გულწრფელად გვეკითხებოდა: „ხომ არაფერი გეწყინათ?"

ასეთია აჭარის ლიდერი, ვისზეც ამბობენ, რომ ძალიან ცუდი კაცია, ან პირიქით, ძალიან კარგი; მაგრამ ვისგანაც პოლიტიკას თუ არა, სხვა ბევრ რამეს აუცილებლად ისწავლით.

**დავით ბუხრიკიძე**

აჭარის კულტურის მინისტრს
ბატონ ბიძინა მახარაძეს

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახე-
ლობის სახელმწიფო დრამატული თეატ-
რის მთავარი რეჟისორის მერაბ
ლევანიძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ბიძინა, I990 წლის 5 აპრილს აჭარის კულტურის სამინისტროს ბრძანებით დავინიშნე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის მთავარ რეჟისორად და სამხატვრო კოლეგიის თავმჯდომარედ.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული თარიღიდან დღემდე მე ვერ შევძელი ისეთი თეატრის შექმნა როგორიც მწამს. ამიტომ გთხოვთ გამანთავისუფლოთ მთავარი რეჟისორისა და სამხატვრო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

პატივისცემით, [signature] / მ.ლევანიძე

ქ.ბათუმი, 5 აპრილი I99I წ.

# რატომ გადადგა მთავარი რეჟისორი

## გვესაუბრება მერაბ ლებანიძე

ბათუმის კულტურული ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ამ ერთი წლის წინათ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მთავარ რეჟისორად დაინიშნა მერაბ ლებანიძე, ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ ბატონ მერაბთან. გავიდა მხოლოდ ერთი წელი, და მთავარმა რეჟისორმა დატოვა ეს თანამდებობა და ისევ რიგით რეჟისორად მუშაობა ისურვა. ამასთან დაკავშირებით წინა ინტერვიუდან ერთი ადგილი მინდა გავიხსენო. ჩემს შეკითხვაზე, ძალზე გაგიჭირდებათ თქვენი გეგმების შესრულება, ბატონო მერაბ-მეთქი, — მან მიპასუხა: თუ თეატრს ვერ მივეცი ერთი ხაზი, თუ ვერ გავხადე ისეთი, როგორიც მე მწამს, უნდა დავიხურო ქუდი, ყველას დიდი ბოდიში მოვუხადო, რომ მოვატყუე და უარი ვთქვა იმ იმედებზე, რომლითაც, თქვენი სიტყვით, ჩემს მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე არჩევას შეხვდნენ. ამ პასუხიდან გამომდინარე, მეჩვენება, ახალი შეხვედრისას ასეთი შეკითხვა გამიჩნდა.

— ბატონო მერაბ, რა მოხდა, რატომ თქვით უარი მთავარ რეჟისორობაზე?

— არაფერი არ მომხდარა. არადა, უნდა მომხდარიყო. ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როდესაც სიტყვებს არავითარი აზრი არა აქვს. ძველად, მაგალითად, სიტყვა კაცობის ტოლფასი იყო. ამიტომ მინდა დავუბრუნდე ძველ დროში.

— თავისთავად დრო ხომ არაფერს ნიშნავს. თქვენ ფიქრობთ, რომ ვთქვათ, I საუკუნეში ზნეობა უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს?

— I საუკუნეში ისეთი ზნეობა იყო, როგორიც იმ დროის შეეფერებოდა, ჩვენი ზნეობა კი სწორედ XX საუკუნის შესატყვისია.

— და მაინც უფრო კონკრეტულად პირველ შეკითხვას დავუბრუნდეთ.

— როგორც მოგახსენებთ, ერთი სეზონის წინ გავხდი მთავარი რეჟისორი და მაშინ უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავთან დავდე პირობა, რომ გავაკეთებდი ისეთი მოდელის თეატრს, როგორიც მე მწამს, რადგან თეატრს უნდა ჰქონდეს გარკვეული სახე და ეს უნდა განსაზღვროს მთავარი რეჟისორის მრწამსმა. რადგან, თუ ისევ ზნეობაზე ვილაპარაკებთ, ვერ შევძელი, მე არ უნდა ვიყო მთავარი რეჟისორი.

— რატომ ჩქარობთ, ბატონო მერაბ, ერთი წელი ხომ არც ისე დიდი დროა?

— დღეს ერთი წელი ათ წელიწადს უდრის, ისე ჩქარა იცვლება ყოველივე, იმდენი პრობლემაა, რომ აღარ შეიძლება ისეთი რიტმით ცხოვრება, როგორც თუნდაც ათი წლის წინათ ვცხოვრობდით. ჩემთვის ეს ერთი სეზონი 5 სეზონს უდრიდა.

— პირობის შეუსრულებლობის მიზეზს საკუთარ თავში ეძიებთ, თუ იმ კონტრებში, თეატრში რომ დაგხვდათ?

— მინდა ისევ ზნეობას დავუბრუნდე ხაზი. ყველა კაცმა მიზეზი პირველ ყოვლისა საკუთარ თავში უნდა ეძიოს, ძალზე ადვილია ყველაფერი სხვას დააბრალო, ან დროს, ან თეატრს. ყველაფერის გამართლება შეიძლება, თუ ადამიანი არ ითაკილებს. მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტია და მერე რომ ხედავ — თეატრში, რომლის მთავარი რეჟისორიც მე გახლდით, მაყურებელი არ მოდიოდა, ამიტომაც მე უნდა წავსულიყავი. ჩემი წასვლა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბათუმის თეატრი ცუდია, იგი უბრალოდ ისეთი არ არის, როგორიც მე მინდა.

— გეთანხმებით, მაგრამ ვფიქრობ, არც თქვენ უნდა იყოთ ცუდად, მაშ, რა მოხდა? მაინც როგორი უნდა ყოფილიყო თქვენეული თეატრი?

— ამის ახსნა ძნელია, თეატრალსაგან რომ ყოფილიყო, რეალურად უნდა გამეკეთებინა, მაგრამ... ილეთ რა, სანამ საქართველოში სოციალური პირობები არ გაუმჯობესდება, ხალხი არ ივლის თეატრში.

— თქვენ ფიქრობთ, ჩვენში ხალხს არ სცალია თეატრისათვის?

— უფრო სწორად, არ სცხელა. როცა რესპუბლიკის დროის მსახიობი იმაზე ფიქრობს, თუ სად იშოვოს კარაქი და ყველი, თუ არა ერთი თვის ხელფასი ბაზარში ერთჯერ წასასვლელად, როცა ათასი ყოფითი პრობლემა უწევს გადასაწყვეტი, ძნელია მასთან მუშაობა. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენზეც.

ამას წინათ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა დრამატურგ ალ. ჩხაიძის დია წერილი ჩვენი თეატრის პრობლემებზე. მასში რეალურად იყო ნაჩვენები თეატრის ცხოვრების ხელისშემშლელი ფაქტორები. მას მოჰყვა მწერალ ჭეშმა ჭაყვლის საპასუხო წერილი, რომლის ერთ ციტატას მოვიყვან, რადგან მასში კარგად ჩანს საერთოდ წერილის აზრი, — თეთრი თითბარით, თორემ ფეხსაცმელს თუნდაც ბოლდაფიდან ჩამოვიტანდებით, ამაზე მე გეპასუხებით, რომ რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებს თეთრი და სიტყვით არ ავლიათ, მაგრამ ბათუმში გასტროლებისას, მაგალითად, სახამ პარტიის საოლქო კომიტეტმა არ გაუსაღა ბილეთები, თეატრმა მუშაობა ვერ დაიწყო. მანამდე კი ოცი დღე დია სალაროზე გლოვდებოდნენ ბილეთების გაყიდვას, მაგრამ ამაოდ. დღეს ხალხის გონება, ჩვენდა სავალალოდ სხვა რამითაა დაკავებული.

— ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ თეატრი ჩვენი ცხოვრების ნაწილია, სარკეა. და მან უნდა აირეკლოს ჩვენი პრობლემები. გზა გვიჩვენოს, ასე ვთქვათ, მეგზური უნდა იყოს.

— მთელი ჩვენი ყოფა ისედაც თეატრი არ არის? იხილეთ, მაგალითად, მიტინგი, სესიები, ყრილობები, საუცხოესო სპექტაკლებია.

— ფუნდურად ამ აზრისაგან გამოხვედით, რომ თეატრი საჭირო აღარ არის.

— არა. თეატრი ზედმეტი, რასაკვირველია, არ არის. ოღონდ თეატრმა დღეს ჩუმად და პატიოსნად უნდა აკეთოს თავისი საქმე. მჯერა, მოვა დრო, ბათუმის თეატრში ბილეთებს ვეღარ იშოვი, ამისათვის კი თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

— და როდის მოვა ეს დრო?

— როცა კეთილდღეობა როგორც მაყურებლების, ისე მსახიობების ყოფა-ცხოვრებას, ბრეხტი ამბობდა, ჯერ დავაპუროთ ხალხი და მერე გავართოთო.

— ლენინგრადის ბლოკადის დროს ნაშიმშილევი ხალხი სიმფონიური ორკესტრის კონცერტებზე დადიოდა...

— ეს იყო გამონაკლისი. მე ვუყურებდი გერტრუდას 1922 წელს, როცა რუსეთში შიმშილობა მძვინვარებდა, ვახტანგოვმა დადგა „პრინცესა ტურანდოტი“ და იგი დღესაც ცოცხალია. შოსტაკოვიჩმა მე-7 სიმფონია ბლოკადის დროს შეასრულა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ასე არ ხდება.

— შეიძლება ერთი განყენებული შეკითხვა დაგისვათ?

— ბრძანეთ.

— პესიმისტი ხართ თუ ოპტიმისტი?

— თავად განსაჯეთ. თეატრში მივიღეთ საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულება ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით. მასში წერია, რომ იგი ეფუძნება საკავშირო კულტურის სამინისტროს შესაბამის დებულებას, ე. ი. ჩვენი მსახიობებისათვის ხელფასის მომატების სისტემას და მოცულობას განსაზღვრავს რუსული, ე. ი. საბჭოური ტრადიცია. მე კი იმედი მქონდა, რომ საბჭოური ცხოვრებით აღარ ვცხოვრებდით, მაგრამ ჩვენ ისევ იმ წესებით ვცხოვრობთ. ამიტომ მე აღარც მაქვს იმედი. დებულებაში წერია, რომ უმაღლესი კატეგორიის მსახიობი მხოლოდ დასის ოცი პროცენტი უნდა იყოს, რა ვუყოთ თითქმის ყველა, თუკი იგი არსებობს? ეს ძალიან ჰგავს „ბოლშევიკურ ულუფას“.

— მსახიობისათვის, ხელფასის გარდა, არის თუ არა გათვალისწინებული რაიმე წახალისება, ვთქვათ, კარგი თამაშისათვის ან ბევრ სპექტაკლში მონაწილეობისათვის?

— არა, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო თანხას, რომელიც მსახიობს და ისიც მხოლოდ საქართველოს სახალხო არტისტს, თვეში 16-ზე მეტ სპექტაკლში თამაშისათვის ეძლევა. მსახიობის მუშაობის შეფასება მოჭრით, დაგეგმილად შეუძლებელია, რადგან იგი ხარჯავს ყველაფერს, რაც აქვს — სულს, გულს, გონებას, ენერგიას, ნერვებს. ვთქვათ, შეიძლება წინასწარ გაზომო, რამდენის მაღაროდან 4 ტონა ქვანახშირის ამოღება, მაგრამ ასე ვერ შეაფასებ, რა ღირს როლის თამაში. გააჩნია ვინ თამაშობს და როგორ თამაშობს. მსახიობმა უნდა მთელს რეპერტუარზე მუშაობა, ისე და სპექტაკლში მუშაობის ანაზღაურება ცალცალკე. ეს შეიძლება იყოს 100 მანეთი, შეიძლება 1.500, ე. ი. გასამრჯელო უნდა მიეცეს დახარჯული შრომის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით მქონდა ჩემეული მოდელი — გამოვეყო ბათუმის თეატრი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და გადავეცი ბათუმის პრეფექტურის გამგებლობაში. ქალაქს იმდენი ძალა კი უნდა შესწევდეს, რომ ერთი თეატრი მოუაროს. მაშინ შეიცვლებოდა თეატრის სტრუქტურა, არ გვექნებოდა გეგმები, თეატრი კვირაში მხოლოდ სამ სპექტაკლს უჩვენებდა, ამით მაყურებელთა დაინტერესებაც გაიზრდებოდა და ახალი დადგმების რაოდენობაც.

ხშირად უკვირთ, ინტელიგენცია ხელისუფლების მხარში რატომ არ უდგასო. მე მიმაჩნია, რომ მხარში დგომა შენი საქმის კარგად კეთებაა და არა გულზე მუშტების ბრაგუნი. თუ მე ჩემს საქმეს პროფესიულად და პატიოსნად ვაკეთებ, საქართველოს სასარგებლო ვარ და ამით ხელისუფლებასაც მხარს ვუჭერ.

— ამჟამად თეატრის რიგითი რეჟისორი ხართ...

— რას ვაპირებ (დამასწრო ჩემმა რესპონდენტმა)? კონკრეტულად — ფედერიკო ფელინის კინოფილმის „ორკესტრის რეპეტიცია“ მიხედვით შექმნილი ახალგაზრდა დრამატურგ გია ქაჯაიას პიესის დადგმას, ზოგადად — არ ვღალატობ ჩემს მრწამსს, რომ ზნეობა ადამიანობის განმსაზღვრელია.

— ღმერთმა შეგაძლებინოთ.

— გმადლობთ, ღმერთმა ყველას შეგვაძლებინოს.

ესაუბრა მარინა მითაიშვილი.

ვიღაცა იტყვის – „რა საინტერესო დროში ვცხოვრობთო“.

მე ვერ მოვნახე სიტყვა, რომელიც გამოხატავს ჩვენს ყოფას. ყველაფერი „აბსურდის თეატრს“ წააგავს. 1991 წ. სახელმწიფო ფულადი ნიშანი „კუპონია“. იგი არაფერში გამოიყენება, გარდა სურსათისა, კომუნალური გადასახადებისა და მატარებლის ბილეთისა. თითქმის ყველას რუსული ფული ან დოლარი აქვს. ვისაც ეს არა აქვს, ის როგორ ცხოვრობს, ჩემთვის ამოუხსნელი რებუსია. „ცხოვრება უფრო თეატრალურია, თუ თეატრია ცხოვრებისეული?!“ შექსპირის ტრაგედიებში არის თემა „შიშველი ადამიანისა“ – შიშველ სცენაზე ეს არის მეტაფორა – „სამყაროს თეატრი ან თეატრი სამყაროა“.

თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, ხელოვნების სტუდიის ხელმძღვანელმა ლეილა სეფერთელაძემ შემომთავაზა ბავშვებთან მუშაობა. იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ასეთი თავდადებით ეკიდებოდეს საქმეს. პირველი სპექტაკლი იყო „რწყილი და ჭიანჭველა“. მეგონა, რომ მაყურებელი შეაშინებდა ბავშვებს, მაგრამ პირიქით მოხდა. ბავშვები (5-დან 8 წლამდე) მაყურებლებში ეძებდნენ თავისიანებს, მიუხედადვად იმისა, რომ დავარიგე – დარბაზისაკენ არ გაეხედათ. ამბობენ, სპექტაკლმა კარაგად ჩაიარაო. მე მაინც უკმარისობის გრძნობა დამრჩა, უფრო სხვა რამ მინდოდა...

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ბავშვები ვერ დავაწყვეთ ოთხ რიგად სცენაზე. ზოგიერთებმა მითხრეს – „მე დედიკომ მითხრა პირველ რიგში დადექიო“. სულ ვფიქრობ, გამოდის, რომ მე სხვა მშობელზე ნაკლებად მიყვარს საკუთარი შვილი. აბსურდია – სიბეცეა – დანაშაულია. ამიტომაც ვურჩიე მშობლებს, რომ ბავშვებისათვის „კეთილი ამბავი“ იესოს შესახებ ანუ სახარება წაეკითხათ. განსაკუთრებით კი ის ადგილი, როდესაც კაპრენიუმის გზაზე მიმავალ მოწაფეებს იესომ ჰკითხა, თუ რაზე კამათობდნენ, მათ შერცხვათ თქმა, იესომ დაუძახა ბავშვს, დააყენა მათ შორის და უთხრა: „თუ ვინმეს უნდა პირველი იყოს, ის უნდა იყოს ყველაზე უკანასკნელი და ყველას მსახური“.

დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, რამდენმა მშობელმა გაიზიარა ჩემი რჩევა, მაგრამ მომდევნო სპექტაკლებში ეს პრობლემა ნაკლებად იჩენდა თავს.

შემდეგი სპექტაკლი იყო „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, რის შემდეგაც – უცნაური „რომეო და ჯულიეტა“.

ყველა ჩემი სპექტაკლის შექმნაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კობა ხოფერიას, რომლის ხედვა და ხელი გამორჩეულია, როგორც თეატრალური მხატვრისა.

# «მოუშარეთ ამ თეატრს», «მას დიდი მომავალი აქვს»!

ამ დღეებში თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულმა დრამატულმა თეატრმა ბათუმის თეატრალური ხელოვნების ბავშვთა სტუდია „ტიპ-ტოპს" უმასპინძლა. სპექტაკლით, რომლითაც ამჟამად თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგა, სტუდიამ დეკემბერში ბავშვთა თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკური კონკურსის გრან-პრი დაიმსახურა.

წარმოდგენას „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო" უკვე ჰქონდა გამოხმაურება ჩვენს გაზეთში, ამიტომ ამჯერად მასზე მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით. სპექტაკლი არ ეკუთვნის რომელიმე კონკრეტულ ჟანრს. მათ შორის არც მიუზიკლს, მიუხედავად ცეკვისა და სიმღერის სიუხვისა. მას არა აქვს გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი. სპექტაკლი გახლავთ უმთავრესად პლასტიკით, მუსიკით მხატვრულად გააზრებული საქართველოს ბედი, მისი ისტორია, ქართული ხასიათის ზოგადი შტრიხებით, მისი ნაკლითა და ღირსებებით.

სტუდიის რეჟისორის მერაბ ლებანიძისა და ქორეოგრაფ მერაბ დოლიძის საინტერესო თანამშრომლობამ, მათი ჩანაფიქრების შერწყმამ მოგვცა თეატრისა და ქორეოგრაფიის ორიგინალური ერთიანობა. სპექტაკლში წარმოდგენილი ხორუმი არც მარტო ცეკვაა და არც მხოლოდ რეჟისორის იდეა. ეს გახლავთ აზრით დატვირთული ახალი მხატვრული სანახაობა, რომელიც დიდ ემოციურ და ესთეტიკურ ეფექტს ახდენს. ასევე უჩვეულოდაა გააზრებული როგორც ფოლკლორული, ისე სხვა სახის ნებისმიერი ცეკვაც, რომელთაც ერნყმის სტუდიელთა მიერ შესანიშნავად შესრულებული ხალხური თუ თანამედროვე სიმღერები (ვოკალის მასწავლებელი — ლია თოფურიძე, არანჟირება ლევან ჩხარტიშვილის). სპექტაკლში ყველაფერი ერთ საერთო იდეას ემსახურება. რეჟისორის ჩანაფიქრს შესანიშნავ ფონს უქმნის მხატვარ კობა ხოფერიას სცენოგრაფია, რომელიც გამოირჩევა სისადავითაც,

**საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი:** კმაყოფილი ვარ უსაზღვროდ. მთავარი რა არის, იცით? ასე ამაღლებული რომ არის ბავშვების სული. ნამდვილი ზეიმია. რეჟისორმა ფოლკლორში მოძებნა საქართველოს ერთიანობის თემა. ყველა კუთხის ცეკვამ, სიმღერამ, ერთ ფერში შეკრა საქართველო. შესანიშნავადაა გავლებული თანამედროვე ხაზიც. არის საინტერესო დეტალები საქართველოს მწუხრისა და დიდებისა. ეს ყველაფერი ბავშვების მიერ იმდენად კარგად არის მოტანილი, რომ არ შეიძლება კაცმა ცრემლის გარეშე უყუროს. მე კმაყოფილი ვარ, რომ კიდევ ერთი კარგი საქმე კეთდება აჭარაში. ღმერთმა საქართველოს ნუ მოუშალოს ამგვარი ხელოვნება. ჩვენ მოწმენი ვართ აჭარაში მომხდარი მრავალი კულტურული მოვლენისა. ახლაც თითქოს ესტაფეტაა იმ წარმატებათა, რომელიც დიდებისაგან ბავშვებმაც გადაიღეს და გააგრძელეს. მთლიანობაში ეს ძალზე მაღალი დონეა. დიდი კმაყოფილება მინდა გამოვთქვა. მადლობა ყველას, ვინც სპექტაკლი შექმნა. ბავშვებმა ნიჭიერად წარმოაჩინეს მთელი საქართველოს ამაღლებული სული.

**ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი თენგიზ სუხიშვილი:** სპექტაკლში ძალიან კარგი ქორეოგრაფიული ნამუშევარია. სახეზეა შესანიშნავი პლასტიური გადაწყვეტა, რომელიც საინტერესოდაა შერწყმული მუსიკასთან. ეს არის რაღაც ახალი, მოიძებნა ახალი ფორმა. ვფიქრობ ამ პატარა თეატრს ძალიან კარგი პერსპექტივები აქვს. მას ჰყავს ძალიან ნიჭიერი ქორეოგრაფი და რეჟისორი. ამ ბავშვებს, რომლებიც ასე კარგად ცეკვავენ, მღერიან, გამოირჩევიან არტისტიზმით, მე ვფიქრობ, დიდი მომავალი აქვთ. მათ შესანიშნავად დაიწყეს.

**ქორეოგრაფი რეზო ჭანიშვილი:** აღფრთოვანებული ვარ, ისევე როგორც აქ შეკრებილი ნაღები საზოგადოების ყოველი წევრი, თუმცა ორმაგადაც, რადგან ბათუმელი ვარ. ამ სპექტაკლის ჩანასახი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ვნახე სტუდიის რეპეტიციაზე, ვიცოდი, რომ დიდი საქმე კეთდებოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

**რეჟისორი თეორეტიკოსი, პროფესორი მიხეილ ბიძიმურელი:** ეს სპექტაკლი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, რამდენი რამ შეიძლება თქვა ხელოვანმა ცეკვით, მუსიკით, ამ რთულ დროში იმ დიდ სატკივარზე, რომელიც გაწუხებს. ბათუმელმა ბავშვებმა დაამტკიცეს, რომ ეს შეუძლიათ. ვაშა მათ ხელმძღვანელებს, ამ მხარეს, რომელიც გენეტიკურად ასე ფეთქავს უკვდავ ხორუმში. დიდი მადლობა.

**რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი:** ძალიან სასიამოვნო სანახაობა იყო. ბავშვები მუშაობენ გატაცებით და შრომის პროცესში სწავლობენ, ითავისებენ სამსახიობო ოსტატობას. სტუდიის ხელმძღვანელებმა შექმნეს მყარი საფუძველი, რომელზეც შეიძლება ყველაფრის აგება. ბავშვები ძალზე გახსნილები არიან. ისინი უახლოვდებიან პროფესიონალიზმს და ამიტომ სპექტაკლიც შედგა.

**მარინა მითაიშვილი**

**ზეამოცანა და გამჭოლი მოქმედება მთავარია თეატრალურ მოძღვრებაში.**

**ზეამოცანა** – მინდა გავხდე ქვეყნის პრეზიდენტი.

**გამჭოლი მოქმედება** – როგორ მოვეხერხო ეს?

საქართველოში უნდათ პრეზიდენტობა, რათა გახდნენ მილიონრები. დასავლეთში ჯერ ხდებიან მილიონერები, შემდეგ პრეზიდენტები (ყველაფერი უკუღმართი ჩვენთან რატომ უნდა იყოს?!).

**ზეამოცანა** – პერსონაჟის ყველაზე სანუკვარი ოცნება, რომელიც უნდა იყოს სახიერი, ქმედითი და იწვევდეს ემოციურ სწრაფვას მიზნისაკენ.

**გამჭოლი მოქმედება** - ქმედებათა ჯაჭვი, მიზანმიმართული შედეგის მისაღწევად, ანუ გზა, რა ხერხებითაც უნდა მივაღწიო მიზანს, ჩემი (გმირის) ცხოვების წესი.

გამჭოლი მოქმედება არ უნდა დავაშოროთ ზეამოცანას. გამჭოლი მოქმედების არსია – ზნეობრივი საწყისი, რომლისთვისაც ხდება დაპირისპირება სცენაზე. ზეამოცანის არსია – ზნეობრივი პოზიციის დამკვიდრება, ჩემი პოზიცია.

რეჟისორებისათვის

გამჭოლი მოქმედების და უკუგამჭოლი მოქმედების განსაზღვრა ნიშნავს კონფლიქტის დაკონკრეტებას.

**არსებობს დრამატურგის იდეა – ზეამოცანა.**

**არსებობს რეჟისორის იდეა – ზეამოცანა.**

**ზეამოცანა არის – ჩემი რეჟისორული იდეა. ადამიანმა ჩაიხედოს საკუთარ სულში, მოწოდება სულიერებისაკენ.**

**გ. ტოვსტონოგოვი**

**„ზეამოცანა - ოცნებაა, რომელიც გულში და გონებაში გაჭედილი ლურსმანივით მოსვენებას არ აძლევს გმირს“.**

**ნ. გოგოლი**

**თანამედროვე ამერიკელი პედაგოგი,**
**სამსახიობო სკოლის დამაარსებელი ჰოლივუდში -**
**ი ვ ა ნ ა ჩ ა ბ ა კ ი:**

„პირადი განცდების კვლევა-ძიება და მათ არსში წვდომა სამსახიობო ხელოვნების განუყოფელი ნაწილია.

ეს საყოველთაო ჭეშმარიტება კ. სტანისლავსკის დამსახურებაა.

განსხვავება ჩემ ტექნიკასა და სხვა მეთოდებს შორის იმაშია, რომ მე ვასწავლი მსახიობებს - გ ა ნ ი ხ ი ლ ო ნ ს ა კ უ თ ა რ ი ე მ ო ც ი ე ბ ი არა როგორც ს ა ბ ო ლ ო ო რ ე ზ უ ლ ტ ა ტ ი, არამედ როგორც ხ ე რ ხ ი - დ ა ს ა ხ უ ლ ი მ ი ზ ნ ი ს მ ი ს ა ღ წ ე ვ ა დ“

ი ვ ა ნ ა  ჩ ა ბ ა კ ი:

,,მსახიობმა უნდა მონახოს საკუთარ თავში -

შ ი ნ ა გ ა ნ ი  ტ კ ი ვ ი ლ ი!

ეს ტ კ ი ვ ი ლ ი უნდა იყოს ისეთი ძ ლ ი ე რ ი,

რომ ნებისმიერ შემთხვევაში მისცეს მსახიობს ძალა -

მ ი ზ ნ ი ს  მ ი ს ა ღ წ ე ვ ა დ“

ი ვ ა ნ ა   ჩ ა ბ ა კ ი :

,,თუ შინაგანი ტკივილი რ ე ზ ო ნ ა ნ ს უ ლ ი ა

დასახული მიზნისა,

მაშინ მსახიობი იგივდება პერსონაჟის სიტუაციასთან,

ეხმარება რა მას

მიზნის მიღწევაში, რასაც პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი   მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა

აქვს მისთვის, როგორც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს   და

არა მხოლოდ როგორც მსახიობისათვის,

რომელიც განასახიერებს გმირს.''

ი ვ ა ნ ა  ჩ ა ბ ა კ ი:

„მე ვცდილობდი მივმხვდარიყავი,

თუ როგორ შემეძლო დავხმარებოდი მსახიობებს.

სწორედ ამან წარმოშვა ჩემი მეთოდიკა -

შ ი ნ ა გ ა ნ ი  ტ კ ი ვ ი ლ ი ს  დ ა ძ ლ ე ვ ი ს  თ ე ო რ ი ა“

ი ვ ა ნ ა  ჩ ა ბ ა კ ი:

„მ ს ა ხ ი ო ბ ო ბ ა - საშუალებაა, ზეგავლენა იქონიო მოვლენათა რიგზე და შეცვალო ის, რასაც ვერასოდეს შეცვლიდი რეალობაში!

წარმატებული, პროფესიონალი მსახიობი რომ გახდე,
აუცილებელია:

მ ი ზ ა ნ დ ა ს ა ხ უ ლ ო ბ ა!
შ ე უ პ ო ვ რ ო ბ ა!
გ უ ლ ი ს ხ მ ი ე რ ე ბ ა!
გ ა მ ბ ე დ ა ო ბ ა !
რ წ მ ე ნ ა - ს ა კ უ თ ა რ  თ ა ვ შ ი!
ს წ ა ვ ლ ი ს  მ უ დ მ ი ვ ი  ს უ რ ვ ი ლ ი!
დ ა უ ღ ა ლ ა ვ ი  შ რ ო მ ა!
დ ა უ ღ ა ლ ა ვ ი  შ რ ო მ ა. . .
დ ა უ ღ ა ლ ა ვ ი  შ რ ო მ ა. . .

# «დარისპანის გასაჭირი»

## ანუ სამყარო გადაგვყლაპავს თუ ბიბლიური მცნებები დაგვავიწყდება

...რატომ «დარისპანის გასაჭირი»?
...რი დარისპანს შევხვდებით სცე-
... და როდის ვნახავთ პრემიერას?
...თხვებზე თავად რობიკო სტუ-
...გვიპასუხებს, რომლის მუშაობა
...ქმის თეატრში ბედნიერება რო-
...ვენი ქალაქისათვის, მარტო ჩემი
... არაა, მაგრამ არ გვაწყენდა
...-ხშირად გაგვემეორებინა,
...ლო, ვისაც ეკებოს, არ დაა-
...დეს, რომ ასეთი მასშტაბის ხე-
...ანს ყურადღებაც მასშტაბური
...დება.
... როგორი გასაჭირის გადმოტა-
...იროებთ სცენაზე?
... მე მგონი საქართველოში ყოვე-
...ს იყო გასაჭირი...
...ამ კუთხით?
...ყველანაირი კუთხით. ეს არის ზა-
...ირველი დამოუკიდებელი ნაწა-
...ი. მე ვეხმარები. დიდი ხანია შევა-
... რომ მას რეჟისორობის გარკვევ-
...იჭი აქვს. ეს პიესა პატარაა,
...მ, როცა მან თავისი ჩანაფიქრი
...ო, დებიუტისთვის შესაფერისად
...ლე. ძალიან მომეწონა. მან გაა-
...კეთოვა ნაწარმოები, მოქმედება
...ნდელობაში გადმოიტანა. თუ-
...ან პრობლემებიც შექმნა, რადგან
...ოში ოჯახის შექმნა რთული იყო.
... ძნელია, მაგრამ ტექნიკა შეიცვა-
...ნაც მე ვერ ვიტყოდი, რომ დღეს
...ამაინც მეუღლეებს ეძებენ. საქა-
...ოში პატარა სექსუალური რე-
...ეა მოხდა, თავისუფლება შემო-
...ამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,
...ენდობა და ბოიფრენდობაც
... ფეხს. ვერ გავაქცევით ამ სინა-
...ეს და ოჯახები ინგრევა. სპექტა-
...ირითადი აქცენტი იმაშია, რომ
...ავისი ქალიშვილისთვის წესიერ
...ხრდის ეძებს. მან იგი ჩავე-
... გაზარდა, რადგან ეშინია, გარე-

რომ მასზე უარყოფითად არ იმოქმედოს, რათა შეინახოს თავისი სიწმინდე. ახლა თვითონ დაჯდება, რომ მოუძებნოს ვაჟი... და ესეც, მოგეხსენებით, როგორი ძნელია ბევრი მიზეზის - მამაკაცთა ნარკომანიის, ლოთობის, უნიათობის, უმუშევრობის გამო.

**- პრობლემა რაშია?**

- პრობლემა ის არის, რომ რაც უნდა საშინელება ტრიალებდეს ქვეყანაში, რაც უნდა დაეცეს ზნეობა, როგორც უნდა გადაიხლართოს ერთმანეთში სიკეთე და ბოროტება, მაინც არ უნდა დავივიწყოთ ბიბლიური მცნებები, რადგან თუ ეს ვერ გავაკეთეთ, სამყარო გადაგვყლაპავს. არეულობაში ადამიანს ეჩვენება, რომ ეს ღირებულებანი კარგავს ფასს, მაგრამ ასე არაა, ისინი მუდამ იარსებებენ. ოჯახი მუდამ უნდა იყოს ოჯახი. შეიძლება არა ისეთი ტრადიციული, როგორსაც მე ჯერ კიდევ მოვესწარი ანუ პატრიარქალური, როცა ერთად ვიკრიბებოდით სადილზე... მაგრამ მაინც ესაა თავშესაფარი დაუნდობელ გარემოში, აქ იზრდებოდი, ყალიბდებოდი, იცოდი, რომ აქ გაგამხნევებდნენ, სადაც შენი პატარა ქვეყანაა.

**- თეატრი თავისთავად არის ერთგვარი მასწავლებელი და რახან შეეხო ამ თემას, იქნებ იმ მიზნითაც, რომ საქართველოში ნაკლები არჩევანია ნამდვილი მეორე ნახევრის პოვნისა ბევრი გარემოების გამო. ეს უფრო ლატარიის თამაშს ჰგავს, თუ გაგიმართლა, ხომ კარგი თუ არადა, რა ვუყოთ...**

- იცით, ეს პიესა ისეა დაწერილი, კანდიდატი ერთია მხოლოდ, არჩევანი არ არის.

**- და საქმეც ესაა, რომ არაა... ერთადერთი, განუმეორებელი, მშვენიერი და პერსპექტიული ოსიკო...**

- იცით, ეს სატირული შეხედულება ამ პიესის გმირებზე, რასაც თავად ავტორი ძალიან უკმაყოფილოდ უყურებდა, მართლაც გავრცელებულია, კაროჟანა ქართულ ენაში შემოვიდა როგორც პრანჭია, საცოდავი, მეტიჩარა, უშნო, დასაცინი გოგოს სახელი. მა-



ხსოვს მიშა რომ დგამდა ამ პიესას, მოვიდა სერგო კლდიაშვილი, შვილი დავითისა, მოიტანა მამის წერილები, სადაც ის გამოხატავდა უკმაყოფილებას ყოველი პრემიერის შემდეგ. მიშამ გაგვანდო ჩვენც, რომ სხვაგვარად აპირებდა დადგმას და მართლაც მისი სპექტაკლის გმირები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, არ დაცინოდა მიშა. იქ არ იყო სპექტაკლის ნიანგისებური გადაწყვეტა. მერე მე და თემურ ჩხეიძემ დავდგით «სამანიშვილის დედინაცვალი», აქაც საკმაოდ ტრაგიკული ნოტა ჟღერდა, შემდეგ ანდრო ენუქიძემ და მე დავდგით «ირინეს ბედნიერება», სადაც ზაზა პაპუაშვილი და ნინო კასრაძე თამაშობდნენ ბრწყინვალედ. ვთვლი, რომ ეს იყო პატარა შედევრი, რომელიც ჩვენს თეატრში ბოლო ათი წლის განმავლობაში დაიდგა. სამწუხაროდ, რადგან სცენაზე ისხდა მაყურებელიც (ასეთი ჩანაფიქრი გვქონდა), ბევრმა ვერ ნახა. ისიც ტრაგიკომიკური იყო, ე. ი. რაღაც გამოცდილება ჩვენს თეატრს ასეთი სერიოზული დამოკიდებულებისა ამ ისტორიებთან აქვს. მეჩვენება, რომ ახლა ჩვენი სპექტაკლი უფრო დრამატული, მძაფრი და ულმობელია, ვიდრე ტრაგიკომიკური. მეჩვენება, რადგან ჯერ ვმუშაობთ და კარგად არ ვიცით, რა გამოვა. ახლა მთავარია თამაშის სტილი. თან თეატრალური უნდა იყოს, ამავე დროს ძალიან მართალი, ძალიან ტრაგიკული, მაგრამ ამავე დროს

ყვირილი გამოგვივიდეს. ჩვენ არ გვინდა რედაქტირება გავუკეთოთ, გადავწეროთ ეს პიესა. ეს კაცი ბრწყინვალე მწერალი იყო, ის წერს იმერულ დიალექტზე უბრწყინვალესად. საერთოდ კი, ჩვენი უმდიდრესი ენა პროტოკოლის ენად აქციეს. პირველად უცხოეთში რომ ჩავედი და ჩვენი ემიგრანტების ქართული მოვისმინე, გავვოცდი, ისინი ლაპარაკობენ ნატურალურად, შეუნარჩუნებიათ ქართული კილოების ობერტონები. მე მეკითხებოდნენ, რა ენაზე ლაპარაკობო.

**- რაღაც ახალს ვნახავთ, ალბათ, თუნდაც იმის გამო, რომ ორი რეჟისორი ჰყავს სპექტაკლს...**

- ორი რეჟისორი კარგი არაა.

**- თქვენგან ერთი მეორეს ჩანაფიქრის გადმოცემაში ეხმარება თუ თანაავტორები ხართ?**

- არა, მე და ზაზა თავიდან შევთანხმდით, რომ ერთად დავიწყებდით. ჩვენს თეატრში გვინდა გავიმეოროთ ეს ოდნავ სხვანაირად ან შეიძლება ძალიან სხვანაირადაც. არის რაღაც, რაც არ მომწონს და ვასწორებ. ჩვენ ახლა თანაბრად ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი მოწაფეა და მე მეტი უფლებები მეძლევა. მე ვასწავლე მას თავისთავად, ყველა ჩემს სპექტაკლშია დაკავებული, ამავე დროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნაც გადავეცი როგორც შემეძლო. ამიტომ რაღაც თუ არ მომეწონა, ვეტყვი, თან დავუმტკიცებ რატომ ან თვითონ დამიმტკიცებს. ბევრი რამ ძალიან მომწონს. მე უფრო ბოლომდე მივიყვან მის ჩანაფიქრს, გამოცდილება მაინც თავისას შვრება.



**- ჩვენი მსახიობები დიდი ხნის განმავლობაში უმოქმედოდ იყვნენ და შეიძლება ვთქვათ, რომ არ არიან ფორმაში...**

- სწორედ ამის გამო ვეჩხუბები მათ, არავის არ აინტერესებს, რატომ არა ხარ ფორმაში. ეს შენი პრობლემაა, მაყურებელს ვერ ეტყვი: იცით, მე ფორმაში იმიტომ არა ვარ, რომ... ჯერ ერთი, საკმაო რაოდენობის როლებიც უთამაშიათ უმოქმედობის პერიოდში.



ხომ იცით, რევოლუციის შემდეგ ყველა ყველაფერს ცუდ დროს აბრალებს. მე ამას დიდ უზნეობად ვთვლი. ხანდახან მოქმედ თეატრშიც არიან მსახიობები, რომლებსაც წლობით არ აძლევენ როლს ან რაღაც სხვა პრობლემის გამო ვერ თამაშობენ.

**- გამახსენდა თქვენი პასუხი წინა ინტერვიუს დროს - თუ კაცმა ცურვა იცის, იგი რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგაც გასცურავსო... როგორ ცურავენ ჩვენი მსახიობები?**

- კარგად ცურვა, საერთოდ, ერთეულებმა იციან. ფეხსაცმლის კერვის ოსტატიც კი ძალიან ცოტაა. რაც თუმანიშვილი წავიდა ინსტიტუტიდან, ჩვენთან სკოლაც კი არაა, თუმცა, კი ცდილობენ მისი მოწაფეები, მაგრამ ვერ ვატყობ, გამოსდიოდეთ.

**- თქვენ რატომ არ ასწავლით?**

- ჯერ ერთი, მერიდება, მეორე - თეატრალურ ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლი რომ დავდგი, მაშინ მივხვდი, რომ თუ ვასწავლე, მაშინ თეატრს უნდა დავანებო თავი. პედაგოგობა შეწირული ადამიანების პროფესიაა. რეჟისორი მაინც პედაგოგობს რეპეტიციებზე, მსახიობებს ასწავლის რა და როგორ ითამაშონ. მე პირადად მეზიზღება, როცა...რა იცით? როცა ასწავლი, შენ უნდა ითამაშო, რომ ყველაფერი იცი, მერე კი შინაგანად მართლაც შეგეპარება ეჭვი, ჰოა, რომ მართლაც ყველაფერი იცი, ხდები თვითდაჯერებული დებილი და ნელ-ნელა წყვეტ ზრდას. ქართველი მსახიობი უნიკალურია, მაგრამ როცა საქმე შეეხება ასეთ პიესებს...«დარისპანის გასაჭირი» დაწერილია ჩეხოვის გავლენით. ამ პერიოდში უკვე იბსენი არსებობს, ჩეხოვმა უკვე შექმნა რამდენიმე პიესა, მოსკოვში გაიხსნა სამხატვრო თეატრი, რაც მსოფლიოში თეატრალურ რევოლუციას უდრიდა. რეალისტური თამაში არ არის მხოლოდ ისე ლაპარაკი, ვითომ მართალი ხარ. ეს ძალიან რთული ხელოვნებაა. ქართველს ძალიან უჭირს ასეთი სტილით თამაში, მისთვის იჯდეს და ჩაი დალიოს ეს არ არის თეატრი და მართალია, პოეზია თითქოს აკლდება სპექტაკლს, მეტაფორები დამალულია... ისეთი დრამატურგი, როგორიც ჩეხოვია, ჩვენთან არ იდგმება პრაქტიკულად. ერთხელ დადგეს, ისიც არვარგოდა. თურქეთში, გადარევასა ვარ, სულ დგამენ ჩეხოვს. არადა, ჩეხოვის პიესები, ეს უდიდესი აღმოჩენაა ეფროსის, თეთრი ლექსითაა დაწერილი. «დარისპანის გასაჭირის» დადგმაც შეიძლება ძალიან რეალურად ყოფილიყო, მაგრამ ზაზამ გააკეთა ძალიან თეატრალურად და მე ცოტა მიწაზე ვსვამ.

**- მსახიობები მოგყვებიან?**

- მოგყვებიან, მაგრამ როგორ, არ ვიცი - ძალიან სიამოვნებით თუ... ძალიან გაუჭირდათ იმათაც და მეც, რაღაცები ჩემთვისაც აღმოვაჩინე. სხვაა, რა სპექტაკლი გამოგვივა, ეს უკვე ბავშვის დაბადებას ჰგავს, ჩვენ ეს სასიყვარულო აქტი ჩავიდინეთ და ახლა იქიდან ვინ დაიბადება, არავინ იცის - რამდენი თითი ექნება, ელამი იქნება თუ...

**- არა, მახინჯი არ იქნება ნამდვილად, დარწმუნებული ვარ.**

- სხვათა შორის, მახინჯი ბავშვები უფრო უყვართ, ვიდრე ჯანსაღი, სიყვარულს არ დავაკლებთ.

**- ერთი განყენებული შეკითხვაც, რადგან ქართველის ბუნებაზე ისაუბრეთ, ხომ არ გიწევდათ ხანდახან, თქვენდა უნებურად, მაყურებლის დუდუკზე სიარული?**

- ბუენოს, აირესის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში დავდგი ბერტოლდ ბრეხტის «არტურო უის კარიერა». არტურო უი იყო ჩიკაგოს მაფიოზი, ბრეხტმა ამ პერსონაჟში ჰიტლერი იგულისხმა, ანუ აქ პოლიტიკური ფიგურები ბანდიტებად არიან წარმოდგენილნი. ე. ი. პოლიტიკური სამყარო ბანდიტების და მაფიოზების თავყრილობაა. პიესას როცა იმ ქვეყანაში დგამ, სადაც რთული პოლიტიკაა, იყო დიქტატურა, რამდენიმე პრეზიდენტი ჩამოაგდეს... უნდა გაითვალისწინო.

**- როდის ვნახავთ პრემიერას?**

- ხუთ სექტემბრამდე უსათუოდ უნდა იყოს...

**თუმცა, ბოლო ინფორმაციით, პრემიერა, ალბათ, ცოტათი გადაიწევს... მაგრამ დარწმუნებული ვართ რომ იგი ღირს მოლოდინად.**

ხუთშაბათი, 1.09.'05

მარინა
მითაიშვილი

მეც ასევე, გულში და გონებაში გაჭედილი ლურსმანივით, მოსვენებას არ მაძლევდა ოცნება, რომ ბატონი რობერტ სტურუა შემოქმედებითად დამეახლოვებინა ბათუმის თეატრთან. მივედი მაშინდელ (2005 წ.) აჭარის კულტურისა და განათლების მინისტრთან - ა. გეგენავასთან წინადადებით, რომ ბატონ რ. სტურუას ვთხოვდი, გამხდარიყო ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მინისტრმა მიიღო თანხმობა აჭარის მთავრობის მეთაურისაგან. მე მოვაგვარე ხელმოწერების ორგანიზება. მთელმა დასმა მოაწერა ხელი წერილს. უმრავლესობას არც უნდოდა, რომ ეს ფაქტი მომხდარიყო, მაგრამ ხელი იმიტომ მოაწერეს, რომ დარწმუნებულები იყვნენ, რ. სტურუა უარით გამომისტუმრებდა. მე ვთხოვე ჩემ მეგობარს, მხატვარ ბესო (ვახტანგ) ბესელიას, რომ დაერეკა სტურუასთვის, რომელიც მისი ახლობელია.

რ. სტურუა დათანხმდა ჩემთან შეხვედრას. გავემგზავრე თბილისს და მივედი რუსთაველის თეატრში ბესო კუპრეიშვილთან („თითების თეატრის“ დამაარსებელთან) ერთად. ბესომ, ასე ვთქვათ განაწყო რ. სტურუა ჩემთან სასაუბროდ. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ ბატონი რ. სტურუა დამთანხმდა ბათუმში ჩამოსვლას, ოღონდ თეატრის სამხატვრო კონსულტანტის სტატუსით. მე დავინიშნე თეატრის მთავარ რეჟისორად (უკვე მეორედ). ბედის ირონიით, 15 წლის შემდეგ ისევ ვბრუნდები თეატრში.

რ. სტურუას ჩამოსვლის შემდეგ ველოდებოდი, რომ სიტუაცია შეიცვლებოდა თეატრშიც და ქალაქშიც, მაგრამ ხალხი მაინც არ მოვიდა თეატრში. ვფიქრობ, თვითონ თეატრალურ ხელოვნებას ხომ არ დაუდგა ისევ „უძრაობის“ პერიოდი, როგორც ემართება პერიოდულად. ალბათ საჭიროა ახალი თეატრალური ესთეტიკის გამოვლინება, როგორც მოხდა იმ „უძრაობის“ წლებში, მაგალითად - რ. სტურუას „კავკასიური ცარცის წრე“, გ. ტოვსტონოგოვის „ცხენის ამბავი“. ისე, სადღაც წამიკითხავს - „ნოვატორობა (ახლის ძიება) იწყება მაშინ, როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა“.

**სცენიური მოვლენა** არის ფაქტი (წინააღმდეგობა), რომელიც ცვლის ჩვენ ქცევას, გვიბიძგებს მოქმედებისაკენ, ხოლო ქმედება ბადებს გრძნობას.

**ფაბულური მოვლენა** არის გარემოებათა ფაქტი, რომელიც იწვევს ქცევის შეცვლას (ფაქტობრივი მოვლენა).

**სიუჟეტური მოვლენა** (შინაარსობრივი მოვლენა) მოიცავს ფაბულურ მოვლენას და ქმედებას, ვითარდება კონფლიქტი.

მოვლენა მსახიობისათვის არის - ფაქტი გარემოებისა.

მოვლენა რეჟისორისათვის არის - არსი გარემოებისა.

**მოვლენათა რიგი** არის რეჟისორის მიერ სიუჟეტის გადმოცემა ანუ კონფლიქტის ფორმა, რომელიც გამოიხატება გამჭოლ მოქმედებაში.

საწყისი მოვლენა იწყება პიესის გარეთ.

ცენტრალური მოვლენა - კვანძის გახსნა.

მთავარი მოვლენა - სპექტაკლის ფინალში.

მოვლენა გვიბიძგებს ქმედებისაკენ, ქმედება ბადებს გრძნობას! შუაღამისას ამოვარდა ქარიშხალი, მოვარდა ღვარცოფი, დაანგრია სახლი. სახლში მყოფთ ამ დროს უჩნდებათ შიშის გრძნობა. აღმოჩნდება, რომ ოჯახის ერთი წევრი დაიკარგა, იწყება მისი ძებნა - ადამიანებს უჩნდებათ კეთილშობილების გრძნობა. ვერ პოულობენ დაკარგულს - ჩნდება სინანულის გრძნობა. მეორე დღეს იგებენ, რომ ვისაც ეძებდნენ, ცოცხალია - ჩნდება სიხარულის გრძნობა.

თეატრში კი მოვლენები ასე განვითარდა:

დასის ზოგიერთმა წევრმა ხმამაღლა დაიწყო საუბარი – რატომ ჩამოვიდა სტურუაო?

ეს ის მსახიობები იყვნენ, რომლებსაც ეშინოდათ, რომ სტურუასთან ვერ „გამოავლენდნენ“ მსახიობურ ნიჭს.

სხვები განაწყენდნენ, რომ ვერ მოხვდნენ „დარისპანის გასაჭირის“ განაწილებაში (სპექტაკლს დგამდა ზ. პაპუაშვილი, რ. სტურუასთან ერთად).

იმათ კი, ვინც მოხვდა განაწილებაში და მთელი 3 თვე მუშაობდნენ, ერთხელ მადლობაც არ უთქვამთ, რომ მიეცათ შესაძლებლობა ემუშავათ რ. სტურუასთან.

მე კარგად მესმოდა, რომ საქმე მქონდა მსახიობებთან...

მსახიობი კი ყოველთვის შენგან (რეჟისორისაგან) მოითხოვს ყველაფერს და თვლის, რომ ეს ასეც უნდა იყოს!...

ჩათვალონ...

ამას არაფერი ეშველება, მაგრამ სულ ვფიქრობ, საკუთარი თავის საზიანოდ, რატომ აძლევს თავს უფლებას მსახიობების უმრავლესობა, რომ გამოვიდნენ სცენაზე ყოველდღიური ფიზიკური და სულიერი ტრენაჟის გარეშე ? ...

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ფეხბურთელთა გუნდი, სხვა სპორტსმენები, მოცეკვავეები გამოდიოდნენ სპორტულ მოედნებზე და სცენაზე მხოლოდ ასპარეზობის ან კონცერტის დღეს, ყოველდღიური ვარჯიშის გარეშე...

ეს ხომ წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა ! ! !

ამ გზით ხომ შეუძლებელია ზემოქმედება მაყურებელზე... მსახიობის პროფესიასა და ჰ ი პ ნ ო ზ ი ს მეთოდს აქვთ საერთო მომენტები - ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი ს  მ ი ჯ ა ჭ ვ ა  და  შ თ ა გ ო ნ ე ბ ა.

იმ მსახიობებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ამ პროცესებს, შესწევთ უნარი მაყურებელზე ერთგვარი ჰიპნოზიტური ზემოქმედებისა, მაგრამ ეს შეუძლებელია ყოველდღიური სულიერი ტრენაჟის გარეშე...

სამწუხაროდ, ასეთი მსახიობები არც ისე მრავლად არიან...

7 №167 (22.429) ხელისუფლება
სამშაბათი, 6.09.'05

# ისევ აურზაური ისევ თეატრის ირგვლივ



„მე სამხატვრო ხელმძღვანელობა შევთავაზე ბატონ რობერტ სტურუას და მან მითხრა, რომ პასუხს მომცემდა პრემიერის შემდეგ. დამეთანხმებით, ღირს მოვიცადოთ, თუკი ასეთი პიროვნება გვეყოლება ბათუმის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად.

**„მოექეცი ადამიანებს ისე, რომ ისინიც ადეკვატურად მოგექცნენ“** (ეს ქადაგება ყოველთვის არ ამართლებს).

შეცდომა ბევრი მქონია, მაგრამ ისეთი, რაც თეატრში დირექტორის მოყვანას ეხება, ჯერ არ ჩამიდენია.

იმედი და დაპირებაც ბევრი მქონდა დირექტორობის კანდიდატისაგან (გ. ბოლქვაძე), რომ თეატრთან შეიქმნებოდა სამეურვეო საბჭო, გაიზრდებოდა ხელფასები, მოიზიდავდა სპონსორებს...

მაგრამ დაინიშნა თუ არა დირექტორად, ყველაფერი დაივიწყა. არადა, უმუშევარი იყო, როდესაც დირექტორობა შევთავაზე.

მივხვდი, რომ შევცდი დირექტორის არჩევაში. ეს მარტო შეცდომა კი არა, დანაშაული იყო თეატრის კოლექტივის წინაშე.

მივმართე კოლექტივს, რომ, თუ დირექტორის მოყვანა მოხდა ჩემი წინადადების საფუძველზე (რისთვისაც ბოდიში მოვიხადე), მისი თეატრიდან გაშვება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით.

როგორც „კარგ თეატრში“ ხდება, ხმა არავინ ამოიღო... კრების მოწვევაც კი არ ისურვეს...

**„ყველანი ავედით მთაზე და ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთთან ურთიერთობა. მთავარი იყო – პარტნიორების თავისუფალი არჩევანი. მე ვაკვირდებოდი ადამიანებში ფსიქიკურ ცვლილებებს“**

**ე. გროტოვსკი**

ე ჟ ი   გ რ ო ტ ო ვ ს კ ი

(1933-1999)

პოლონელი რეჟისორი, პედაგოგი და თეატრის რეფორმატორი.

ჩემი მეთოდის საფუძველს წარმოადგენს საწყისი ვარაუდი

იმისა, რომ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს   ს წ ა ვ ლ ე ბ ა -

გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა ! ! !

არ არსებობს ამისი არავითარი იდეალური მოდელი.

არსებობს განსხვავებული შეხედულება სამსახიობო ოსტატობის შესახებ ე. გროტოვსკისა და კ. სტანისლავსკის შორის. ეს განსხვავება გულისხმობს გ მ ი რ ი ს (პერსონაჟი) გაგებას არა როგორც ა ნ ა ლ ო გ ი ა ს ჩვეულებრივ ადამიანურ ქმედებასთან, არამედ ქმედებას - ა დ ა მ ი ა ნ ი - მ ს ა ხ ი ო ბ ი ს მიერ, სხვა ადამიანების დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს  პ რ ო ც ე ს შ ი.

**გროტოვსკი:**

,,ჩვენ ვთავაზობთ მსახიობს, რომ მან თავად განსაზღვროს, რა უშლის ხელს, რა უქმნის წინააღმდეგობას და რა შინაგანი მუხრუჭებია მასში.

მსახიობმა თვითონ უნდა იპოვოს თავისი ინდივიდუალური ტრენინგი, რომელიც საშუალებას მისცემს მას განთავისუფლდეს შინაგანი თუ სხვა წინააღმდეგობებისაგან“.

**გროტოვსკი:**

„ნეგატიური ტექნიკა გულისხმობს ისეთი სიტუაციების შექმნას, როდესაც მსახიობი შეძლებს, რომ მონახოს საკუთარ თავში სრული თავისუფლების შეგრძნება და მისი გამომწვევი ფაქტორები, ან მიაგნოს მნიშვნელოვან საკუთარ შინაგან წინააღმდეგობებს.

ეს სიტუაციები დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებთან, მათ შორის - ი ო გ ა ს თ ა ნ“.

გროტოვსკი:

„როდესაც მსახიობი გრძნობს, რომ მასში დ ა ბ ი ნ ა ვ დ ნ ე ნ და ც ხ ო ვ რ ო ბ ე ნ ადამიანთა, ცხოველთა, ბუნებაში არსებული სხვადასხვა ხ მ ე ბ ი, ის აღარ ფიქრობს თავისი შესაძლებლობების ზღვარზე, იგი მოქმედებს და მართავს უამრავ ხმას, რომელიც მას სჭირდება.

ფიზიკური იმპულსი თავს იჩენს აქ, როგორც ტრამპლინი, რომლისგანაც მსახიობი იღებს ბიძგს ხმოვანი რეაქციით.

არა მხოლოდ ვარაუდით, არამედ დარწმუნებით, რომ ბუნებამ ამ მხრივ მას არ წარუდგინა არავითარი რეალური შეზღუდვები“.

გროტოვსკი:

„მნიშვნელოვანია ფ ს ი ქ ი უ რ ი ხასიათის სავარჯიშოები, რომლებიც გულისხმობენ რეალური რეაქციებით და ფიზიკური იმპულსების წყალობით, საკუთარი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტებში, რეალურ ქმედებასთან დაბრუნებას.

ეს ყველაფერი წააგავს დანაშაულის ადგილზე მყოფი ადამიანების ქცევების რეკონსტრუქციას, რომელსაც მიმართავენ გამოძიების პროცესში, მომხდარი დანაშაულის მოვლენების და დეტალების აღდგენის მიზნით.

სხვაობა იმაშია, რომ ეს არის რეკონსტრუქცია არა „ცივი გონებით“, არამედ უფრო ახლოსაა პირადულ, ინტიმურ ასოციაციურ კანონებთან.

იმ კანონებთან, რომელთა საფუძველზეც ჩნდება სიზმარი, რომელშიც მეორდება რაღაცა მოვლენები.

ამრიგად, ეს ერთგვარი სიზმარია, რომელიც აბრუნებს მსახიობს განსაკუთრებით მძაფრ შთაბეჭდილებებთან, მოვლენასთან, ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდთან, ოღონდ მისი ფორმირება ხდება არა „ხატ-სურათებად“, არამედ რეალურ ფიზიკურ იმპულსებში და რეაქციებში“.

## უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა  და  ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ეს არის მთავარი გროტოვსკის შემოქმედებაში.

1. პარტნიორი უნდა აღიქვა ისე, თითქოს მანამდე არსად გინახავს.

2. მსახიობს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მაყურებელთა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი ს მიპყრობა.

პირობითობის ხარისხმა მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობაში კიდევ უფრო იმატა იმ შემთხვევებში, როდესაც მაყურებელი ხდება სპექტაკლის მონაწილე...

გ რ ო ტ ო ვ ს კ ი თვლის, რომ სპექტაკლში მთავარი არ არის **სიტყვა!**

თუ არა ს ი ტ ყ ვ ა - მაშინ რ ა?

ეჟი გროტოვსკის თეატრი - ეს არის თ ვ ი თ შ ე წ ი რ ვ ი ს  ა ქ ტ ი ს გამოხატულება ანუ ე.წ. „ტრანსი“-ს ტექნიკა, როდესაც მსახიობის სულიერი და ფიზიკური ძალის შერწყმა ხდება...

# შ ე ფ ა ს ე ბ ა

ერთი სცენიური ქმედითი ეპიზოდიდან მეორეზე გადასვლას – შეფასების მომენტი ჰქვია.

შეფასება არის რეაქცია შემოთავაზებული ვითარების მოულოდნელ ცვლაზე.

შეფასება არის ქმედების პროცესში რიტმებისა და ტემპების მონაცვლეობის სქემა.

შემოთავაზებულ ვითარებათა შეცვლის მომენტში იცვლება სცენიური ამოცანაც, იცვლება ქცევა, მოქმედება, ტემპი, ემოცია, იქმნება ახალი სიტუაცია.

სიკვდილმისჯილი პატიმარი, 10 წლის განმავლობაში ღებულობს უარს შეწყალებაზე.

ერთ დღეს, მას საკანში მიუდის შეტყობინება, რომ შეიწყალეს!...

რეაქცია შეცვლილ ვითარებაზე უნდა იყოს – შინაგანი, რომ არ გამოვიდეს „პ ა კ ა ზ უ ხ ო ბ ა“.

**„არსებობს პაუზის ორი სახე:**
**რომლიდანაც იწყება სცენა. მოვლენის პაუზა“**
**მ. ჩეხოვი**

„ბავშვი თამაშობს ინტუიციურად.
იგი არ თამაშობს რაღაც მიზნისთვის.
ხელოვანს კი, ესმის რისთვისაც თამაშობს“
ზ. ფროიდი

„დარისპანზე“ მუშაობისას, ერთ დღეს მეძახის რ. სტურუა და მეუბნება, რომ აჭარის კულტურის მინისტრმა ა. გეგენავამ მას შესთავაზა ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა. მე გამეხარდა და შევახსენე, რომ ჩემი თბილისში ჩასვლისას ხომ ეს შევთავაზე.

შეწუხებულმა მითხრა, რომ ძალიან უხერხულ სიტუაციაშია. დაჟინებით ვთხოვე - აუცილებლად დათანხმებოდა.

კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ თურმე მსახიობთა ერთი ჯგუფი მისულა კულტურის სამინისტროში და დაუყენებიათ საკითხი მინისტრის წინაშე - თუ მე დავრჩებოდი თეატრის მთავარ რეჟისორად, ისინი დაიწყებდნენ რ. სტურუას თეატრიდან გაგდების კამპანიას და შესთავაზეს მინისტრს, რომ დაენიშნა იგი სამხატვრო ხელმძღვანელად. გათვლა იყო მარტივი. სტურუა ბათუმში სულ ვერ იქნებოდა, მე აღარ ვიქნებოდი მთავარი რეჟისორი და თეატრში დაბრუნდებოდა „ძველბიჭური“ სიტუაცია.

**„ნუ დაუპირისპირდები ბოროტებას ბ ო რ ო ტ ე ბ ი თ!“**
**ი. კანტი**

კონფლიქტი - მხატვრულ-გამომსახველობითი სცენიური დაპირისპირება, განსხვავებული მიზნების, იდეებისა და მრწამსის მქონე ადამიანებს შორის, რომელიც უნდა იყოს მოტივირებული, გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული.

კონფლიქტი სცენაზე უნდა ვეძებოთ ყველგან და ყველაფერში!

ორ დაპირისპირებულ გმირს შორის (დიალოგი).

სცენიურ გმირთან ან მაყურებელთა დარბაზთან (მონოლოგი).

შემოთავაზებულ ვითარებაში (ვითარება, რომელიც წარმოქმნის დაპირისპირებას).

მოვლენათა რიგში (კონფლიქტის განვითარების ეტაპები).

ზეამოცანაში (ერთი მხარე ამტკიცებს, მეორე უარყოფს).

ჟანრში (ხერხი რომლითაც მჟღავნდება კონფლიქტი).

რ ე ჟ ი ს ო რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

კონფლიქტი არის სცენაზე დაპირისპირებული მხარეების რეჟისორული ხედვა.

I შრე - პერსონაჟების ფიზიკური დაპირისპირება.

II შრე - დაპირისპირება იდეისა და მრწამსის გამო.

III შრე - დაპირისპირება სოციალურ დონეზე.

IV შრე - დაპირისპირება პოლიტიკურ და ფილოსოფიურ დონეზე.

რა კონფლიქტი შეიძლება იყოს „აივნის სცენაში“, რომეოსა და ჯულიეტას შორის? ერთი შეხედვით არავითარი, მაგრამ იქ არის კონფლიქტი. შეყვარებულები უმტკიცებენ ერთმანეთს, რომელს უფრო მეტად უყვარს... და რას გასცემენ სიყვარულის დასამტკიცებლად.

კონფლიქტის რიტმი განპირობებულია შემოთავაზებული ვითარებით.

კონფლიქტი არის პარტნიორის დამუშავება საკუთარი მიზნის მისაღწევად.

**„კარგი პიესის სათაურშივე უნდა იმალებოდეს კონფლიქტი.**

**М. Горький - «Мещане» და ვინ არიან მეშჩანები?“**
**გ. ტოვსტონოგოვი**

თეატრში არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ. პირიქით, ახალი დირექტორის სურვილით შეიქმნა დირექტორის „მრჩეველთა საბჭო“ (არაოფიციალური), რომლებსაც სურთ სიტუაცია შეცვალონ თეატრში თავიანთ სასარგებლოდ, რაც გამოიხატება იმაში, რომ თურმე უნდა შეიქმნას სამხატვრო საბჭო. ამათი უზნეობა ჭკუიდან მშლის. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყოს რ. სტურუა

და მას შეუქმნა სამხატვრო საბჭო???

რისთვის არის ეს ყველაფერი გამიზნული???

არაფერი გამოგივათ „მეგობრებო“, ა რ ა!!!

არც მე წავალ თეატრიდან და ვერც სტურუას გააგდებთ!!!

უზნეობის აღლუმია!!!

ამ სიბინძურეში სული მეხუთება...

**„უმსგავსობა შესაძლებელია სცენაზე როგორც თემა**
**და არა როგორც გამომსახველობითი საშუალება”**
**მ. ჩეხოვი**

ცხოვრებაში კი უმსგავსობა – უმსგავსობაა!!!

დღეს რომ ტელევიზორს ვუყურებ შვილებთან ერთად და ვხედავ რა ხდება ქვეყანაში, მრცხვენია ჩემი თავის და დამნაშავედაც ვგრძნობ თავს, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს მე ვუთანაგრძნობდი ამ „ვითომ“ რევოლუციას.

ამიხსნას ვინმემ, რას ნიშნავს ბათუმში და ზოგიერთ სხვა ქალაქში „ყინულის მოედნების“ გაჩენა. ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ქვეყანაში შეჭირვება ყოფილა და შემცირებები მიდის. თეატრის ბიუჯეტი შეამცირეს. შემცირდა შტატები. ფოლკლორის განვითარებაში არავინ აპირებს თანხების ჩადებას. რაღაც ფესტივალებს ატარებენ, საჩვენებლად, რომ ვითომ ზრუნვას იჩენენ. მაინტერესებს, რომელი ტრადიციებიდან მოდის საქართველოში ყინულზე სრიალი. ბათუმში დაანგრიეს ფეხბურთის სტადიონი, რომელიც თავისი მდებარეობით,

სპეციალისტების აზრით, იყო ევროპაში საუკეთესო მდებარეობის, სადაც ზღვისა და მთის ჰაერი ენაცვლება ერთმანეთს. ეს ადგილი მიჰყიდეს მოსკოვის მერიის წარმომადგენელს სასტუმროს ასაშენებლად.

და ესენი გაჰკივიან რუსეთი ჩვენი მტერიაო...

არ გაგეცინება?!!!

ბათუმში ერთ-ერთი ჩამოსვლისას, პრემიერის წინა დღეებში, რ. სტურუა დაესწრო გურამ დოჩანაშვილის პიესის ,,ვატერ(პო)ლოო“-ს რეპეტიციას. სტურუამ თქვა, მეორე მოქმედებას ვტოვებთ როგორც არის და პირველ მოქმედებაში რაღაცეები შევასწოროთო.

ადრე, „უძრაობის“ ხანაში, დოჩანაშვილის პიესა „ხორუმი ქართული ცეკვაა“ მაქვს დადგმული და მას შემდეგ ძალიან თბილი და მეგობრულუი ურთიერთობა დამყარდა ბატონ გურამსა და ჩემს შორის.

თეატრის დირექტორმა შეხვედრა მოიწყო სტურუასთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. მახარაძესთან. ბატონმა რობერტმა სთხოვა მას, რომ დაერწმუნებინა აჭარის მთავრობა, არ შეეკვეცათ თეატრის ბიუჯეტი. პასუხი იყო ასეთი: რომ იგი - მ. მახარაძე დიდ პატივს სცემს ბატონ რ. სტურუას, მაგრამ ბიუჯეტის შეცვლის იმედი თეატრის სასარგებლოდ მას არ უნდა ჰქონოდა. ცოტა ხანში გაირკვა, რომ როდესაც თბილისში სტურუას წინააღმდეგ „კამპანია“ დაიწყო, მ. მახარაძის ასეთი დამოკიდებულება სტურუასადმი განპირობებული იყო ცენტრიდან მითითებებით. მ. მახარაძე ხომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი (მარიონეტი) იყო აჭარაში.

სულ მალე ისიც გაირკვა, რომ ბიუჯეტის შესწორება შესაძლებელი ყოფილა და შესწორდა კიდეც, ოღონდ არა თეატრის, არამედ აჭარის უმაღლესი საბჭოს სასარგებლოდ. დაზოგილი თანხა უმაღლესი საბჭოს შენობის შემინვაზე დაიხარჯა.

ამას მოწმობს ჟურნალისტ ემზარ დიასამიძის სტატია „ბიუჯეტი დაჩქარებული წესით იცვლება“ 2006 წლის გაზეთ ,,ბათუმელებში“.

ციტატა გაზეთიდან: „მ. მახარაძეს აჭარის მთავრობისათვის მიწერილი აქვს წერილი“. იგი უმაღლესი საბჭოს შენობის ფასადის რემონტისათვის 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარზე მეტს ითხოვს“.

# ბახი სჯობია თუ მოცარტი?

ბათუმის დრამატული თეატრის კოლექტივი ერთი კვირის განმავლობაში დაფინანსების გაზრდის მოთხოვნით შეკრებებს მართავდა. თუ ადრე თეატრი სპექტაკლს იმ მიზეზით ვერ დგამდა, რომ ხელისუფლება პრივილეგიას ოპერას ანიჭებდა, დღეს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები სადადგმო ხარჯებისთვის არასაკმარისია.

მსახიობებთან ერთ-ერთ შეკრებაზე მისულმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ალექსი ჩიკვაიძემ კოლექტივს განაცხადა, რომ სახელმწიფო თეატრს წლიურად 325 000 ლარს – სახელფასო ფონდისთვის, ხოლო 700 000 კი განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ღონისძიებებისა და თეატრის სადადგმო ხარჯებისთვის გამოუყოფს. მინისტრმა აღნიშნა, რომ თეატრმა წინასწარ უნდა წარუდგინოს სამინისტროს გეგმა, თუ რა სპექტაკლებს დადგამს მთელი წლის განმავლობაში.

მინისტრის წინადადებამ დასის უკმაყოფილება გამოიწვია: „თქვენ თეატრი ჩაის ფაბრიკა ხომ არ გგონიათ, რომ დაგპირდეთ დღეს ამდენ ტონას მოვკრეფთ, ხვალ – ამდენს. წინასწარ რთულია დაგეგმო, წლის განმავლობაში რომელ რეჟისორს რა სპექტაკლის დადგმა მოუნდება. გვაინტერესებს კონკრეტულად რა თანხა იქნება გამოყოფილი სადადგმო ხარჯებისთვის".

ერთი კვირის განმავლობაში დრამატული თეატრის დასმა ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი კითხვაზე – გამოეყოფა თუ არ
სადადგმო ხარჯები თეატრს?

პროტესტის ნიშნად თეატრ
ალებმა სანახაობითი აქციის გამ
რთვა გადაწყვიტეს. წარმოადგინე
სპექტაკლი – „ვატერპოლო'
რომლის პრემიერის გამართვასა
დასი წლის ბოლოს გეგმავდ
(სპექტაკლის საბოლოო სახეზ
მუშაობდა რობერტ სტურუ
რომელიც გულის შეტევის გამ
მუშაობას ველარ აგრძელებს).

რეჟისორი მერაბ ლებანიძე ხე
ლისუფლების დამოკიდებულება
მკაცრ შეფასებას აძლევს: „სან
ახაობითი აქციის გამართვა ხე
ლოვნებისადმი ხელისუფლები
მწყრალმა დამოკიდებულება
მიგვაღებინა. ამ ხელისუფლება
ეტყობა ისე სჭირდება ხელოვნ
ება, როგორც მე თოვლი ჩინეთშ

იქამდე მივედით, რომ ყველას ჩაგვაცმევენ ერთნაირ ტანისამოსს და სასტვენის ხმაზე აყოლებით გვკითხავენ: ბახი სჯობია თუ მოცარტი. თუ ხელისუფლების მხრიდან კულტურისადმი ამგვარი დამოკიდებულება გაგრძელდა, დავილუპებით. ეს მარტო აჭარას არ ეხება. აჭარში ცენტრალური ხელისუფლების ექო ისმის – იქ თუ „უ"-ს დაიძახებენ, აქ „ოო"-ს იტყვიან".

სანახაობით აქციაზე, ანუ პრემიერაზე დასწრება ერთი ლარი ღირდა. დარბაზი ნაწილობრივ შეივსო და სპექტაკლმა მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. სპექტაკლმა აჩვენა, რომ თუ თეატრს მუშაობის საშუალება მიეცემა, შედეგიც იქნება.

პრემიერაზე საგანგებოდ მიწვეული მინისტრი არ მივიდა, ამიტომ დასმა მაყურებელთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება სანახაობით აქციას სისტემატური სახე მანამ მისცეს, სანამ მთავრობა არ დაინტერესდება იმით, თუ რას აკეთებს ბათუმის დრამატული თეატრი. ამ იდეას ოპონენტიც გამოუჩნდა. „საერთოდ, თეატრი ხმაურიანია, მაგრამ, მე პირადად, აქციის წინააღმდეგი ვარ. თეატრში ყველაზე დიდი აქცია პრემიერაა. სპექტაკლი, პოლიტიკური ელფერით, ყოვლად მიუღებელია", – აცხადებს სამინისტროს კულტურის სამმართველოს უფროსი, თემურ კეჟერაძე.

თეატრს მხარს უჭერს აჭარის უმაღლესი საბჭოს ოპოზიციური ფრთა.

*ნანა ვერულაშვილი*

www.batumelebi.ge

„მსახიობმა უნდა ითამაშოს არა კარგად,
არამედ სწორად და ეს იქნება კარგად ნათამაშევი“
ჯ. სტრელერი

## ს ც ე ნ ი უ რ ი   უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა

არის მსახიობის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა აზრისა და გრძნობების გადაცემისა და აღქმის პროცესში. ანუ პარტნიორთა ურთიერთზემოქმედება სცენიური დაპირისპირების დროს.

სცენიური ურთიერთობის დასამყარებლად საჭიროა:

1) ორიენტირება შემოთავაზებულ ვითარებაში და პარტნიორის ამორჩევა
2) პარტნიორის ყურადღების მიპყრობა
3) ზემოქმედება პარტნიორზე
4) აღქმის მომენტი

სცენიური ურთიერთობის კანონია - უ წ ყ ვ ე ტ ო ბ ა .

ურთიერთობის ხარისხი: შექსპირთან გრძნობები ღიაა, ჩეხოვთან - დახურულია.

## ს ც ე ნ ი უ რ ი   ა მ ო ც ა ნ ა

არის მიზანი, რომლის მიღწევასაც ვცდილობ. ამისათვის მოქმედება უნდა იყოს მიზანმიმართული, ლოგიკური, შესაძლებელი და პროდუქტიული.

სცენიური ამოცანა ყოველთვის განისაზღვრება ზმნით – მ ი ნ დ ა !!!

„ადამიანი არის ბიოლოგიური არსება, მოთავსებული სოციალურ გარემოში და მისი ქცევა განსაზღვრულია იმ ტრაფარეტებით, რომლებიც ადამიანებმა მიიღეს კოლექტიურად“
დ. იუმი

აჭარის უმაღლეს საბჭოში ვიზიტიდან ერთ საათში დამირეკა რ. სტურუამ და მითხრა, რომ ვერ გრძნობდა თავს კარგად. ბათუმში ჩამოსვლამდეც აწუხებდა მას ჯანმრთელობა და ფიქრობდა, რომ ეს ნაღვლის ბუშტის გაღიზიანების მიზეზი იყო. დავურეკე ახლობელ ექიმ-კარდიოლოგ ქეთი ბაღათურიას. ვთხოვე მსახიობ ზაალ გოგუაძეს, დახმარებოდა ექიმს საავადმყოფოდან სასტუმროში კარდიოგრამის აპარატის გადატანაში. გამოვიძახე სასწრაფო. სასწრაფოს ექიმმა გასინჯა პაციენტი, თქვა რომ არაფერი იყო სერიოზული და წავიდა. ქეთიმ კი კარდიოგრამის გადაღების შემდეგ დაჟინებით მოითხოვა მისი საავადმყოფოში გადაყვანა. სტურუა უარზე იყო. ამის შემდეგ, დავუკავშირდით თბილისში მის მკურნალ ექიმს და როდესაც ქეთიმ აუხსნა სიტუაცია, თბილისელმა ექიმმა კატეგორიულად მოსთხოვა სტურუას, დაგვთანხმებოდა საავადმყოფოში გადაყვანაზე. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მას დაუდგინეს გულის იშემიური შეტევა და გადაწყვიტეს, იმავე ღამით გადაეყვანათ თბილისში.

ეს ამბავი მალე გახმაურდა ქალაქში. საავადმყოფოში მოცვივდნენ ტელევიზიები. მთხოვეს ინტერვიუ და მეც მოვუყევი, რა და როგორ მოხდა. ამასობაში მოვიდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და ქალაქის მერი. თეატრის დირექტორი (რომელსაც მე შევატყობინე ეს ამბავი) იმყოფებოდა მორიგე ექიმის კაბინეტში. ჩვენ, თეატრის მსახიობები და თანამშრომლები ეზოში ვიყავით. რეანიმაციიდან გამოვიდა მორიგე ექიმი, მოვიდა ჩვენთან და ეუბნება თეატრის რეჟისორ ზაზა სიხარულიძეს (რომელიც თურმე ექიმის თანაკლასელი ყოფილა) - სტურუამ რომ თბილისამდე მგზავრობა გადაიტანოს, ეს წამალია საჭიროო. ზ. სიხარულიძემ ნახევარ საათში მოიტანა წამალი. სტურუა გაამგზავრეს თბილისში რეანომობილით, რომელშიც დირექტორი „ჩასკუპდა“, ამიტომ ჩემი ადგილი იქ აღარ იყო. თბილისში,

ღვთის ნებით, ყველაფერი კარგად დასრულდა. ასე გადაარჩინა ბატონი რობერტი ბათუმში სიკვდილს ექიმმა ქეთი ბაღათურიამ.

ორი დღის შემდეგ მირეკავს მ. მახარაძე და მსაყვედურობს, რომ მე არ უნდა მიმეცა ინტერვიუ იმის შესახებ, რაც შეემთხვა სტურუას. იმ ინტერვიუში რაიმე არასწორი იყო მეთქი? არაო, მაგრამ ისე გამოვიდა, თითქოს ჩემი ბრალიაო. ინტერვიუში თქვენთვის ხომ არაფერი დამიბრალებია მეთქი. შენ არ გითქვამს, მაგრამ ასე გამოვიდა და ძალიან არ მომეწონაო!

მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი თეატრიდან დათხოვნის საქმეში მ. მახარაძის დიდი სურვილი ყოფილა, როგორც დირექტორი გამენდო (ალბათ გაახსენდა და შეწუხდა, რომ ჩემი ძალისხმევით გახდა დირექტორი).

„ადამიანი არ იღლება შრომით, ის იღლება სისულელეებისგან“... არ ვიცი ვინ თქვა, მაგრამ კარგი ნათქვამია.

## შ ე მ ო თ ა ვ ა ზ ე ბ უ ლ ი   ვ ი თ ა რ ე ბ ა

(ყველაფერი, რაც ზეგავლენას ახდენს ჩვენს მოქმედებაზე)

შემოთავაზებული ვითარება:

დიდი წრე - ქვეყანა.

საშუალო წრე - ქალაქი.

პატარა წრე - ოჯახი.

ვითარების გარეგნული ფორმა - ეპოქა, დრო, ფაქტი.

შინაგანი ფორმა - ქვეტექსტი, ურთიერთზემოქმედება.

ყველაზე მძაფრი ვითარება არის - მ ო ვ ლ ე ნ ა !

ოპერაციიდან რამოდენიმე დღეში მსახიობებ ზ. მიქაუტაძესა და ზ. გოგუაძესთან ერთად ჩავედი თბილისში. საავადმყოფოში ვიგრძენი, რომ სტურუა ნაწყენი იყო ჩემზე, თურმე ჩემი ინტერვიუს გამო...

**„ლაერტის გამგზავრების სცენა რეჟისორ ოხლოპკოვთან გრძელი და მოსაწყენია, პ. ბრუკთან - მოკლე. ბრუკი მართალია, ვინაიდან ეს სცენა არ არის მნიშვნელოვანი“**

**ა. ეფროსი**

მნიშვნელობა არ მივანიჭე ამ ფაქტს. დავსახეთ მომავალი გეგმები. სტურუას წინადადებით, თეატრში უნდა მიგვეღო ორი ახალგაზრდა თეატრმცოდნე. მათი სახელების გახსენებაც კი უსიამოვნო გრძნობებს მგვრის. ისინი „პავლიკ მოროზოვის" სულიერი ძმები აღმოჩნდნენ (არ დაინდობდნენ არავის, საკუთარი მშობლების, მასწავლებლის, კოლეგების ჩათვლით), საკუთარი მიზნების მისაღწევად.

მეეჭვება, რომ ბიბლია მათი სამაგიდო წიგნი იყოს, მაგრამ კარგი იქნებოდა ამ ორ „თეატრმცოდნეს" საერთო განათლების გასაღრმავებლად წაეკითხათ სწავლება მწუხარე (დარდიანი) ცხოვრების შესახებ. სანსაია - ყოველგვარი არსებობა, მწუხარებაა. ცხოვრობ ე.ი. დარდობ!

ბათუმში დაბრუნების შემდეგ, კონფლიქტი დირექტორთან უფრო გამძაფრდა. მსახიობებს და თანამშრომლებს, რომლებიც მას ხელფასის გაზრდისათვის თანხების მოძიებას სთხოვდნენ, ეუბნებოდა: სტურუას ხელფასი აწვება თეატრს და ვერაფრით დაგეხმარებითო. სინამდვილეში სტურუას ხელფასს უხდიდა აჭარის კულტურის სამინისტრო, რომელიც არავითარ კავშირში არ იყო თეატრის ბიუჯეტთან. მოვიწვიე დასი და ყველაფერი ვუთხარი დირექტორს, რასაც მასზე ვფიქრობდი. შემდეგ დავურეკე სტურუას და მოვუყევი მომხდარის შესახებ. მეორე დღეს დირექტორი ორ „პავლიკ მოროზოვთან" ერთად გაემგზავრა თბილისში. რა უთხრეს, რა მოუყვეს არ ვიცი, მაგრამ სტურუამ შემოთვალა - ჯანმრთელობის გამო ველარ გავაგრძელებ ბათუმის თეატრში მოღვაწეობასო. ჩემთვის არც დაურეკავს და არც არაფერი უკითხავს, ისე გამოგზავნა თეატრში გიორგი თავაძე (რომელთანაც სწორედ ამ პერიოდში მოლაპარაკება მქონდა სტურუას წინადადებით, რომ მას დაედგა ბათუმის თეატრში სპექტაკლი).

ასე მოგვევლინა თეატრში მთავარ რეჟისორად გ. თავაძე, რომელმაც შეხვედრისას მაგრძნობინა, რომ მისთვის კაბინეტი უნდა დამეცალა. ადვილი მისახვედრია, რომ თეატრი ახალი რ ი ტ მ ი თ დაიწყებდა ცხოვრებას...

# ტ ე მ პ ო - რ ი ტ მ ი

გმირის სცენიური ამოცანის, შემოთავაზებულ ვითარებასთან შეჯახების პროცესში წარმოიქმნება მსახიობის შინაგანი დაძაბულობის დონე ანუ რ ი ტ მ ი.

რიტმი - დამოკიდებულია როგორც სიტუაციაზე, ასევე ტემპერამენტზე.

ტემპი - არის სხეულის სიჩქარე. მოქმედების სიჩქარე (ჩქარი ან ნელი).

რიტმი - არის აზრის ენერგია. მოქმედების ინტესივობა (ემოციის გამოვლინება).

ტემპო-რიტმი - დამოკიდებულია ჟანრზე, კონფლიქტზე, მოვლენაზე.

ტემპო-რიტმი ფორმირდება მოვლენათა შეფასებაში. გავიხსენოთ ფილმი „შესანიშნავი შვიდეული“. შვიდეული ჩასაფრებული ელოდება კალვერას ბანდას. ამ დროს მათი სხეულის სიჩქარე უდრის ნულს, ე.ი. ტემპიც ნულია. რიტმი კი, აზრის ენერგია (ემოციის გამოვლინება) - მაქსიმუმია. მსახიობის რ ი ტ მ ი - არის ხიდი აზროვნებას, მოქმედებასა და გრძნობებს შორის.

პელეს (ფეხბურთის ვირტუოზს) - მოედანზე აქვს თამაშის განსხვავებული რ ი ტ მ ი.

**„რიტმი არის თანაგანცდა მსახიობსა და გმირს შორის“**
**ფ. შალიაპინი**

მე, სრულიად მშვიდად, აუღელვებლად წამოვიღე ჩემი ნივთები, წიგნები და ყოველგვარი გართულებების გარეშე დავუთმე გ. თავაძეს „ბურთი და მოედანი“.

ვერაფრით ამოვიცანი, რა მიმზიდველობა და ხიბლი უნდა ჰქონდეს კაბინეტს ან „სკამს“. პირველი მთავარი რეჟისორობის დროს ერთი წლის განმავლობაში სულ 3-4 ჯერ თუ ვარ ნამყოფი კაბინეტში. ძირითად დროს ვატარებდი სარეპეტიციოში, სცენაზე და ყველა საამქროში. თუ გინდა, რომ საქმე ხელმეორედ არ გაგიხდეს

გასაკეთებელი, ყველაფერს შენი თვალი და ყურადღება სჭირდება. და საერთოდ, ერთი დასკვნა გამოვიტანე, მას შემდეგ რაც აღარ ვარ მთავარი რეჟისორი - ჩ ე მ ი „უ ფ რ ო ს ო ბ ა“ არ შეიძლება!

რ ა ტ ო მ ? იმიტომ, რომ ყველასგან მოვითხოვ საქმეს მოეკიდონ ისეთივე გულმოდგინებით, როგორც მე ვეკიდები...

ეს კი უკვე „სურვილების და შესაძლებლობების“ ფარგლებს გარეთაა! მოკლედ ს ი გ ი ჟ ე ა!...

რას კარგავს ადამიანი, რომელიც ხელში იგდებს მ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს??? - ყველაზე მთავარს - თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს!!!

ცოტა ხნის შემდეგ, პრესაში გაჩნდა ერთ-ერთი „თეატრმცოდნე-პავლიკ მოროზოვის“ ინტერვიუ რ. სტურუასთან. მართალია, მე არ მჯერა, რომ თეატრიდან მსახიობების გაშვების მოსაზრების ჩემზე დაბრალება ეკუთვნის სტურუას, მაგრამ ხომ დაიბეჭდა. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი თეატრიდან მსახიობის გაშვებისა, ვინაიდან გამოდის, რომ მას სწირავ სამათხოვროდ, საშიმშილოდ ან ბოლო-ბოლო სასიკვდილოდ.

რაღაც პერიოდში გაჩნდა ისევ ჩემი საწინააღმდეგო და დირექტორის დამცველი მეორე „პავლიკ მოროზოვის“ წერილი, რომელიც ეპასუხებოდა ხელოვნებათმცოდნე, ვინმე ნ. მარგველაშვილის სტატიას.

ასეთი დონის „თეატრმცოდნეს“, რომელიც გულმოდგინებით იცავს თეატრის დირექტორს, პასუხს ნამდვილად არ გასცემდა ნინო მარგველაშვილი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ახლობლებთან გერმანიიდან, სადაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და იქ ცხოვრობს. ჩვენი შეხვედრაც შედგა საერთო ნაცნობების გზით. რაც შეეხება „აზროვნების საზღვრებს“, სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ თეატრმცოდნეს, რომელსაც თავი მოაქვს, ის მაინც უნდა ჰქონოდა გაგებული, რომ მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი პ. შტაინი არც ერთ თავის პრემიერას არ დასწრებია. მაშინ ჩვენს „თეატრმცოდნეს“ არ გაუკვირდებოდა ზ. სიხარულიძის საქციელი, მაგრამ მისი თეატრალური თვალსაწიერი შემოიფაგლება მხოლოდ ბათუმის თეატრისა და თბილისის რამოდენინე თეატრის (სადაც შეუშვებენ) შემოქმედებით.

თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორი რობერტ სტურუა კვლავ ბათუმშია, იგი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო კონსულტანტად რჩება. ბატონი რობერტი ბათუმში ტრაპიზონიდან (სადაც შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული) ჩამობრძანდა, რათა ენახა თავისი მოწაფე-რეჟისორის გიორგი თავაძის სპექტაკლი, რომელიც ირაკლი სამსონაძის პიესის «საღამოს ბალში, როგორც ფერად სიზმარში» მიხედვით იდგმება. გიორგი თავაძე რობერტ სტურუას რეკომენდაციით დაინიშნა ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

ბატონი რობიკო დაესწრო რამდენიმე რეპეტიციას, მიმართულება მისცა დასს ჟანრის და სტილის შეგრძნების თვალსაზრისით. დიდმა რეჟისორმა ბათუმში ერთი კვირა დაჰყო. იგი ჩამოსვლას პრემიერაზე გეგმავს.

ლაშა ჩხარტიშვილი

**- როცა თქვენ ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობაზე უარი თქვით, უამრავი ჭორმართალი ერთმანეთში აირია, ყველა აკეთებდა განცხადებებს, თქვენ კი არაფერი გითქვამთ. რა მოხდა სინამდვილეში და რატომ გამოუშვით სამხატვრო ხელმძღვანელად გიორგი თავაძე ბათუმის თეატრში?**

- როცა ჯანმრთელობის გამო ცუდად გავხდი, შემომხვდა შეურაცხყოფა ტელევიზიით, რომ თითქოს მე ავად გავხდი იმიტომ, რომ აჭარის მთავრობამ არ მომცა ფული. სინამდვილეში კი, ეს ასე არ იყო. მე ჯერ მოსკოვში გავხდი ცუდად, მერე თბილისში, ექიმებს ეგონათ, რომ შეტევები, რომელიც მქონდა, გამოწვეული იყო ნაღვლის ბუშტით და არა გულით. მიუხედავად ამისა, მაინც ჩავედი ბათუმში, მიხეილ მახარაძეს დიდი ხანია ვიცნობ და მინდოდა მენახა. რადგან ლიფტი არ მუშაობდა, მეშვიდე სართულზე ფეხით მომიწია ასვლა. ჩემს გულს ეს დატვირთვა მძიმედ დააწვა. არადა, თეატრის ზოგიერთი თანამშრომელი აწყობდა აბსურდულ ინტრიგებს, რითაც ნერვები მქონდა მოშლილი. სამწუხაროდ, ახლა ბათუმის თეატრი პრაქტიკულად არ არსებობს და მე ვიტყოდი, რომ არა აბაშიძის გამო. კარგა ხანია დაინგრა შემოქმედებითი ატმოსფერო, თეატრმა რომ იარსებოს, უნდა იყოს სიმკაცრე, პასუხისმგებლობის შეგრძნება დაკისრებული მოვალეობისადმი. ის სპექტაკლები, რომელიც მერაბ ლებანიძემ დადგა არ უნდა იყოს რეპერტუარში, რადგან ეს არ არის პროფესიული რეჟისურა. ის, რაც ამჟამად ბათუმის თეატრში ხდება, სირცხვილია, თეატრში, სადაც რეჟისორი ითხოვს ფინანსურ კომისიას და ასეთ თემებზე იწყება «სკანდალი», იქ შემოქმედებითი ატმოსფერო არ არის, ეს უკვე ქარხანაა. ასეთი სიტუაცია ანგრევს თეატრს. მესმის, ეს იყოს პრინციპული შემოქმედებითი დავა იდეებზე. ამით ჩირქს ცხებენ ისედაც წაქცეულ თეატრს და დამოკლეს მახვილივით აწევს ეს ტვირთი მას. მე და გიორგი თავაძე შესანიშნავად ვგრძნობდით თავს რუსთაველის თეატრში, თუ ასე გააგრძელებენ და ნერვებს მოგვიშლიან, დავყრით ფეხს, რადგან ასეთ მდარე ინტრიგებს ვერ ვიტან, ეს ჩემს არსს ეწინააღმდეგება. არადა, მერაბ ლებანიძე არაჩვეულებრივ უთქმელ, წესიერ პიროვნებად მიმაჩნდა ყოველთვის, მერე ცოტათი დავიბენი, როცა ვიღაცების გაგდებაზე მელაპარაკებოდა, ვთქვი, რომ ჩემს თეატრში არ უნდა იყოს ასეთი დონის ინტრიგა, ასეთ ინტრიგებს არც ვაქცევ ყურადღებას. თუმცა ადამიანურად მესმის მათი. ისინი მიხვდნენ, რომ მათი საქმე თეატრი არ არის, ცოტა ადრე რომ მიმხვდარიყვნენ, უკეთესი იქნებოდა. ასეთ ვითარებაში გიორგი ცოტა დაჩაგრული მეჩვენება. მაგრამ მას მისი თეატრი უნდა ჰქონდეს, მას აქვს დიდი გამოცდის პერიოდი, უნდა სცადოს, თუ არადა, გააგრძელოს თავისი ცხოვრება ჩვეულებრივად. გიორგის აქვს ზოგიერთი არაჩვეულებრივი მიგნებები, მაგრამ ჯერ თავის მიმართულებაში სრულად ვერ დამკვიდრებულა.

ახლა რაც შეეხება ცრუპენტელობას.

ცრუობს ბატონი „თეატრმცოდნე“, როდესაც მე თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის განმანათლებელს მიწოდებს, ვინაიდან მან ძალიან კარგად იცის, რომ მე ჯერ ლენინგრადში დავამთავრე კულტურის ინსტიტუტი და შემდეგ მოსკოვში უმაღლესი თეატრალური კურსები, სადაც მომანიჭეს დრამატული თეატრის რეჟისორის კვალიფიკაცია. აბა ისე ვინ მიმიღებდა თეატრში (კაცმა რომ თქვას, დღევანდელი საგანმანათლებლო-სასწავლო პროგრამა ახლოსაც ვერ მივა ლენინგრადსა და მოსკოვში მაშინ არსებულ პროგრამებთან).

ზნეობასთანაც მწყრალადაა ბატონი „თეატრმცოდნე“, ვინაიდან მე მაბრალებს ბენდუქიძის საწინააღმდეგო მიტინგის მოწყობას სცენაზე. მას თუ დაავიწყდა, ბევრ სხვა მოწმეს კარგად ახსოვს, რა პათოსით და გულმოდგინებით მიჭერდა მხარს ორივე „თეატრმცოდნე“ სწორედ ამ სპექტაკლ-მიტინგზე, მაგრამ მაშინ მე მთავარი რეჟისორი ვიყავი და ვჭირდებოდი.

აი სულ ეს არის მათი ზნეობრივი კრიტერიუმი.

მას შემდეგ, რაც თეატრიდან დამითხოვეს, უკვე 10 წელია ფეხი არ შემიდგამს იქ.

არ ვესწრები არავითარ შემოქმედებით თუ საზოგადოებრივ შეკრებებს.

ვერიდები, რადგან არ ვიცი, რა რეაქცია მექნება, ვინმემ რომ გამაგონოს: „ამას თეატრიდან ხალხის გაგდება უნდოდაო“.

ჩემი წამოსვლის შემდეგ, რამდენი ადამიანი დაითხოვეს თეატრიდან ვინმემ დათვალა ან მოიკითხა?

ვკითხულობ ლექციებს ხელოვნების უნივერსიტეტში და ვბრუნდები სახლში.

რაღაც ჩაწყდა, დასრულდა ჩემში...

მაინც რა უსამართლოდაა მოწყობილი ეს ცხოვრება...

შესაძლებელია ვცდები...

არ ვიცი...



Министерство культуры РСФСР

ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
ИНСТИТУТ ТЕАТРАЛЬНОГО ИСКУССТВА
им. А. В. ЛУНАЧАРСКОГО

ВЫСШИЕ
ТЕАТРАЛЬНЫЕ КУРСЫ

Регистрационный
№ 345 27 января 1984 г.

г. Москва

УДОСТОВЕРЕНИЕ № 137

Выдано Лебанидзе
Мерабу Сергеевичу

в том, что он в 1981 году поступил и в 1982 году окончил Высшие театральные курсы при Государственном ордена Трудового Красного Знамени институте театрального искусства им. А. В. Луначарского по специальности

режиссер-постановщик драматического театра

Ректор института

Директор курсов

Руководитель группы

Зав. кафедрой режиссуры

4157—200

გამოხმაურება

# სიცრუის, არაპროფესიონალიზმისა და უზნეობის პასუხად...

## „მწყერი შემოჯდა ხესაო, ერთ სიტყვას ვიტყვი მეცაო...."

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ბათუმის დრამატული თეატრის მისამართით, არაერთი წერილი თუ ინტერვიუ გამოქვეყნდა, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ პრესაში. მიზანი ერთგვაროვანი იყო – საყვედურის გამოთქმა თეატრის დირექტორის მიმართ.

„გაზეთ ბათუმელებში" ვინმე „ხელოვნებათმცოდნე" ნინო მარგველაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულმა წერილმა კი, წარმოუდგენლად გადააჭარბა სიცრუისა და არაპროფესიონალიზმის ყოველგვარ საზღვარს...

აღშფოთება ჩემში, უპირველესად, ავტორის პროფესიის მითითებამ და შემდეგ წერილის შინაარსმა გამოიწვია. მინდა მივმართო ავტორს: ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც გააჩნია პროფესიული ღირსების გრძნობა, მართლაც სულიერებას უნდა ეტრფოდეს და მასზე წერდეს, თუ თეატრის მდარე ინტრიგებით ინტერესდებოდეს და თავის მკითხველს „თურმეობით" ელაპარაკებოდეს? ქალბატონო „ხელოვნებათმცოდნევ", თუკი ქუჩაში ფერადოვანი აფიშის ნაწილს მოკარით თვალი და ამან თქვენი ყურადღება მიიპყრო, სპექტაკლით არ დაინტერესებულხართ? რატომ დაიზარეთ მკითხველისთვის გაგეზიარებინათ თქვენი პროფესიული მოსაზრებები, თუნდაც პატარა რეცენზიის სახით? თუ თქვენი პროფესიის უმთავრეს დანიშნულებად უაზრო კონფლიქტებისა და მის ნიადაგზე წარმოებული სასამართლო პროცესების გარკვევა მიგაჩნიათ? მაგრამ გაარკვიეთ კი ბოლომდე? როგორც აღნიშნავთ, რეჟისორ ზაზა სიხარულიძის თეატრიდან განთავისუფლება მხოლოდ უმნიშვნელო და სასაცილო მიზეზის საფუძველზე მომხდარა. მართალია, გარკვეულ დღეებში თეატრის შენობა გაქირავებული იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია წარმოდგენის დღეს ჩატარებულიყო რეპეტიცია. ეს დრო სავსებით საკმარისი იყო სპექტაკლში შესწორებების შესატანად, მაგრამ რეჟისორმა ეს არ ისურვა – რეპეტიცია მაინცადამაინც იმ დღეს მოითხოვა, როცა შენობა გაქირავებული იყო და ეს ორი კვირით ადრე იცოდა. მან თავად გამოუტანა განაჩენი თავისსავე სპექტაკლს. თუ რატომ, არ ვიცი, მაგრამ საკუთარი სპექტაკლის პრემიერებსაც რომ არ დასწრებია?! ზაზა სიხარულიძე ხომ პროფესიონალი, დრამატული თეატრის რეჟისორია, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეა და არა „თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების კულტგანმანათლებელი..."

ვცდილობდი ცოტა შორს დამენახა თქვენი „აზროვნების საზღვარი", მაგრამ, სამწუხაროდ, ის აქვე, მერაბ ლებანიძის გვერდით აღმოჩნდა. სხვა შემთხვევაში აუცილებლად მეცოდინებოდით, ან რომელიმე პროფესიულ ჟურნალში ამოვიკითხავდი თქვენს გვარს. თქვენი სახელი ვერც თეატრალური უნივერსიტეტის, ვერც სამხატვრო აკადემიისა თუ კულტურის უნივერსიტეტის პრორექტორებმა გაიხსენეს... (იქნებ ბუნებაში საერთოდ არ არსებობს ასეთი ხელოვნებათმცოდნე?!) სამაგიეროდ, კარგად გაგიხსენათ მერაბ ლებანიძემ, რომლის სპექტაკლებსაც („ელექტრა", „ოქროს თევზი") ნამდვილად სჭირდება პროგრამაში შინაარსის ჩაბეჭდვა. „დარისპანის გასაჭირი"-ს პროგრამის შინაარსით კი დირექტორი არ დაინტერესებულა, რადგან თეატრში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამზადებენ პროგრამებს და თავად წყვეტენ რა ან როგორი შრიფტით უნდა ჩაიწეროს. შესაბამისად, არც აფიშის ტექსტებს ადგენს დირექტორი. რაც შეეხება სიტყვებს – პროვინციალიზმი, პროვინცია, პროვინციელი და პროვინციალი, მათი მნიშვნელობა თავის დროზე განსაზღვრა აკაკი ბაქრაძემ. თუკი წაიკითხავთ, დამერწმუნეთ საკუთარ თავსაც დაინახავთ...

გადავწყვიტე გიპასუხოთ არა იმიტომ, რომ ამ თეატრის თანამშრომელი ვარ, ან დირექტორს პოზიციებს ვიცავ, არამედ პირველ რიგში თეატრმცოდნე ვარ და პროფესიულ ღირსებას ვუფრთხილდები. არაპროფესიონალიზმზე სხვას საყვედურობთ, უმჯობესი ხომ არ იქნება საკუთარი პროფესიონალიზმს მიხედოთ? ნებისმიერი და მით უმეტეს ჰუმანიტარული დარგის პროფესიონალი, როცა რაიმე სახის დასკვნას აკეთებს, ამისათვის შესაბამისი არგუმენტი მოჰყავს და გვარწმუნებს თავისი მოსაზრების ობიექტურობაში. თქვენ კი, სიმართლის დადგენისათვის მერაბ ლებანიძეს მიმართეთ და ეს საკმარისი აღმოჩნდა გაგეკეთებინათ მსგავსი განცხადებები. იქნებ თეატრში მობრძანებულიყავით და ობიექტურად გაგერკვიათ საქმის ვითარება. „ერთადერთი ადამიანი, ვის გამოც თეატრში არ მოხდა მასიური შემცირება, იყო ბატონი რობერტ სტურუა", – აცხადებთ დაბეჯითებით. სანამ ლებანიძის მონათხრობის საფუძველზე დაადგენდით „ხელოვნებათმცოდნეობით ჭეშმარიტებას", უკეთესი ხომ არ იქნებოდა რობერტ სტურუას მოსაზრებას გაცნობოდით: „...ის სპექტაკლები, რომელიც მერაბ ლებანიძემ დადგა, არ უნდა იყოს რეპერტუარში, რადგან ეს არ არის პროფესიული რეჟისურა. ის, რაც ამჟამად ბათუმის თეატრში ხდება, სირცხვილია, თეატრში, სადაც რეჟისორი ითხოვს ფინანსურ კომისიას და ასეთ თემებზე იწყება „სკანდალი", იქ შემოქმედებითი ატმოსფერო არ არის, ეს უკვე ქარხანაა... არადა, მერაბ ლებანიძე არაჩვეულებრივ უთქმელ, წესიერ პიროვნებად მიმაჩნდა, მერე ცოტათი დავიბენი, როცა ვილაცეების გაგდებაზე მელაპარაკებოდა. ვთვლი, რომ ჩემს თეატრში არ უნდა იყოს ასეთი დონის ინტრიგა..." (გაზეთი „აჭარა" 2006წ.N№104).

უფუნქციოდ დარჩენილი თეატრის ამოქმედება ნელ-ნელა ხერხდება და სწორედ ასეთ დროს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნაცვლად მხარდაჭერისა, საპირისპიროდ მოქმედებენ. ნამდვილი შემოქმედებითა და თეატრის ბედით დაინტერესებული ადამიანები ასე არ იქცევიან... ისინი არც ბენდუქიძის გადასაყენებლად აწყობენ მიტინგებს და არც იმით ინტერესდებიან, თუ როგორ გადაადგილებს დირექტორი კაბინეტში ავეჯს. თუკი რეჟისორი გქვია, დირექტორისა და მინისტრების გადაყენების მოთხოვნის ნაცვლად, სპექტაკლის დადგმა უნდა მოითხოვო და ამ გზით გამოხატო შენი პოზიცია.

ამ პერიოდში გამოქვეყნებული წერილების უმრავლესობის ინიციატორის ძიებას, ხშირ შემთხვევაში, ერთ ადამიანთან მივყავართ, ხოლო თითოეული წერილის გვერდით დასმული ნიშანი და გაზეთის ბოლო გვერდზე აღნიშნული ამ ნიშნის განმარტება კი გვახსენებს, რომ წერილი სარეკლამო ფართზეა განთავსებული, ანუ ავტორმა კონკრეტული წერილისათვის ფული გადაიხადა... ხელოვნებათმცოდნეს, რომლის აზრსაც პატივს სცემენ, წერილისათვის ჰონორარს პირიქით უხდიან, მაგრამ – „მწყერი შემოჯდა ხესაო, ერთ სიტყვას ვიტყვი მეცაო".

**P.S.** თუკი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გამოსავლის პოვნას შეეცდებით, თქვენი გარჯა ამაო იქნება. ჯერ კიდევ არსებობენ ღირსეული ხელოვნებათმცოდნეები... ამიტომაც იარეთ ისე, როგორც აქამდე გივლიათ.

*ნერონ აბულაძე*
*თეატრმცოდნე*

№34 (156) / 30-6 აგვისტო-სექტემბერი / 2006 წელი

4 №85 (22.590)
პარასკევი, 12.05.06

# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თეატრის დირექტორს უჩივის

გიორგი ბერიძე

☎ 7-42-05

10 მაისს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის შენობაში, ბათუმში მოქმედმა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ პრესკონფერენცია ჩაატარა ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. პრეს-რელიზში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ წარმოადგინა, წერია, რომ დრამატულმა თეატრმა რევოლუციის შემდეგ აღმავლობის ნაცვლად დაკარგა ძირითადი ფუნქცია და იქცა გასაქირავებელ ობიექტად, სადაც სპექტაკლების ნაცვლად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რაც ხელს უშლის თეატრის სპეციფიკურ მუშაობას, სარეპეტიციო პერიოდის დროს არ შეიძლება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება, რადგან ეს ხელს უშლის, თეატრმა მაყურებელს მიაწოდოს ხარისხიანი პროდუქცია. «ჩვენ მივმართეთ თეატრის დირექციას, ასევე განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაითვალისწინონ არსებული პრობლემის მნიშვნელობა და ის დროულად მოგვარდეს».

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი ნათია ებრალიძე თეატრის დირექციის მიერ მსახიობებთან დადებულ შრომით კონტრაქტზე საუბრობს: - ეს შრომითი კონტრაქტი სამართლებრივად გაუმართავია, ისეთ დებულებებს შეიცავს, რაც სამართლებრივი რეგულირების სფეროს სცილდება, მაგალითად, ერთ-ერთ ვალდებულებად არის მიჩნეული, რომ თეატრის თანამშრომელი მხარში დაუდგეს კოლექტივს საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, მუშაკს უფლება არა აქვს წამოაყენოს პრეტენზიები, გამოხატოს ემოციები, ეს დაუშვებელია.

პრესკონფერენციაზე სპექტაკლ «კალიგულას» ჩაშლაზე და რეჟისორ ზაზა სიხარულიძის სამსახურიდან გათავისუფლებაზეც ისაუბრეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ბათუმის საქალაქო სასამართლოში თეატრის დირექტორის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს და ითხოვს რეჟისორ ზაზა სიხარულიძის სამსახურში დაბრუნებას.

ჰო მართლა, მთავარი ჩემთვის ის კი არ არის, რა დაიწერა ინტერვიუში, მნიშვნელოვანი ის გახლავთ, თუ რა მითხრა რ. სტურუამ რამოდენიმე ადამიანის თანდასწრებით, ჩემი სპექტაკლის „ელექტრა“-ს ნახვის შემდეგ...

**ტკივილი დიდი მასწავლებელია -**
**მეტს დაგანახებს, ვიდრე ჭოგრიტი;**
**მწუხარებაა სიბრძნის მეგზური...**
**ლორდი ბაირონი**

## შ ი ნ ა გ ა ნ ი   მ ო ნ ო ლ ო გ ი

როდესაც პარტნიორს უსმენ, შენც მოქმედებ, ჩუმად ხარ, მაგრამ აფასებ ყველა ნიუანსს შინაგანად. დაუშვებელია ამ დროს ყურადღების მოდუნება ან სხვა საგანზე გადატანა.

იმისათვის, რომ დაიბადოს წარმოუთქმელი აზრი, აუცილებელია მსახიობმა შეიგრძნოს გმირის შინაგანი სამყარო. იგი უნდა ფიქრობდეს სცენაზე ისე, როგორც იფიქრებდა სცენიური გმირი.

**ტექსტი** - რა ვთქვა
**შინაგანი მონოლოგი** - როგორ ვთქვა.

რეჟისორ ზაზა სიხარულიძეს „კალიგულა“-ზე მუშაობისას შემოქმედებითი კონფლიქტი მოუვიდა მთავარ რეჟისორ გ. თავაძესთან და თეატრის დირექტორთან. იგი დაითხოვეს თეატრიდან.

სასამართლომ ეს აქტი უსამართლოდ მიიჩნია და მოითხოვა მისი აღდგენა სამსახურში.

ამასობაში, თეატრის ხელმძღვანელობის მიმართვის საფუძველზე, აჭარის კულტურის მინისტრმა ა. ჩიკვაიძემ საერთოდ გააუქმა რეჟისორის ორი საშტატო ერთეული ბათუმის თეატრში...

ყველაფერზე მეტად ის მეტკინა, სახლში ბავშვებმა რომ მითხრეს - აი შენი რობიკოო!...

ვფიქრობ, ძალიან ცუდადაა ჩემი საქმე - ადამიანების ამოცნობის საკითხში!

**პირანდელო**

რა არის არსი ადამიანისა?

პრობლემა – ადამიანის ნამდვილი სახე.

ადამიანი ატარებს ნიღაბს.

რომანტიკოსებისათვის – ნიღაბი და სახე წარმოადგენს გარეგნულს, ფასადურს.

პირანდელოსათვის – ნიღაბი თავის დაცვის საშუალებაა.

პრობლემა იმაშია, რომ ძნელია გაარკვიო, სად არის ან როდის არის ადამიანი მოჩვენებითი და როდის ნაღდი.

ე ს   ვ ა რ თ   ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი?!

აფხაზეთიდან ლტოლვილები რომ გამოყარეს ბათუმში, თბილისში, თელავში და ვინ იცის კიდევ სად თავიანთი დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან, პროტესტის ნიშნად არავინ გამოსულა ქუჩაში...

და რა?

ხელისუფლებამ ვიღაცა კუტუნიო ჩამოიყვანა ხალხის „გასართობად" და ჯერ მთელი თბილისი და მერე მთელი ბათუმი გამოვიდა ქუჩაში ამ კუტუნიოს კონცერტზე.

შეიძლება ასეთი რამე?!...

როდესაც ადამიანებს ართმევენ საკუთარ სახლებს, მიწებს, ქონებას, სულში გაფურთხებენ...

თუ შენ საკუთარი ქვეყანა გიყვარს, როგორ შეიძლება იმით მაინც არ გამოხატო პროტესტი, რომ ქუჩაში არ გამოხვიდე, როდესაც ვინმე კუტუნიო ჩამოყავთ, ან შადრევნებს ხსნიან, ან მოჩვენებით კეთილდღეობას აპიარებენ ათასგვარი საშუალებებით (2003-2007 წლები).

ფანტაზიის რა უნარი უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ხელისუფლების ასეთი ქცევა წარმოედგინა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

## ფანტაზია და წარმოსახვა

ფ ა ნ ტ ა ზ ი ა - არის აზრობრივი მოგზაურობა პირობებში და ვითარებაში, რომლებიც ჩვენ არ განგვიცდია, არ გვინახავს, არ ვიცით.

წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა - არის ის, რაც განგვიცდია, გვინახავს, გვსმენია. ეს ასოციაციური კავშირია ანუ ადრე სინამდვილეში განცდილი ხატების კომბინირება სხვა ახალ ხატად.

ყოველგვარი შემოქმედების საწყისი არის - წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა !

2000 წლის სექტემბერში, ბატონმა გიზო ჟორდანიამ, რომელიც იმ პერიოდში ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი იყო, მსახიობების ჯგუფი აიყვანა და შემომთავაზა მისი ასისტენტობა. დიდი მადლიერების გრძნობით ნდობისათვის დავთანხმდი, მაგრამ იმის შიში, - გავართმევდი თუ არა თავს ამ საპასუხისმგებლო საქმეს - არ მასვენებდა.

მოსკოვში უმაღლეს თეატრალურ კურსებზე სწავლისას მიღებულმა გამოცდილებამ ისეთ თეატრალებთან ურთიერთობისაგან, როგორებიც იყვნენ: ა. ეფროსი, ო. ეფრემოვი, ა. გონჩაროვი, ე. სიმონოვი, ი. ლუბიმოვი, ს. იურსკი, გ. ტოვსტონოგოვი, შექსპიროლოგი - ა. ანიქსტი, ბრეხტოლოგი - ბ. კლუევი, თეატრმცოდნეები - მ. შვიდკოი, ვ. ვულფი და კინოდრამატურგი ტ. გუერა - გამაბედინა ამ ნაბიჯის გადადგმა. ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე შემექმნა მოსაზრება, რომ ყველაზე რთული პროფესიები - ექიმობა და პედაგოგობაა. ერთი ეხება სიცოცხლეს, მეორე - სულიერებას. ამათ შემდეგ ყველაზე რთული მსახიობის პროფესიაა, ვინაიდან მსახიობმა უნდა შეძლოს საკუთარი სხეულის და სულის მართვა. არ ვიცი, რამდენადაა შესაძლებელი ადამიანს ასწავლო მსახიობობა ან რეჟისორობა, თუ მას ბუნებრივად არ ექნება მიდრეკილება ამ პროფესიებისადმი. დანამდვილებით ვიცი და ამიტომაც ვასწავლი სტუდენტებს იმას, თუ რა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა აკეთოს მსახიობმა ან რეჟისორმა.

**„შეუძლებელია ვინმეს შეასწავლო აზროვნების უნარ-ჩვევები“**

**ვ. მეიერხოლდი**

## მ ი ხ ა ი ლ   ჩ ე ხ ო ვ ი

რუსი მსახიობი. სტანისლავსკის მოწაფე. თეატრალური პედაგოგი. ავტორი ცნობილი წიგნისა - „მსახიობის ტექნიკის შესახებ“. რუდოლფ შტაინერის (ავსტრიელი ფილოსოფოსი 1861-1925) მიმდევარი.

მ. ჩეხოვი თვლიდა, რომ შ ტ ა ი ნ ე რ ი ს ანტროპოსოფია წარმოადგენს ს უ ლ ი ე რ ი ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ს და ამასთანავე ს ა მ ს ა ხ ი ო ბ ო ო ს ტ ა ტ ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ერთ-ერთ ხერხს.

ა ნ ტ რ ო პ ო ს ო ფ ი ა - სულიერი ფილოსოფიაა.

ეს ფილოსოფოსია განიხილავს ობიექტური, გონებრივად აღსაქმელი ს უ ლ ი ე რ ი ს ა მ ყ ა რ ო ს ა რ ს ე ბ ო ბ ა ს, რომლის პირდაპირი წვდომაც შესაძლებელია შინაგანი განვითარებით.

„არა არსებული გიბიძგებთ შემოქმედებისაკენ,
არამედ ის რაც შესაძლებელია არსებობდეს,
ა რ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი, მ ა გ რ ა მ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი“
რუდოლფ შტაინერი

# გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა

კ. სტანისლავსკისა და მ. ჩეხოვის

მიდგომებში მხატვრული სახის შესაქმნელად, მდგომარეობს იმაში, თუ რა შ ე მ ო თ ა ვ ა ზ ე ბ უ ლ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი მოქმედებს მსახიობი.

კ. სტანისლავსკი  და   მ. ჩეხოვი

მხატვრული სახის შექმნას განიხილავენ, როგორც მიზანს მსახიობისთვის.

გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა?!

კ. სტანისლავსკისათვის - მხატვრული სახე წარმოადგენს მუშაობის საბოლოო რეზულტატს.

მ. ჩეხოვისათვის - მხატვრული სახე მხოლოდ მასალაა.

კ. სტანისლავსკი - მიუთითებს მსახიობს, რომ მან უნდა ეძებოს მსგავსება საკუთარ „მე“-სა და პერსონაჟს შორის.

მ. ჩეხოვი - სთავაზობს მსახიობს ეძებოს განსხვავება!

კ. სტანისლავსკის მიხედვით - მსახიობმა მხატვრული სახე უნდა შექმნას თანდათანობით, სხვადასხვა ეტაპების გავლით, რომ შეეთვისოს შეთავაზებულ ვითარებას.

მ. ჩეხოვის მიხედვით - მსახიობმა თავიდანვე უნდა იმუშაოს მხატვრულ სახესთან, რომელიც მის

წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა შ ი წარმოიქმნება.

## მ ი ხ ა ი ლ   ჩ ე ხ ო ვ ი:

„მსახიობმა ემოციის გასაღვიძებლად მხოლოდ წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა ს უნდა მიმართოს და არ არის სავალდებულო, საკუთარ წარსულში ეძებოს ერთხელ უკვე განცდილი“.

წარმოსახვა - არის უნარი, ადამიანმა შეთხზას, გამოიგონოს და საკუთარი შინაგანი სამყარო შეავსოს ახალი ხ ა ტ ე ბ ი თ, უკვე განცდილის საფუძველზე.

მ. ჩეხოვმა თავის პედაგოგ კ. სტანისლავსკის აჩვენა ეტიუდი - „პანაშვიდი“.

როდესაც ეტიუდი დასრულდა, პედაგოგმა მოუბოდიშა მოწაფეს: „არ ვიცოდი მამა თუ გარდაგეცვალაო“.

მ. ჩეხოვმა უპასუხა: „ეს მხოლოდ ჩემი წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი ს ნაყოფი იყო, მამაჩემი ცოცხალიაო“.

წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი ს განვითარება ხდება სავარჯიშოების მეშვეობით.

მაგალითად - წაიკითხეთ ნებისმიერი მცირე მოცულობის ტექსტი. თუ თქვენს წარმოსახვაში სიტყვების მიღმა არ აღმოცენდება ხ ა ტ ი...

**ს ა ს წ რ ა ფ ო დ  ი ფ ი ქ რ ე თ  მ ს ა ხ ი ო ბ ი ს  პ რ ო ფ ე ს ი ი ს  შ ე ც ვ ლ ა ზ ე ! ! !**

**მ. ჩეხოვი**

სავარჯიშო:

„წარმოიდგინეთ, თითქოს წყალში ხართ და მოძრაობთ.

სხეულის არც ერთი მონაკვეთი არ უნდა იყოს უმოქმედო.

იგრძენით, რომ თქვენ სხეულში მიედინება ენერგია.

შეაჩერეთ მოძრაობა!

მაგრამ სხეულში შინაგან ენერგიას ისევ გრძნობთ.

დააკვირდით ამ შეგრძნებას!

ისევ გააგრძელეთ მოძრაობა.

წარმოიდგინეთ, თითქოს „ბურთს“ თამაშობთ თქვენი შინაგანი ენერგიით, მაგრამ თქვენი მამოძრავებელი ძალა არ უნდა იყოს „ბურთი“.

თქვენ უნდა იყოთ ბურთის მბრძანებელი.

შეწყვიტეთ მოძრაობა. მაგრამ სხეულში ისევ უნდა მოძრაობდეს ენერგია.

სწორედ ეს შინაგანი ენერგიაა ჩვენში არსებული მ ე ო რ ე ს უ ლ ი ე რ ი მ ს ა ხ ი ო ბ ი ს ენერგია !

მე, მსახიობს, ყოველთვის უნდა შემეძლოს ამ ენერგიის (მეორე სულიერი მსახიობი) ძალით ისე ვმართო ჩემი სხეული, როგორც მსურს.

ხ ი ლ უ ლ ი მსახიობი - ჩვენი სხეულია.

უ ხ ი ლ ა ვ ი მსახიობი - მეორე „მე მსახიობია“, რომელიც არის ხილულის მამოძრავებელი ძალა. ასეთი შეხედულება უნდა აღვზარდოთ ჩვენს გონებაში, რათა გავიგოთ აზრი და მიზანი შესრულებული სავარჯიშოებისა.

„თანამედროვე სამსახიობო ოსტატობის ტექნოლოგიის არსი იმაშია,
თუ რამდენად იტაცებს მაყურებელს მისი შინაგანი
სამყაროს ცვალებადობა“
პიტერ ო' ტული

## მ ს ა ხ ი ო ბ ი ს   პ რ ო ფ ე ს ი ა

ავტორისეული სიტყვების და რემარკების საშუალებით, მოქმედი პირის ფსიქოლოგიის ამოკითხვა, მისი გადაყვანა ქცევის და ქმედების ენაზე.

ამ პროცესში აუცილებელია გონებისა და გულის ჩართვა ერთდროულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსახიობის მოქმედება იქნება - უ ა ზ რ ო  ე მ ო ც ი ა  ა ნ  ე მ ო ც ი უ რ ი  უ ა ზ რ ო ბ ა!

ქ მ ე დ ი თ ო ბ ა - მ ს ა ხ ი ო ბ ი ს  ქ ც ე ვ ი ს  ა რ ს ი.

სცენაზე აუცილებელია მოქმედება - ფიზიკური და შინაგანი.

ხშირად ერევათ - სცენაზე მოქმედება და სცენაზე გადაადგილება.

სცენიური ქმედება - არის პროცესი, მიმართული დაბრკოლებათა გადალახვის გზით, მიზნის მისაღწევად.

სცენიური ქმედების ღერძია - პროდუქტიულობა ანუ პატარა სურვილების შესრულება დიდი მიზნის მისაღწევად.

სცენიური ქმედება - ერთიანი „ფ ს ი ქ ო - ფ ი ზ ი კ უ რ ი“ პროცესია.

მ ს ა ხ ი ო ბ ი ს  ს ც ე ნ ა ზ ე  ქ ც ე ვ ი ს ა თ ვ ი ს - მ თ ა ვ ა რ ი ა:

ს ი ტ ყ ვ ა ? - ა რ ა !

ჟ ე ს ტ ი ? - ა რ ა !

ქ მ ე დ ე ბ ა ? - დ ი ა ხ !!!

„სცენაზე  ო რ გ ა ნ უ ლ ი  ქმედების კანონები
უნდა ახლდეს ნებისმიერ თეატრალურ ფორმას“
ი. ლუბიმოვი

ფიზიკური ქმედება აღვიძებს ფ სი ქ ი კ ა ს. ამიტომ შეუძლებელია ქ მ ე დ ე ბ ა განვაცალკეოთ გ ა ნ ც დ ი ს ა და გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი ს ა გ ა ნ.

„გ ა მ ჭ ო ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს“ მუდამ თან ახლავს „ფ ს ი ქ ო - ფ ი ზ ი კ უ რ ი - გ ა ნ წ ყ ო ბ ა“.

იმისათის, რომ მსახიობმა რეპეტიციების დროს, რომ მიაგნოს რ ო ლ ი ს გახსნის ხ ე რ ხ ს, უნდა გამოიყენოს:

ან „ფიზიკური ქმედების მეთოდი“.

ან „ფსიქო-ფიზიკური-განწყობის“ მეთოდი.

სინამდვილეში არაფერი გამოვა რომელიმე მეთოდის გამორიცხვით.

მაგალითად:

„ფსიქო-ფიზიკური-განწყობა“ - გ ა ნ უ კ უ რ ნ ე ბ ე ლ ი.

„გამჭოლი მოქმედება“ - ვეძებ განკურნების გზებს.

გ ა მ ჭ ო ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა , რომელშიც ვატარებ გ ა მ ჭ ო ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს იქნება - გ ა ნ უ კ უ რ ნ ე ბ ე ლ ი !

ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი - ქმედებას მოჰყვება გ ა ა ზ რ ე ბ ა და გ რ ძ ნ ო ბ ა.

ს ც ე ნ ა ზ ე - ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია.

ჯერ გაიაზრებენ, გააანალიზებენ, მოქმედებენ და შემდეგ ჩნდება გრძნობა.

## მოქმედება სიტყვით – ურთიერთზემოქმედება

„გამოვყოთ ცალკე სიტყვა და ცალკე მოქმედება – უაზრობაა“
ე. ვახტანგოვი

ს ი ტ ყ ვ ა – ძირითადი იარაღია მაყურებელზე ზემოქმედებისა.

მოქმედება სიტყვით – არის პერსონაჟისაგან ქცევის, ანუ მოქმედების გამოვლინება.

უსმინო პარტნიორს – ნიშნავს ხედავდე იმას, რაზეც გელაპარაკებიან.

პარტნიორთან დიალოგისას – მე ვაიძულებ მას, დაინახოს მოვლენები ისე როგორც მე მაწყობს.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენ „ცხვრებს“, ანუ სტუდენტებს, რომლებსაც 4 წლის განმავლობაში ძალიან შევეჩვიე. ამ დროისათვის ბატონი გიზო ჟორდანია თბილისში გადავიდა.

მათი ინსტიტუტის დამთავრება დაემთხვა ჩემ მთავარ რეჟისორად მეორედ დაბრუნებას და ათივე დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მივიყვანე თეატრში სტაჟიორებად. დამოუკიდებელი, პატარა თეატრის გახსნა აჭარაში წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარეს ლ. ვარშალომიძეს თეატრი არ უყვარდა და არც ყურადღებას აქცევდა.

მე რომ თეატრიდან დამითხოვა, ჩემმა მოყვანილმა დირექტორმა (მალე მასაც დაატოვებინეს თანამდებობა) ჩემს სტუდენტებს მიჰყო ხელი. აი, აქ კი გამოჩნდა, რომ ვერ მისწავლებია მათთვის ყველაზე მთავარი - ერთად დგომა.

როდესაც ერთნი გაუშვეს, სხვებმა ხმა არ ამოიღეს, მერე ისინიც გაუშვეს და ასე დაიშალა ნალოლიავები ჯგუფი, რომელმაც ვერ გაუძლო თეატრის სინამდვილეს.

ორმა მათგანმა წერილი მომწერა. როდესაც წავიკითხე, მივხვდი, რაღაც მაინც მისწავლებია ამ პროფესიასთან დაკავშირებით. ამ წერილებს ვუკითხავ ყველა ჩემს სტუდენტს, უკვე მესამე ჯგუფი მყავს. ვუკითხავ იმიტომ, რომ რაც შეიძლება ადრე მიხვდნენ, არის ეს პროფესია მათი საქმე, თუ არა!!!

**„სპექტაკლში მსახიობებმა უნდა ითამაშონ**
**საერთო იდეა და არა თავ-თავიანთი როლები“**
**ჯ. სტრელერი**

ცხოვრებაშიც რომ ასე ხდებოდეს – იცოცხლე კარგია...

**„მსახიობის წოდება რომაელებში სამარცხვინო იყო,**
**ბერძნებში - საპატიო. ჩვენში როგორ არის?**
**მათზე ის აზრი აქვთ, რაც რომაელებს ჰქონდათ**
**და ეპყრობიან ისე, როგორც ბერძნები“**
**ჟან დე ლა ბრუიერი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან ვარშალომიძეს

ბატონო ლევან!

ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მსახიობთა ჯგუფმა მომმართა თხოვნით, რათა თვენს წინაშე რეკომენდაცია გამეწიო ერთერთ საშურსა და მნიშვნელოვან საკითხზე.

საქმე ეხება ახალგაზრდა მსახიობთა სურვილს ბათუმში შექმნან თბილისის „სარდაფის“ თეატრის ანალოგიური კულტურის კერა. ენთუზიასტთა ამ ჯგუფს მე კარგად ვიცნობ, ვიყავი მათი ლექტორი და წლების განმავლობაში ვეცნობოდი ახალგაზრდების შემოქმედებით მიღწევებს.

დამერწმუნეთ, რომ ახალგაზრდა მსახიობები მათი რეჟისორის, მ. ლებანიძის მეთაურობით ბევრ სიხარულს მოუტანენ ბათუმელ მაყურებელს. ვიმედოვნებთ, რომ ბათუმში შეიქმნება კარგი ახალგაზრდული თეატრი, რომელსაც ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება უთუოდ.

ჩემთვის, როგორც ქართული თეატრის მოღვაწისა და ხელოვანთა მრავალი თაობის აღმზრდელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის განვითარების რეგიონალიზმის პრინციპს. ამის გარეშე ვერ წარმომიდგენია ხვალინდელი საქართველოს კულტურის სახე.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვის სულერთი არ არის თუ როგორი იქნება აჭარაში ქართული კულტურის განვითარების პერსპექტივები. ამიტომ, მჯერა, რომ გულთან მიიტანთ აღნიშნულ საკითხს და დაეხმარებით ახალგაზრდა ენთუზიასტებს თეატრისათვის საჭირო სარდაფის ტიპის ფართის მოძებნაში, სადაც შესაძლებელი გახდება ახალგაზრდული თეატრის გახსნა.

წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისათვის.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატი, პედაგოგიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ვასილ კიკნაძე

4. 10. 2004 წ.



# „ტარტიუფი" — კამერული თეატრის პერსპექტივა

ᲓᲐᲕᲐ ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეს „თეატრმცოდნე"—ასეთ დადებით რეცენზიებსაც სწერდა, როდესაც მე მთავარი რეჟისორი ვიყავი და ის კი, ჯერ კიდევ , არ მუშაობდა თეატრში.

ძვირფასო ბატონო!

ისევ და მახსენდება:.. ჩვენი ახალგაზრდობა;
დაფიქრებული ჭადრები, ცისფერი და ყვავილებიანი
ველები, ვარსკვლავებით, მოწმენდილი ცის კიდეები,
ვარსკვლავებში" ამოზიდული მთები ჩამქრალი
და რაც მთავარია სახეები, მშვენიერი სული.

სულ ვიხსენებ ანეკდოტებს ახალგაზრდა ჭაბუკების
ხუმრობით გადაცემულს: სვანურ-რაჭულს, იმერულს,
ნაწყვეტებს, სტუმართმოყვარეობას და ყოველივე
რაც მრავალფეროვანი საზოგადოებისთვის
ისეთი ბუნებრივი, ვფიქრობ დამამშვიდებელი
რაღაცნაირი ამ დიდებული ადამიანის, როგორც ნერვიულ
განმუხტავენ ნაზიარები „სიმშვიდეები."

რა მოხდა?.. რა მისცა ადამიანებს, რომ
არ უყვარდეთ ერთმანეთი?.. (ვინ იცის)

მოგონებები. ვინ ... და ისევ რისი?..
ვაჟკაცი მამაცი დიდი სიტყვა მე მისი სათქმელი
დამავიწყდება. ასე მამაცი სიცოცხლე
მშვენიერია — „ხელფეხ ოღონდ სიმღერა ლხინი"

. . .

ნუ... [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]
იმ სოფლებში [illegible] [illegible] ~~[illegible]~~
([illegible]) მე არ [illegible]. [illegible] კი
10 დღით არ [illegible] [illegible].
(3 დღით [illegible] [illegible]) რომ დიდი
„[illegible]" და დიდი [illegible] [illegible].
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] მაგრამ, [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]. [illegible]
[illegible] [illegible] იმ [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible]
[illegible].

[illegible] [illegible] დიდი ხანი [illegible], მაგრამ
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible].

ძალიან [illegible] ჩვენი [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] — [illegible]
[illegible], [illegible], [illegible], მაგრამ [illegible]

ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] ალბათ [illegible] [illegible] [illegible].
ალბათ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]:
[illegible] [illegible] [illegible] და ყველაფერი
[illegible], [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] — [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] მაგრამ... [illegible] ყველა
[illegible] [illegible], [illegible].

მადლობა ყველაფერისთვის...

აუცილებლად [illegible]

„მსახიობის აუცილებელი თვისებაა,
შეეძლოს ემოციურად მიითვისოს მისი გმირისათვის
შეთავაზებული გარემოება და ამავე დროს დარჩეს
თავის თავად."

„მსახიობი უნდა გამოდიოდეს საკუთარი „მე"–დან,
მაგრამ ესწრაფოდეს გარდასახვისაკენ"
მ. თუმანიშვილი.

X X X

ჩაქრა მზე......

დაღვრემილ საღამო... მიჰყოლოდა სოფელს
ქე მომაწვა ფიქრებში მონატრების ის ერთი
დღე და ადამ ჩემს სიცოცხლის დამავიწყდება...
[I ინსტიტუტის კორპუსის II სართული ის
დასწავლი მამაკაცი და „ლოდი ქუმარსელი" კურსელია.
ხოჯორი „ემოციური მომავლისთვის ყველა, გამ-
ვიქრი, გამოვდივარ და მიდიოდ ვიჯერ...
რ დამავიწყებს მივიდოდი ჩემი მიყოლაკელ.
ჩემი ცხოვრების]... ის წლის ადრის მხიარული
და ასეთი სიცილი მიმღერდა, ვინ მიხედა ეს სწ
ხარ და ჩა ქინდა. მაგრამ მერე მოვიხვდი ჩემ
ასაკის ეს უნდა დავკავშირო ვარ-ხელი მე
უნდა ვიცხოვრო და ვიყო მხოლოდ მხიარული
გამიგია თუ ეს ქემმინდელის მის დრო მიხვდები
მაგრამ გავაცილე მეგობრი მისი........
სიმძიმე ქალის ის წლის ვერცხლის ვერ
ქალბატონ მიმღერდა ყველა მოგონება

ჭკვიან ქალს ვეძებდი... და ბევრ მეძავს. წლებს [illegible]
ყოველდღიურად ერთი წელი (ის [illegible]) და ერთი
[illegible] და [illegible] სხვები ჯერ მისწრაფებისთვის.

(მისთვის ეს სიტყვები — „აჰ მოიხელთეთ მიზნით
ახ მოიხელთეთ მიზნით [illegible] ვეძებდი ④ წელი
[illegible]) ეს... და [illegible] [illegible]. მისთვის ხუთი
მიწანი, ჰავა, [illegible] და [illegible], [illegible],
მე [illegible] რაც, რაც ვერ [illegible]?
[illegible] ვარ მისწრაფი?

[illegible] ის მიზნის სიმშვიდე [illegible]
[illegible] ④ წელი ხუთი [illegible].

~~2000~~

მერსედ

2004

## განსხვავება ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ და დ ა ს ა ვ ლ უ რ კულტურებს შ ო რ ი ს

**მასწავლებელი აღმოსავლეთში** არ არის შუამავალი ცოდნასა და მოსწავლეებს შორის. იგი თვითონაა სიბრძნე.

ის არ ცდილობს შეავსოს მოსწავლეთა ცოდნის მარაგი. მოსწავლე არის ჩირაღდანი, რომელიც უნდა აანთოს მასწავლებელმა.

მოსწავლე თვითონ ეძებს თავის მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ს.

**მასწავლებელი დასავლეთში** – შემეცნებითი აქტივობა მოდის მასწავლებლიდან.

იგი ცდილობს მეტი ცოდნა შესძინოს მოსწავლეს.

მასწავლებელი ორიენტირებულია ჯგუფზე და ცდილობს, გაათანაბროს ყველა მოსწავლე.

აღმოსავლური სწავლება – ხელოვნებაა.

დასავლური სწავლება – მეცნიერება.

აღმოსავლური ხელოვნების სკოლაში მიღების წესები:

მოსწავლეს არ შეუძლია თვითონ მიიპყროს მასწავლებლის ყურადღება.

მასწავლებელმა უნდა შეამჩნიოს მოსწავლე.

1. ყველა მოსწავლე ასრულებს შავ სამუშაოს.

2. როცა დაიღლებიან, ყველას ურიგებენ თხელ პურს.

3. შემდეგ ყველას ურიგებენ უძირო ფიალებს.

4. შემდეგ ამ უძირო ფიალებში ჩამოასხამენ სუპს.

მოსწავლემ უნდა გამოიჩინოს გონიერება – როგორ დალიოს სუპი უძირო ფიალიდან.

მოსწავლეები შეჰყავთ გამოცდაზე.

დიდ დარბაზში, ყველას აყენებენ მოუხერხებელ პოზიციაში.

ჩაირიცხებიან ისინი – ვინც დაიღალა, მაგრამ ისევ დგანან იმავე პოზიციაში.

მთავარია საკუთარ თავზე ზემოქმედება.

ნებისყოფის გამომუშავება.

ძლიერი სულის გამომჟღავნება.

**კიდევ ერთი მაგალითი:**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ჩაის დალევას და ჩამოურიგებს ფიალებს.

ის მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის ხელიდან დასხმულ ჩაის დალევენ, სკოლაში არ მიიღებიან.

ვინაიდან მოსწავლე მასწავლებელს აყენებს უბრალო ჩაის დამტარებლის როლში – რაც მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა.

**„მეტაფიზიკა – ეს არის ის, რაც იმალება მოვლენების უკან,**
**რაც წარმოადგენს ა რ ს ს“**
**პლატონი**

## ქ ვ ე ტ ე ქ ს ტ ი და ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა

**ქვეტექსტი** – გმირის შინაგანი ცხოვრება, რომელიც აცოცხლებს და ამართლებს როლის სიტყვებს.

**ინტონაცია** – ქვეტექსტის სიტყვიერი გამოსახვა.

შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს აზრი – ქვეტექსტების ამოცნობაშია.

მ ე ო რ ე „პლანი“ – გმირის შინაგანი სულიერი სიმდიდრე, რომლითაც ის შემოდის სცენაზე.

რით არის დაკავებული მსახიობი, სანამ გაიხსნება ფარდა, სანამ ფეხს შემოდგამს სცენაზე.

(საიდან მოდის, რა უნდა, რით მოდის?)

„მხატვრული იდეა იძლევა საბაბს - ბევრი იფიქრო,
მაგრამ არც ერთი განმარტება არ შეიძლება იყოს
მისი ადეკვატური“
ი. კანტი

## თ ე მ ა  და  ი დ ე ა

თემა – არის ხელოვანის მიერ ნაწარმოებში ასახული ძირითადი საკითხების წრე.

იდეა – არის ავტორის მთავარი აზრი. მის მიერ შეფასებული მოვლენათა წრე და დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი.

თემა – არის ნაწარმოების სიუჟეტი (თემა ობიექტურია).

იდეა – არის ნაწარმოების კონფლიქტი (იდეა სუბიექტურია).

იდეა – არის კონფლიქტის ფორმულირება, ჩემეული წაკითხვა, მოდიფიკაცია.

იდეა – ზეამოცანა – რატომ ვდგამ ამ სპექტაკლს, რას ვამტკიცებ, რას ვუარყოფ?

თემა – არის ცხოვრების ფაქტის მხატვრულად ასახვა. განსაზღვრავს ადამიანის სულიერ საწყისს. ის, რითაც ცხოვრობს ადამიანი – არის მისი შინაგანი თემა.

თემა – პრომლემა, რომელსაც ასახავს ავტორი ნაწარმოებში. როდესაც ამოიცნობ ან გაიგებ პრობლემას – ის იქცევა იდეად.

„ქ ვ ე ყ ნ ი ს  მ ა რ თ ვ ი ს თ ვ ი ს  ტ ი რ ა ნ ს
არც დიდი ხელოვნება სჭირდება, არც სიბრძნე“
ჟან დე ლა ბრუიერი

8 აგვისტო, 2008 წ.

(20 წლის უკან, მე ოჯახი შევქმენი).

პეკინში ოლიმპიადა დაიწყო.

საქართველოში – ომი დაიწყო რუსეთმა...?!

ვითომ „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის დასაცავად.

რუსები აგრესორები არიან, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელი თუ ხარ, ისეთი პოლიტიკა უნდა აწარმოო, რომ ომამდე არ მიიყვანო შენი ქვეყანა.

როდესაც აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში რუსულ პასპორტებს არიგებდნენ ღიად და უკანონოდ, ჩვენმა ხალისუფლებამ რა მოიმოქმედა ამის აღსაკვეთად ან საპირისპიროდ.

ლაპარაკის მეტი არაფერი...

„პოტიომკინის სოფლის“ მშენებლობით იყო დაკავებული.

შადრევნები, შენობების ფასადები, ხელოვნურ საფარიანი ბავშვთა სტადიონები (რომლებიც თურმე მავნებელია ჯანმრთელობისათვის).

## ს ა ხ ი ს   მ ა რ ც ვ ა ლ ი

## ხ ა ს ი ა თ ი

ხ ა ტ ი (სახე) – არის სამყაროს მხატვრულად აღქმა, აღწერა, არეკვლა.

მარცვალი – ეს არის, ყველაზე მნიშვნელოვანი „ფსიქო ფიზიკური“ მდგომარეობა – გმირის სახეში.

ხასიათი – აზრთა წყობა და შეფასება, რომელიც ვლინდება გმირის მოქმედების მანერაში და სტილში.

ხასიათის თვისებები – ჩვევები, მანერები, რომლებიც ავლენენ ხასიათის შინაგან თვისებებს და თავისებურებებს (მოდი, დავილაპარაკოთ და წვება – მეძავი ქალის ხასიათისთვის გამოდგება).

არსებობს გმირისათვის დამახასიათებელი „ფსიქო ფიზიკური“ მდგომარეობა მთლიანი სახის შესაქმნელად, მისი ხასიათის თავისებურებიდან გამომდინარე.

ხოლო მთლიანი სახის შექმნის სხვადასხვა ეტაპზე, გმირის „ფსიქო ფიზიკური“ მდგომარეობა დამოკიდებულია ვითარებაზე:

მაგალითად, რ. სტურუას „რიჩარდ მესამეში“ რიჩარდი ფიზიკურად კოჭლია, რაც ხაზს უსვამს მის ფსიქიკურ მდგომარეობას – ხეიბარი, რომელიც ილტვის ხელისუფლებისაკენ.

12 აგვისტო, 2008 წ.

ომი არ დამთავრებულა...

რუსები ბომბავენ საქართველოს ქალაქებს...

შენ პატარა ქვეყნის მეთაური ხარ და იცი, რომ რუსეთს ძალით ვერ მოუგებ (თუ არ იცი, მაშინ სულელი ყოფილხარ) და ამერიკელების წაქეზებით, მაინც ებმები პროვოკაციაში.

შენ თუ ხალხმა აგირჩია???

ხომ ხედავ, რომ უდანაშაულო მოსახლეობა იხოცება...

გამოიჩინე გამბედაობა, თავდადება (თუ ეს თვისებები საერთოდ გაგაჩნია) და გადადექი!!!

ნუ გადადგები რუსეთის მოთხოვნით!

გადადექი შენით...

რუსეთი შეწყვეტს ომს..

დაანახე მსოფლიოს, რომ კაცი ხარ და არ ებღაუჭები ს კ ა მ ს.

მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ამ სიტუაციას შენ და მთელი ხელისუფლება იყენებთ ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

როგორ უსინდისოდ ბაქიბუქობენ შენი მთავრობის და პარლამენტის წევრები – ჩვენ მაგრები ვართო, ამას ვუზამთ, იმას ვუზამთ რუსებსო.

სინდის-ნამუსი სულ დაკარგეთ?

თუმცა, რაც არ გქონდათ, რას დაკარგავდით?!

მაგრები ის ჯარისკაცები იყვნენ, შენ რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში გაგზავნე.

რ ო მ ლ ე ბ ი ც შ ე ა კ ვ დ ნ ე ნ რუსებს..

შენ გაგზავნე ისინი მიშა!!!

შენ ხარ ა რ ა კ ა ც ი !!! – ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ო...

ახლა რომ ითხოვ შეშინებული, გამოდით ყველანი ქუჩაში, მთელმა მსოფლიომ დაგვინახოს, რომ ერთად ვართო.

გამოიყვანე შენი მომხრეები. ღამით აეროპორტში რომ მივიდნენ ახალგაზრდები, ამერიკული დროშებით – ისინი ხომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ და ინტუიცია მკარნახობს, რომ 2007 წ. 7 ნოემბერს, ქუჩაში გამოსულ ხალხს რომ ნიღბიანები უსწორდებოდნენ, სწორედ ისინი იყვნენ.

„ადამიანზე. ადამიანით. ადამიანისთვის.“
**ჟან-ლუი ბარო**

კარგა ხანია, ამ ქვეყანაში ცხოვრება ისე მიედინება, რომ არავის არავისი არ სჯერა, არაფერი არ უნდათ. ა რ ა, როგორ არ უნდათ...

ყველას საკუთარი თავი აღელვებს მხოლოდ. ადამიანები არ ვუსმენთ ერთმანეთს.

ვფიქრობ, ოტელოს რომ დეზდემონასთვის მოესმინა, ნამდვილად არ დაახრჩობდა.

„გენიალური სიმარტივე -აღაგფრთოვანებს“ - წერდა ბ. პასტერნაკი. ადამიანი - ადამიანისთვისაა!

ჩავიფიქრე, გავაკეთოთ სპექტაკლი - „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“. გასაფიქრებლადაა საშიში და გასაკეთებლად???

ვიცი, დაიწყება, რომ სახელისათვის ვაკეთებ, იმისთვის და ამისთვის ვაკეთებ. რა ჯანდაბად მინდა სახელი, თანაც ამ ქვეყანაში. უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე. მე ხომ ვიცი, რისთვისაც ვაკეთებ. ვინც მონაწილე იქნება, ხომ გაიგებენ რატომ ვაკეთებთ და მოუყვებიან სხვებს...

თუ შევძლებ ამის გაკეთებას, რაღაცა სარგებელი მაინც დარჩება ჩემგან. აბა ისე რას წარმოვადგენ მე...

ჩემი ფინანსური შენატანი ოჯახში დიდი ვერაფერია.

ჩემი სტუდენტები დიპლომებს აიღებენ და უმუშევრები დარჩებიან. შვილებს ვეუბნები, რომ არ უნდა ეწყინოთ, თუ დაბადების დღეს არ მიიღებენ საჩუქრებს, მერეც ხომ შეიძლება... სულ მერე და მერე...

აღარ უნდა დასრულდეს ეს მერე და მერე... ნატოზე საერთოდ არაფერს ვამბობ (ის გამიგებს), იმიტომ კი არა, რომ მეუღლეა, - უბრალოდ ესმის ჩემი. ვიცი, ბავშვები რომ გაიზრდებიან - „სულელი იყოო“ - იტყვიან ჩემზე ალბათ (უფრო უარესი თუ არ თქვეს)...

და მართლებიც იქნებიან!

სულელი ვარ, აბა რა ვარ, - რუსთაველს მოვკიდე ხელი...

ვისი იმედით, რისი იმედით...

და თანაც მიუზიკლის ჟანრში?

რჩევები, იცოცხლე; ასლანს ანახეთ და თუ მოეწონა აუცილებლად მიიყვანს საქმეს ბოლომდეო. იმან შეიძლება მიიყვანოს...

მე შევძლებ??? (ეს ხდება 2003 წელს).

## თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი   მ უ ს ი კ ა და სცენოგრაფია

არაფერი ისე არ ბადებს ასოციაციებს, როგორც მუსიკა. ცნობილია, რომ მ ო ც ა რ ტ ი - ერთსა და იმავე თემას წერდა ერთხელ მ ა ჟ ო რ შ ი, მერე - მ ი ნ ო რ შ ი. ცხოვრებაშიც ხომ ასე ხდება, მაგრამ გააჩნია ვისთვის როგორ. თეატრალური მუსიკა განსაკუთრებულია. მთავარი ლეიტ-თემა კონფლიქტში უნდა მოდიოდეს მთავარი გმირის მოქმედებასთან (როცა ამის აუცილებლობაა). თეატრალური მუსიკა არ უნდა იყოს სცენაზე ქმედების ილუსტრირება.

ასევეა თეატრალურ მხატვრობაშიც - სცენოგრაფიაში.

სპექტაკლის დეკორაცია არ უნდა მიანიშნებდეს მხოლოდ მოქმედების ადგილს. ის უნდა იყოს ხატოვანი (სახიერი) და უნდა მოდიოდეს კონფლიქტში მთავარი გმირის ზეამოცანასთან (აუცილებლობის შემთხვევაში).

თეატრში ვერ შევედით, სხვა რეპეტიციების გამო. ვერიდები, რომ მოვითხოვო რეპეტიცია. თუ ვდგამ „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“ - სხვას ხომ არ შევუშლი ხელს.

არ ვიცი, როგორ მოვახერხოთ ჩვენება. ერთი ჯგუფი მუშაობს სკოლის დარბაზში (რიტა ჩხენკელი), მეორე ჯგუფი - მუსიკალურში, კაპელასთან (ქეთინო მანელიშვილი), მესამე - ავარიულ შენობაში, მერიის ქორეოგრაფიული ჯგუფი (მერაბ დოლიძე). ყველა ჯგუფს კოორდინირებას უწევს ლეილა სეფერთელაძე. უკვე 6 თვეა ვმუშაობთ ენთუზიაზმზე. უბრალოდ, ყველას გვინდა, რომ გამოვიდეს. ამის პასუხად - დაცინვა, აბუჩად აგდება, ჭორაობა, ხელის შეშლა...

რა კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთ...

მესმის, გოდერძი ჩოხელმა რატომ დააპირა თავის მოკვლა...

მაგრამ, ამ ქვეყანაში ცოცხალი არავის ადარდებს და მკვდარი ვის რაში ეზუზუნება...

ვნახოთ რა იქნება...

მაინც მოვახერხეთ ჩვენება. ჩიტო ომერაძე (კულტურას კურირებდა ასლანის აპარატში) დაგვეხმარა. ვაჩვენეთ ერთი სცენა - „ქაჯეთის ციხის აღება". ჩვენება დასრულდა და რამოდენიმე ადამიანი დარბაზიდან გავარდა... შემდეგ გვითხრეს - „ემოციებმა აგვიტაცესო". ა. აბაშიძის გარემოცვამ გვითხრა: „უცხოელ სტუმრებთან ერთად უყურებდა და ყველას მოეწონაო". ერთ კვირაში ასლანს მეუღლე გარდაეცვალა... მერე ვითომ „ვარდების რევოლუციამ" მოგვისწრო და...

გუშინ, 2010 წლის 26 თებერვალს, სააკაშვილის ყოველწლიურ გამოსვლას პარლამენტში ტელევიზიით გადმოსცემდნენ. არ ვიცი დამთხვევაა თუ არა, მაგრამ ვოვა სიხარულიძის პიესას „ოიდიპოსი" ვკითხულობდი. სააკაშვილს, ზნეობისა და ღირსების ნატამალიც რომ გააჩნდეს, მას ათასჯერ უნდა დაეთხარა თვალები, ასეთ მოკლე დროში ჩადენილი ცოდვებისათვის.

TV-იმედის არხზე ერთი შეხედვით უწყინარი დილის გადაცემა გადის - „მხიარული ოჯახი". მთელი ქვეყნის თვალწინ, ყოველ შაბათ-კვირას, თუ წამყვანის შეკითხვაზე მშობლების პასუხი არ დაემთხვევა მათი შვილების პასუხს, ჯერ იყო და შვილები (სკოლამდელი ასაკი) მოზრდილი ჩაიდნიდან წყალს ასხამდნენ თავზე მშობლებს, ახლა უკვე ნამცხვრის კრემით უღებავენ სახეს. სამწუხაროა, რომ გადაცემის მონაწილენი და წამყვანი ვერ აცნობიერებენ, რას ემსახურება ეს გადაცემა...

გადაცემა ემსახურება მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ტრადიციის ნგრევას.

მეორე გადაცემა TV-იმედზე - „სიმართლის დრო".

ადამიანებს უსვამენ შეკითხვებს. პასუხებს აკონტროლებს სიცრუის დეტექტორი. ეს ხდება ფარულად. შემდეგ ჩანაწერში ვხედავთ, 21 შეკითხვაზე მართალი პასუხის სანაცვლოდ ადამიანი მიიღებს 100 000 ლარს. რა ჩანაფიქრია ამაში? ეს არის ამ ხელისუფლების პრიორიტე-ტული პროექტი. ტელევიზია ენაცვლება ეკლესიას! ადამიანები აღსა-რებას აბარებენ მოძღვარს. ამ ხელისუფლებას უნდა, რომ ადამიანებმა ანაზღაურების სანაცვლოდ აღსარება ჩააბარონ არა მოძღვარს, არამედ ტელე-შოუს წამყვანს...

ახალი ტიპის ადამიანის გამოყვანა სურთ...

აი, ასეთ დროებაში ვცხოვრობთ!

გამაოგნებელი და დაუჯერებელი ისაა, რომ 2018 წელს TV-იმედმა განაახლა გადაცემა „სიცრუის დეტექტორი“ ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში.

**ვინც ხელი აღმართოს თავის მოძმეზე!!!**
**წყალი უნდოდეს და - არ მიეწოდოს!**
**ცეცხლი უნდოდეს და - უცეცხლოდ დარჩეს!**
**შვილი ენატრებოდეს და - ვერ პოულობდეს!**
**შინ დაბრუნდეს და - ოჯახი განუდგეს!**
**სიცოცხლით ტკბებოდეს და - ცხოვრება გაუმწარდეს!**

ეს მიმართვა 2007 წლის 8 ნოემბერს შევადგინე.

ალექსანდრე ყაზბეგს დავესეხე. ბათუმის ქუჩებში ჩემ სტუდენტებთან ერთად ვურიგებდით პოლიციელებს.

შედეგი ვერ მივიღეთ. ვერ შევჩერეთ ადამიანების ცემა-დაპატიმრებები. ბათუმში რომ ოპოზიციონერები ჩამოდიოდნენ მიტინგების ჩასატარებლად, მათაც ვურიგებდით, ვთხოვდი ტელეეთერში გამოსვლისას გაეხმოვანებინათ, მაგრამ...

2009 წლის 9 აპრილს აქციებზე დაპირისპირებამ უფრო მძაფრი, უხეში, არაადამიანური ფორმა მიიღო ხელისუფლების მხრიდან...

და საერთოდ!

რა შუაშია პოლიტიკური დაპირისპირება, ისედაც ც ო ტ ა ნ ი ვართ ქართველები!

ტელევიზიები რომ გვაუწყებენ...

ქართველმა ქართველი მოკლაო...

ეს ხომ უნდა შეაჩეროს ვინმემ ?

ისევ ალექსანდრე ყაზბეგს დავესესხები: „მოძმეთა სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს - გადასწყვიტე თემო!“

მ. სააკაშვილი უნდა მ ო ი კ ვ ე თ ო ს ერისაგან!!!

ეს ალბათ უნდა გააკეთოს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. შესაძლოა ვმკრეხელობ, მაგრამ საუბედუროდ სხვა გზას ვერ ვხედავ!

ხელისუფლება თუ ფიქრობს, რომ ვინმეს დაავიწყდა 7 ნოემბერი ან გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი და კიდევ ვინ იცის რამდენი სისაძაგლე. არნახული სიმდიდრის ხელში ჩაგდება, ტელეკომპანია „იმედის“ მითვისება; ყვირილი, რომ რუსეთი აგრესორი და დამპყრობელია და მათთვისვე საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გადაცემის მცდელობა და რამოდენიმე ობიექტის გადაცემა.

„მიხო“ - შენ მხოლოდ საკუთარ ხალხთან გასწორების ძალა შეგწევს. ეს კარგად გამოჩნდა ამ ომში. ახლა, როცა ძალაუფლებას კარგავ, ყველას დახმარებას სთხოვ. რა თქმა უნდა, დაგეხმარება ჯორჯ ბუშის მთავრობა, რომელმაც უსინდისოდ, ლეგიტიმურად სცნო ჯერ საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო (ყველა ევროპელი დამკვირვებლების მიერ გაყალბებულად შეფასებული) არჩევნები. სხვა სახელმწიფოებმაც სცნეს ეს გაყალბებული არჩევნები, მაგრამ როგორც ამბობენ - „ხელი ხელს ბანს და ორივე ხელი პირსო“... რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთი შემილახავს ღირსებას, ამერიკა თუ საქართველოს ხელისუფლება. ის უფრო მტკივნეულია, როცა საკუთარი ხელისუფლება სრულიად თავხედურად გილახავს ღირსებას, გცემს ხელკეტებით, გწამლავს აირით, გაპატიმრებს უსამართლოდ...

პუტინმა რუსეთში ხალხის მიმართ თქვა: „мочить в сартире“-ო. შენ, მიშა - „ჩარეცხილები“ უწოდე ქართველთა ნაწილს. ვისაც რუსული ცოტა მაინც ესმის, ადვილად მიხვდება, რომ ამ ფრაზების წარმოთქმა შეეძლოთ მხოლოდ ერთი და იგივე მენტალობის ადამიანებს. შეცდომაა - ადამიანებს, სწორია - სუბიექტებს. არავითარი განსხვავება შენსა და პუტინს შორის არ არსებობს. თქვენ ბოლშევიკური იდეებით ცხოვრობთ - „ვინც ჩვენს მხარეს არ არის, იგი ჩვენი მტერია“.

პუტინმა თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ომი წამოიწყო ჩეჩნეთში. შენ, „მიხო“ - იმავე მიზნით ომი წამოიწყე ოსეთში.

პუტინმა ადამიანები გაწირა: „ნორდ-ოსტის“ ოპერაციისას, ბესლანში სკოლის შტურმისას, წყალქვეშა ნავის „კურსკის“ ჩაძირვისას და კიდევ ვინ იცის... შენი ბრძანებით სვანური კოშკი გაანადგურეს, სადაც იცოდი, რომ ადამიანები იყვნენ. შენს მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“ ნიშნავდა ნებართვას ადამიანების ქუჩაში

ხოცვისა. ციხიდან დამნაშავეებს უშვებ შეწყალების საფუძველზე და მერე მათ იყენებ შენი ბინძური მიზნების მისაღწევად...

ღ მ ე რ თ ი   ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს   ხ ე დ ა ვ ს!

არავის შერჩენია ჩადენილი ბოროტება!

არც შენ შეგრჩება...

ეს ქვეყანა ნამდვილად ჩალითაა დაფარული...

გაგიჟდება კაცი!

ოსეთში წაგებული ომის ერთი წლის თავზე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბაიდენი ჩამოვიდა.

არ ვიცი რატომ ჩამოვიდა ბაიდენი, არც ის ვიცი, როგორი ადამიანია, მაგრამ ვიცი, რომ კაცურად ვერ მოიქცა, როდესაც ახლად აშენებულ პრეზიდენტის სასახლეში შევიდა, პირი დარჩა ღია გაოცებისაგან (ამოიღეთ სატელევიზიო კადრები). გაოცებული და გაოგნებული იყო იმით, რომ ქვეყანამ, რომელმაც ომი წააგო, ტერიტორიები დაკარგა, ლტოლვილების რიცხვი გაეზარდა და მას მსოფლიომ დახმარების სახით 4 მილიარდი დოლარი გამოუყო, როგორ გაბედა ქვეყნის ხელისუფლებამ ასეთი სასახლის აშენება, როდესაც ამდენი უსახლკარო, გაუბედურებული ადამიანი გყავს ქვეყანაში.

იმიტომ ვერ არის ბაიდენი კარგი კაცი, რომ სააკაშვილს ამის გამო საჯაროდ არ უთხრა საყვედური.

არადიპლომატიურობა აქ არაფერ შუაშია...

ბაიდენს საქართველო ფეხებზე ჰკიდია...

ისტორია მეორდება – „ლუდოვიკოს საქართველო ფეხებზე ჰკიდია“.

შენი საპრეზიდენტო სასახლის ნახვის შემდეგ, ბატონ ბაიდენს ის ლტოლვილების სოფელიც ენახა, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკს უფრო ჰგავს და შეედარებინა, სად ცხოვრობენ ომგამოვლილი ლტოლვილები და სად ნებივრობს პრეზიდენტი.

არსებობს მოსაზრება, რომ ომი სააკაშვილმა სწორედ იმიტომ წამოიწყო, რომ ეს 4 მილიარდი დახმარება მიეღო, ვინაიდან ქვეყანა შიმშილის პირას იდგა და მოსალოდნელი იყო სოციალური აფეთქება.

იმ ადამიანების ბედი ხომ არავის ანაღვლებს, რომლებიც გასულები არიან ქვეყნიდან სამუშაოს საძებნელად, რათა ოჯახებს დაეხმარონ. ასეთები 1 მილიონზე მეტია.

რ ა ტ ო მ?!...

მეც ასე უნდა მოვიქცე, რადგან „უღირსი ქვეყნის" მოქალაქეობა ვერაფერი შესაშური საქმეა.

ყველაფერი, რაც გვჭირს, ჩვენივე - ქართველების ბრალია.

უინსტონ ჩერჩილს უთქვამს: „მეორე მსოფლიო ომში რუსები ისე შეეჩვივნენ ცუდ ყოფას, მათ ძალიან გაუჭირდებათ იცხოვრონ კეთილდღეობაში".

საინტერესოა, ჩვენ, ქართველებს რამდენი დრო დაგვჭირდება, რომ ვიცხოვროთ კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა შ ი???

ეს მანიფესტი იმ „ხელოვანთათვის" გავაკეთე, რომლებიც მიშას კუდს უქიცინებენ.

ვურიგებ ყველას, ვინც ბათუმში ჩამოვა „პრეზიდენტის მხლებლებად", ასე ვთქვათ, ხალხის გასაბაიბურებლად.

ვერ მოვისვენე, სანამ რაღაცა ხერხით პროტესტი არ გამოვთქვი, ყველა ამ უზნეობის საპასუხოდ.

გადავწყვიტე სპექტაკლის დადგმა ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტებთან. ამ დროისათვის ხელოვნების ინსტიტუტი უკვე ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი იყო (ესეც განათლების რეფორმის კიდევ ერთი „მიღწევა") და ძალიან აქტიურად მუსირებდა აზრი ამ ფაკულტეტის გაუქმების შესახებ.

ჩვენს სპექტაკლში „და სახელად ეწოდება საქართველო" - ნათლად ჩანდა, როგორ ებრძვის ხელისუფლება კულტურას, განათლებას, სარწმუნოებას, მაგრამ ქვეყანამ, რომელმაც იმდენ დამპყრობელს გაუძლო, ამათაც გაუძლებს და გადარჩება.

მეიერხოლდი ამბობს: „მოქალაქეობრიობა შეიძლება გამოამჟღავნო კრებაზე გამოსვლისას, ხელოვნებაში მოქალაქეობრიობა უნდა გამომჟღავნდეს შემოქმედებითად".

ვფიქრობ, სამოქალაქო პოზიცია კავშირშია აღზრდის პროცესთან.

საამაყო ბევრი არაფერი ჩამიდენია, მაგრამ ნამდვილად ვამაყობთ მე და ნატო ჩვენი ქალიშვილების საქციელით.

მ ა გ დ ა - რომელმაც არ გაითვალისწინა თხოვნა და მაინც ჩააბარა სამსახიობოზე (გ. ჟორდანიას სახელოსნო), 2007 წელს მისული იყო ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ გამოცხადებულ ქასტინგზე და როცა დაინახა, რომ ორგანიზატორები იყვნენ ნაცმოძრაობის აქტივისტები, არც კი შესულა გასაუბრებაზე...

ა ნ ა ს - ძალიან დიდი ხნის მანძილზე არ გაუვლია რუსთაველზე, სადაც 2011 წლის 26 მაისს უმოწყალოდ დაარბიეს მიტინგი...

როდის და რის გამო უყალიბდება ადამიანს მოქალაქეობრივი პოზიცია ?

*როცა კაცს უსაყვედურებ, რატომ არა ხარ ახლოს ხელისუფალთან, დიდ პატივს სცემ, ამ სიტყვებით აღიარებ, რომ მასში თავმოყვარეობის ყოველგვარი სიკეთე და სათნოება.*

# მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

ღირსეულ ხელოვანს უჭირს სახელისუფლო კარზე ნიადაგ ტრიალი, მას ვერც წარმოუდგენია, თუ ხელისუფალს იოტისოდენად მაინც სიამოვნებს წამდაუწუმ ფეხებში ებლანდებოდეს, სულ მის ცხვირწინ ცმუკავდეს და ყურადღებას იპყრობდეს.

უღირს ხელოვანს, ვისაც თავი დიდად მოაქვს, უყვარს ხშირი სტუმრობა სახელისუფლო კარზე და იმდენად ლაღად თითლიბაზობს, რამდენადაც არ ძალუძს წარმოიდგინოს, რომ მისი შემხედვარე ხელისუფალნი სულ არ ფიქრობენ იმას, რასაც თვით ფიქრობს საკუთარ თავზე.

1 - ნუ გაცვლით ღირსებას- - -კეთილდღეობაზე!

2 - ნუ შეეკვრებით - - - ხელისუფალთ!

3 - ნუ გახდებით მათი - - - მსახურნი!

4 - ნუ შეუქმნით უხერხულობას - - - თქვენს შვილებს!

5 - ნუ დაკარგავთ - - - თაყვანისმცემლებს!

6 - ნუ დაგავიწყდებათ - - - ხელისუფალნი მიდიან!

7 - ნუ შეიზღუდავთ - - - თავისუფლებას!

*ხელოვანი მარტო იმით კი არ ფასდება, რა გააკეთა, არამედ იმითაც, რისი გაკეთება შეეძლო.*

## ბერტოლდ ბრეხტი
## (1898-1956)

გერმანელი პოეტი, დრამატურგი, რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე.

ბრეხტის „გ ა უ ც ხ ო ე ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი“ - ანუ თითქოს მსახიობი გარედან ადევნებს თვალს პერსონაჟის ქმედებას, ა რ ა რ ი ს მეთოდი.

ეჟი გროტოვსკი აღნიშნავს: „აქ უფრო საუბარია სამსახიობო ხელოვნების ესთეტიკაზე, ვინაიდან ბ. ბრეხტს არასოდეს დაუსვამს საკუთარი თავის წინაშე კითხვა - რ ო გ ო რ კ ე თ დ ე ბ ა ე ს ?

იგი ყოველთვის შემოიფარგლებოდა ზოგადი შეფასებებით მისი „გ ა უ ც ხ ო ე ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი“ -ს შესახებ.

ბ რ ე ხ ტ ი უდიდესი რეჟისორია, მაგრამ თავის რეჟისორულ მუშაობას იგი აგებდა როგორც ლიტერატორი. აღწერდა მოქმედებას, სახელს არქმევდა ეპიზოდებს, ამბობდა ლოზუნგებს და აკრიტიკებდა მსახიობებს როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, მაგრამ აქედან შესანიშნავი სპექტაკლები გამოდიოდა“.

კ. სტანისლავსკისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, რომელსაც მიაჩნია, რომ მსახიობმა პერსონაჟის არსში უნდა შეაღწიოს, ბ. ბრეხტის „გაუცხოების ეფექტი“ ქმნის ერთგვარ დისტანციას პერსონაჟსა და მსახიობს შორის.

ეს ეხმარება მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ ს სწორად შეაფასოს მსახიობი და არ გ ა ა ი გ ი ვ ო ს საკუთარი თავი პერსონაჟთან.

ბ რ ე ხ ტ ი ფიქრობს, რომ „გ ა უ ც ხ ო ე ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი ს“ ზუსტი აღქმისათვის მსახიობებმა რეპეტიციაზე ტექსტი უნდა წაიკითხონ მ ე ს ა მ ე პ ი რ შ ი, რათა მოხდეს დისტანცირება მ ს ა ხ ი ო ბ ს ა და პ ე რ ს ო ნ ა ჟ ს შორის.

## ს პ ე ქ ტ ა კ ლ ი ს   ჩ ა ნ ა ფ ი ქ რ ი

„მაყურებელი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საკითხები, რომლებსაც ეხება თეატრი - სინამდვილეში არსებობენ“
ბ. ბრეხტი

„სპექტაკლის ჩანაფიქრი - არის თხრობა გადაწყვეტის შესახებ“
გ. ტოვსტონოგოვი

„ჩანაფიქრი ნიშნავს, სუბიექტურ  შთაბეჭდილებებში გამონახო საყოველთაოდ ღირებული და მისცე მას ფორმა“
ა. დიკი

პიესის კითხვისას, გმირების შეგრძნება და მთავარი სცენის განსაზღვრა სპექტაკლში – ჩანაფიქრის წინათგრძნობაა.

ჩანაფიქრი – ჟანრი (შინაარსის გამოხატვის ფორმა).

ჩანაფიქრი – იდეა (მხატვრული სახე), რომელშიც არსებობს, სამყაროს ჩემეული, ფილოსოფიური შეფასება.

ჩანაფიქრი – ზეამოცანა (ჩემი, რეჟისორული პოზიციის დაფიქსირება).

ჩანაფიქრი – გამჭოლი მოქმედება (სპექტაკლის ამოცანა).

ჩანაფიქრი – კონფლიქტი (მხატვრული გამომსახველობითი დაპირისპირება. რეჟისორი გამჭოლი მოქმედებით ამტკიცებს იდეას, რომელიც მისთვის მომხიბვლელია).

თუ განვსაზღვრავთ მოქმედების ადგილს და შემოთავაზებულ ვითარებას, ეს გვიბიძგებს ჩანაფიქრისაკენ.

„რომეოსა და ჯულიეტას“ ჯვრისწერის სცენა შეიძლება მოხდეს არა ფარულად, არამედ მოედანზე, ყველას დასანახად – ახალგაზრდებმა პროტესტი გამოუცხადონ  ქალაქს.

მოლიერისა და გოგოლის გმირები მიჯაჭვულნი არიან თავიანთ სახლებს და ნივთებს – შექსპირის კომედიის გმირები თავისუფლები არიან ყველაფრისაგან, ისინი უბრალოდ თ ა მ ა შ ო ბ ე ნ.

# გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ი   ი ნ ტ ე რ ვ ი უ

რა მკითხეთ?

– ბათუმის თეატრში თ უ დაბრუნდებით?

არა! არ შეიძლება დაბრუნდე თეატრში, სადაც იცი, რომ არ გეყოლება თანამოაზრეები. სადაც ადამიანები პირში წყალს ჩაიგუბებენ, რომ არ თქვან სიმართლე, კოლეგა – მსახიობის, სცენის თანამშრომლის, დარაჯის, ღმერთმა დაიფაროს და რეჟისორის დასაცავად.

– ეს მარტო ბათუმის თეატრის სენია?

მსახიობი დამოკიდებულია გარემოებებზე: დრამატურგზე, რეჟისორზე, ადმინისტრაციაზე, პარტნიორზე (რა ადგილი უკავია მსახიობთა იერარქიაში). მსახიობები ამას განიცდიან მტკივნეულად და იბადება არასრულფასოვნების კომპლექსი, განსაკუთრებით პროვინციულ თეატრებში.

– მოდით დავუბრუნდეთ ბათუმის თეატრს.

მართალი გითხრათ, არავითარი სურვილი არ მაქვს ვილაპარაკო იმაზე, რაც არ მხიბლავს.

– რომელი თეატრი გხიბლავთ?

ამ ბოლო დროს თეატრისადმი გულგრილი ვარ.

– მიზეზი?

ვფიქრობ, რომ თეატრმა შეიცვალა ან დაკარგა თავისი ფუნქცია. მე რომ ვიცოდე ამის მიზეზი, სხვებს რა არ ეცოდინებათ? რაღაც უნდა მოხდეს...

– ბათუმის თეატრში რა არ გხიბლავთ?

არაპროფესიონალური დამოკიდებულება. მსახიობები თვეობით არ მუშაობდნენ. მეორედ რომ მივედი მთავარ რეჟისორად, დავიწყე „დილის ტრენაჟები“. ყველა აღნიშნავდა, რომ ეს ძალიან კარგი საქმეა, თეატრი გამოცოცხლდა, მაგრამ მე გამომიშვეს თეატრიდან და არ მსმენია, რომ ჩემს შემდეგ მისულს გაეგრძელებინოს ეს კარგი საქმე. და იცით რატომ? მოერიდა მსახიობებთან კონფლიქტს.

თუ დაჰყვები მსახიობთა ნება-სურვილს, თუ არ ინერვიულებ, რომ მაყურებელი არ დადის, თუ არ შეხვალ კონფლიქტში, ვინც უდიერად

ექცევა თავის საქმეს, თუ არ იღრიალე როცა საჭიროა, გული თუ არ ამოგივარდა - გამოდის რომ ეს თეატრი არ განაღვლებს.

მახსენდება შეხვედრა ს. იურსკისთან უმაღლეს თეატრალურ კურსებზე. მან ერთი საინტერესო ფრაზა თქვა: „არიან ადამიანები თეატრში, რომლებსაც არ აღელვებთ თეატრის ბედი".

ერთხელ, ახალი სეზონის გახსნის წინ, უნდა აღმედგინა სპექტაკლი, რეპეტიციების გამართვა არ მოხერხდა და შევატყობინე დირექციას, რომ სპექტაკლის ჩვენება ამ სახით მაყურებლისთვის არ შეიძლებოდა. სპექტაკლი მაინც დანიშნეს.

გავიქეცი თეატრში და როდესაც ვერ მივიღე პასუხი დირექციისაგან თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება, გავედი სცენაზე, გავაჩერე სპექტაკლი, ბოდიში მოვუხადე მაყურებელს და მივმართე, რომ მე ვარ ამ სპექტაკლის რეჟისორი, აღდგენითი რეპეტიციის საშუალება არ მოგვეცა, ამიტომ, ვისაც სურს, შეუძლია გააგრძელოს „ნახევარფაბრიკატი" სპექტაკლის ყურება და ვისაც არა - დაიბრუნოს ბილეთის საფასური. მაყურებელთა ნაწილმა დატოვა დარბაზი, ნაწილი კი დარჩა.

ეს ამბავი გახმაურდა, ზოგმა უარყოფითად შეაფასა ჩემი მოქმედება, ზოგიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა და „გიჟი ხარო" - მეძახდა. რა ვქნა, ასეთი ვარ.

და საერთოდ ვფიქრობ შემოქმედება „გიჟების" საქმეა.

– რა გაგიჟებთ ყველაზე უფრო?

ვერ ვიტან უსამართლობას.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში იყო „ღრმად განსწავლული" პიროვნება ხელოვნებასა და განათლებაში – ა. ჩიკვაიძე, რომელიც აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრიც კი იყო. მისი განსწავლულობა კულტურაში გამოიხატა ბათუმის სამუსიკო სკოლის გაუქმებაში იმ მიზეზით, რომ თურმე სკოლას ჰყავდა 200 ბავშვი, მაგრამ არ ჰქონია 200 ფორტეპიანო...

ბატონმა მინისტრმა ბათუმის თეატრის პერსონალის შემცირებაც გადაწყვიტა. ამის საპასუხოდ გავანაწილე პიესა და დავაკავე 25 მსახიობი. პარალელურად, მეორე პიესაში დაკავებული იყო 7 მსახიობი და მზადდებოდა მესამე პიესა, რომელშიც დაკავებული იქნებოდა 11 მსახიობი (თეატრში სულ 49 მსახიობი იყო). მე არ მინდოდა მიმეცა

საშუალება მინისტრისათვის, რომ ეთქვა: „ბალასტია თეატრში და შეამცირეო. ისე, შესამცირებელნი კი იყვნენ, მაგრამ ისეთ ქალაქში როგორიც ბათუმია, სადაც ერთი თეატრია და შენ მსახიობს გაუშვებ თეატრიდან, იცი რომ ის განწირულია.

ვერ ავიტანე, როდესაც გაზეთში „გამოაცხვეს“ წერილი, რომ თურმე მე თეატრიდან ხალხის გაშვება მინდოდა. არც ერთმა მსახიობმა (გარდა ორისა: თამილა მეიშვილი და ბიძინა მიქაუტაძე) ხმა არ ამოიღო - ეს ტყუილიაო. მესმის, ამჯერადაც მსახიობებში საკუთრი თავის გადარ-ჩენის ინსტინქტმა იმარჯვა, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვიტან უსამართლობას.

– რა კრიტერიუმებს უყენებთ მსახიობებს? რას მოითხოვთ მათგან?

მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია პროფესიონალისთვის.

მსახიობს უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ მაშინ აქვს საქმე შემოქმედებასთან, როცა ირღვევა სტერეოტიპული აზროვნება.

მსახიობმა უნდა იცოდეს ცოტა რამ ონტოლოგიაზე – რას წარმოადგენს სამყარო?

გნოსეოლოგიაზე – რა არის ჭეშმარიტება?

მსახიობისათვის აუცილებელია, ერკვეოდეს ფსიქოლოგიის საფუძვლებში.

წაკითხული ჰქონდეს ფროიდი – „მთავარია, რომ ჩაერთოს ქვეცნობიერი“.

წაკითხული ჰქონდეს მ. ჩეხოვი – „მსახიობის გზა“ და „სამსახიობო ტექნიკა“. უნდა იცნობდეს ფილოსოფიურ მიმართულებებს – ბერგსონის „ინტუიტივიზმს“ – რომ ინტუიცია ახასიათებთ მხოლოდ შემოქმედთ და ფილოსოფოსებს. ი. კანტის „გონების შესაძლებლობების შესახებ“, „აზროვნების შესახებ“. უნდა ესმოდეს კერკეგორის „ეგზისტენციალიზმი“, წაკითხული უნდა ჰქონდეს პლატონის „მეტაფიზიკა“.

ერთი პასაჟი მახსენდება ბატონ რეზო ესაძის წიგნიდან „კინორეჟისორის შესახებ“:

ახალგაზრდა ვ. მეიერჰოლდს ეკითხება ლევ ტოლსტოი:

– ყმაწვილო, თქვენ ბევრს კითხულობთ?

თუ ვეტყვი – ბევრს-მეთქი, ვაითუ შემეკითხოს და არ ვიცოდე... შევრცხვები. თუ ვეტყვი – ცოტას, რას იფიქრებს-მეთქი. მაინც ბოლოს ვამჯობინე – ცოტას, – იგონებს მეიერჰოლდი.

„ძალიან სწორად იქცევით“ – შემაქო ტოლსტოიმ... „ბევრს რომ კითხულობდეთ, იმ საწყობის გამგეს დაემსგავსებოდით, რომელსაც საწყობი სხვისი საქონელით აქვს გამოტენილი და საკუთარისთვის ადგილიც აღარ დარჩა“.

ეს რაც შეეხება საერთო განათლებას და კულტურას. ბევრ ადამიანს თავი მოაქვს – უამრავი წიგნი მაქვს წაკითხულიო, მაგრამ რა აზრი გამოიტანა ამ წიგნებიდან, ამის თქმა ძალიან გაუჭირდება.

ხოლო, როდესაც საქმე ეხება თეატრს... პიესის ტექსტი, ანუ როლი არ შეიძლება ისწავლო, მაგრამ უნდა იცოდე. აი, რომ იცოდე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში უნდა ერკვეოდე და გესმოდეს.

– თქვენ ალბათ ხუმრობთ?

ხუმრობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ხშირად სიტუაცია ტრაგიკომიკურია.

ტ რ ა გ ი კ უ ლ ო ბ ა – განსხვავებაა სინამდვილესა და დადებით იდეალს შორის.

კ ო მ ი კ უ რ ო ბ ა – მიზნისა და საშუალებების შეუთავსებლობაა.

როდესაც მსახიობს აქვს მიზანი – შექმნას მხატვრული სახე და ამის საშუალებად იყენებს მხოლოდ ავტორის ტექსტს, სიტუაცია ღებულობს ტრაგიკომიკურობის ელფერს. ვინაიდან, მაყურებლის თვალში მსახიობი სინამდვილეში ძალიან განსხვავდება იმ იდეალი მსახიობისაგან, რომელიც შინაგანად და გარეგნულად დატვირთულია ყველა იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლებიც მე ჩამოგით-ვალეთ წინა შეკითხვაში.

– ბევრია ასეთი კრიტერიუმებით დატვირთული მსახიობი?

ყველა კარგი მსახიობი დატვირთულია შინაგანი კულტურით, შინაგანი მონოლოგით, შინაგანი ქმედებით. ამით ის უფრო მეტს ამბობს, ვიდრე მსახიობი, რომელიც გაზეპირებულ ტექსტს ლაქლაქებს.

– თვითონ ცხოვრებაც ხომ ტრაგიკომიკურია?

გეთანხმებით, მაგრამ თუ დავუმატებთ სხვა შემთხვევებში კიდევ სატირულს, აბსურდულს და კიდევ სხვა „ულს“..., მივიღებთ ჩვენი

ცხოვრების სურათს, როდესაც მოგიწოდებენ იდეალებისაკენ ისინი, ვინც თვითონ სპობს ამ იდეალებს.

როდესაც ადამიანები მართავენ ქვეყანას, მაგრამ არ აინტერესებთ ეს ქვეყანა!

როდესაც ადამიანებს არ ესმით, რომ სულიერებაა მამოძრავებელი ძალა და არ იციან ...

ვინც მართალი წესებით ცხოვრობს, ის მიაღწევს სიმშვიდეს,

ვინც არ იცავს ამ წესებს იმათ ელოდებათ – ს ი ნ ა ნ უ ლ ი !

„გაცილებით ადვილია გახდე  გ მ ი რ ი,
ვიდრე იყო  პ ა ტ ი ო ს ა ნ ი  ადამიანი.
ვინაიდან, გ მ ი რ ი შეიძლება გახდე რაღაც მომენტში,
პ ა ტ ი ო ს ა ნ ი  კი  უნდა იყო სულ!“
ლუიჯი პირანდელო

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ გამახსენდა...

სხვათაშორის, რუსეთში სწავლისას, იქაური მწიგნობრები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ „დათა თუთაშხია“ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული რომანია.

სწორედ „დათა თუთაშხიას“ პროტოტიპები სჭირდება საქართველოს. ადამიანები, რომლებიც პატიოსნებასა და სამართლიანობაში ეძებენ ცხოვრების არსს და არა ხელისუფლებისაკენ ლტოლვაში, ძალაუფლებაში, მომხვეჭველობაში...

დადებითი მაგალითი - მისაბაძი უნდა გახდეს. როდესაც სხვადასხვა სატელევიზო კონკურსებში ერთმანეთის პირისპირ ფინალში რჩება გოგონა და ვაჟი, სულ ველოდები, რომ რომელიმე კაცი უარს იტყვის ფინალზე და გამარჯვებას დაუთმობს გოგონას. თუ ეს არ ხდება რეალურ ცხოვრებაში, მაშინ ეს უნდა მოხდეს წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით. ერთხელ მაინც, რომ შეიქმნას პრეცენდენტი - ზნეობის, ვაჟკაცობის, სიკეთის ქმნის... ეს მისაბაძი უნდა გახდეს!

მისაბაძი უნდა გახდეს!

უნდა გახდეს!

გახდება?!...

# P.S.

**2011 წლის 7 ოქტომბერი...**

საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე უაღრესად დადებითი და იმედისმომცემი მოვლენა მოხდა. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ არსებულ ხელისუფლებას დაუპირისპირებს ახალ ძალას და დაამარცხებს მას არჩევნების გზით! ცხადია, ამისათვის მას დასჭირდება პოლიტიკური გუნდი. იგი იმყოფება იმ „მწვრთვნელის" ამპლუაში, რომელმაც უნდა შექმნას ნაკრები გუნდი.

სტრატეგიული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომაა გაკეთებული აქცენტი „დემოკრატებზე" და „რესპუბლიკელებზე" (თუმცა მე ამას არ ვიზიარებ), მაგრამ იბადება კითხვა... რატომ იწვევს მწვრთვნელი ნაკრებში იმ მოთამაშეებს, რომლებმაც უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში ერთი „ბურთიც" ვერ გაიტანეს არსებული ხელისუფლების კარში. ყველა „თამაში" სამწუხაროდ დამთავრდა ხელისუფლების პირწმინდა მოგებით, მართალია აკრძალული ხერხებით, მაგრამ როგორც ამბობენ: გამარჯვებულებს არ ასამართლებენ (იმედია ჯერჯერობით).

ისევ ჩემთვის ვფიქრობ... რატომ არ შეიძლება საქართველოს ყველა კუთხეში, რაიონში, ქალაქში, სოფელში მოიძებნოს 2-3 სანდო, პატიოსანი ადამიანი ყოველგვარი პარტიულობის გარეშე. ვინც უცებ გამახსენდა, მაგალითად - გია რამიშვილი, ლადო ქემხაძე, ლადო ჭყონია, ოთარ რუსეიშვილი, ნოდარ ძიძიგური...

ვიღაც გამომრჩება, უხერხულია.

## ფიქრები საკუთარ თავთან

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ხელოვნების ნიმუში იქმნება მაშინ, როდესაც იმსხვრევა ჩვეული აზროვნების სტერეოტიპი“.

ხომ შეიძლება, ქვეყნის მოწყობასა და მართვასაც შევხედოთ ამ თვალსაზრისით?

პოლიტოლოგი მოისეი ოსტროგორსკი წერდა: „ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური პარტიები არა საზოგადოების არამედ პოლიტიკოსთა ვიწრო წრის ინტერესებს გამოხატავენ და ქვეყანას დაპირისპირებულ ბანაკებად თიშავენ. პარტიული ინტერესები ხშირად ეწინააღმდეგება- ქვეყნის ინტერესებს“.

თუ ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, რა საჭიროებას წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები ან მათი წარმომადგენლები თავიანთი ცრუ დაპირებებით.

საკანონმდებლო ორგანოს წევრები უნდა იყვნენ დაკავებულები მხოლოდ კანონების შექმნით და მათი აღსრულების კონტროლით. საკმარისი იქნებოდა პროფესიული ნიშნით  არჩეული 50 ადამიანი, (იურისტი, კონსტიტუციონალისტი, ეკონომისტი).

გავიხსენოთ, რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები ჰქონდათ ან აქვთ, პოლიტიკური პარტიების არსებობას.

დადებითი - ა რ ა ფ ე რ ი!

უარყოფითი - მოკლეს: ილია ჭავჭავაძე;
მიხეილ ჯავახიშვილი;
სანდრო ახმეტელი;
ტიციან ტაბიძე;
ევგენი მიქელაძე;
შალვა ნუცუბიძე;
მერაბ კოსტავა;
ზურაბ ჭავჭავაძე;
გია ჭანტურია;
ზვიად გამსახურდია და ზურაბ ჟვანია...
(დღემდე გამოუძიებელი საქმეები)

1991 წ. - სამოქალაქო ომი და დაპირისპირება ოჯახის წევრებს შორის.

პარტიული სიები - კორუფციის წყაროა.

ადამიანი, რომელიც პარტიის წევრი ხდება, საკუთარი ნებით კარგავს თავისუფლებას, ვინაიდან იძულებული ხდება დაემორჩილოს პარტიულ წესდებას და პარტიის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ძალიან სასაცილოა, როდესაც პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებისაგან და რიგითი წევრებისაგან ხშირად ვისმენთ გულმხურვალე საუბრებს - ა დ ა მ ი ა ნ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მნიშვნელობაზე...

ფ ა რ ი ს ე ვ ლ ო ბ ა, ფ ა რ ი ს ე ვ ლ ო ბ ა, ფ ა რ ი ს ე ვ ლ ო ბ ა...

ისმის კითხვა - რაში სჭირდება ქვეყანას პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც არაფერი ჩაუდენიათ უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ს გარდა?! ოპონენტები იტყვიან: მაშინ, როგორ უნდა აეწყოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემა? რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი წერს: „პარლამენტის არჩევის უფლება სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანთა უზარმაზარი მასის გასაცოდავებული ყოფის დაცინვა“. ის საუბრობს XIX-XX საუკუნეების ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ დემოკრატიაზე, მაგრამ ჩვენ რა, სხვა რამესთან გვაქვს საქმე დღეს? ადამიანებს

არჩევნებზე მისვლით უჩნდებათ ილუზია, რომ ისინი რეალურად მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში. სინამდვილეში, ამომრჩეველს არავითარი ინსტრუმენტი არ გააჩნია პარლამენტზე ზემოქმედებისა. (ამომრჩეველს უნდა შეეძლოს დეპუტატის გამოწვევა). შეიძლება ვინმემ ამიხსნას - რატომ უნდა ჰყავდეს 320 მილიონიან აშშ-ს სულ 435 კონგრესმენი და 100 სენატორი... 150 მილიონიან რუსეთს სულ 450 დეპუტატი დუმაში და 170 ფედერაციის საბჭოს წევრი... და 4,5 მილიონიან (გაპარტახებულ) საქართველოს 150 პარლამენტარი?!

დიდი ხანია, მაწუხებს აზრი, მაგრამ ჯერ ვერ დავითანხმე ბევრი ადამიანი, გაიზიაროს მოწოდება - „საქართველო - პარტიების გარეშე".

მესმის, რა რისხვა დამატყდება პოლიტიკური პარტიების მხრიდან, მაგრამ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა ქვეყანაზე! აბა წარმოვიდგინოთ საქართველოს პარლამენტი ან სახალხო კრება (რაც გინდათ, ის დაარქვით), სადაც ადამიანები არჩეულნი იქნებიან არა პარტიულობის პრინციპებით არამედ - ს ა ხ ა ლ ხ ო დ. როგორ ფიქრობთ, ხულოს რაიონში ერთ წ ე ს ი ე რ კაცს ვერ აირჩევენ? ასევე შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურში, ქობულეთში ან ბათუმში? ასევე გურიაში: ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური (დღეს აღარ ვიცი, როგორია ჩვენი ტერიტორიული მოწყობის პრინციპი).

დავითვალოთ, რამდენ ეკონომიას ნახავს ქვეყანა და რაც მთავარია - ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს უნდა ჩამოშორდეს კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს ხ ი ბ ლ ი !!!

კ ო მ ფ ო რ ტ ი დ ა ნ - კ ო ნ ფ ო რ მ ი ზ მ ა მ დ ე ერთი ნაბიჯია. უნდა არსებობდეს დეპუტატის გამოწვევის მექანიზმი. პირადი მანქანები უნდა ემსახურებოდნენ მხოლოდ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. ყველა სხვა სახელმწიფო მოხელე უნდა სარგებლობდეს მორიგე მანქანით. პარლამენტარებისა და მინისტრების ხელფასები არ უნდა იწვევდნენ ადამიანების გაღიზიანებას (მაღალი ხელფასი არ არის იმუნიტეტი კორუფციისაგან). მმართველი პარტიის წევრობა არ უნდა იყოს პროფესიონალიზმზე მნიშვნელოვანი.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის წესი მე-19 საუკუნის რუსეთში ჩასახული პოლიტიკური მმართველობის შედეგია. როგორც

ილია ჭავჭავაძე წერდა (ზუსტად ვერ ვციტირებ) - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი დ ა ღ უ პ ა ვ ე ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს!

ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ვერ მოვწყდით რუსეთიდან გამოყოლილ პოლიტიკური მმართველობის წესს. ყველაფერი ჯერ კიდევ ისევ ისეა, პოლიტიკური მოწყობის ნიშნით, როგორც სსრკ-ში იყო. ჩვენ თუ შევძლებთ, ყოველგვარი პარტიულობის გარეშე პარლამენტის არჩევას, ვერც დასავლეთი, ვერც ევროპა და ვერც რუსეთი ვერ გვიკარნახებს ქვეყნის პირველი პირების არჩევას. გვაქვს გამონათებები, რაც ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ სულაც არ არის მთავარი პოლიტიკური კუთვნილება. მაგალითად, ჩვენი პრეზიდენტი არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი (მართალია, იგი ბ. ივანიშვილმა შემოგვთავაზა ძალიან ცუდი ფორმით), მაგრამ მისი უპარტიობა არ გახლავთ ხელისშემშლელი პირობა მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებთან შეხვედრისა.

ე.ი. შესაძლებელია „საქართველო პარტიების გარეშე" და კიდევ ერთი მტკიცებულება ამ მოწოდების სასარგებლოდ. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ქვეყანა ვერ ვითარდება და ამის მიზეზი ისაა, რომ ვიმყოფებით კრილოვის ერთი იგავის შინაარსის მსგავს მდგომარეობაში. Однажды Лебедь, Рак, да Щука...

ქართულმა ოცნებამ მიზანს მიაღწია და...

რესპუბლიკურ პარტიას თავისი ინტერესები აქვს...

თავისუფალ დემოკრატებს - სხვა ინტერესები...

პრეზიდენტი ამათგან ცალკეა...

ამიტომ...

თქვენ მეტყვით - აბა ევროპაში როგორ თანხმდებიანო?

ევროპის სახელმწიფოებმა, ყველამ საკუთარი გზა გაიარა.

ჩვენც უნდა ავირჩიოთ საკუთარი გზა.

რატომ არ შეიძლება ეს იყოს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო - პარტიების გარეშე?!

და საერთოდ, ისეთ ქვეყანაში, სადაც დედმამიშვილობა, ნათესაობა, მეზობლობა და მეგობრობა ყოველგვარ კანონზე წინ დგას, - არჩევნებს უნდა ატარებდეს გ ა ე რ ო.

ყოველგვარი შეჯიბრებითობის ობიექტურობა საქართველოში უამრავ კითხვას ბადებს და ასე იქნება მანამ, სანამ არ მოვა ახალი თაობა...

რაც შეეხება ახალ თაობას...

ამასწინათ, ზემო-აჭარის დაბა ხულოში, მომიწია ასვლა. თეატრიდან როგორც კი გამოხვალ, აღმართი იწყება. ავუყევი აღმართს. ხმა შემომესმა და მოვიხედე. 7-8 წლის ბიჭუნა ეკითხება მოხუცს: „ბაბუ, ძალიან მეჩქარება და თუ შეიძლება გზაზე გაგისწროო? - კაი ბაბუ, გამისწარიო". შემრცხვა და თან გამეხარდა. შემრცხვა, რომ 8 წლის ბიჭუნამ მაჯობა ზრდილობით, გამეხარდა იმიტომ, რომ თურმე ჯერ კიდევ შემოგვრჩენია გადაგვარებამდე მისულ ქვეყანაში ზრდილობის, ზნეობის და ღირსების მქონე ადამიანები. სად, რომელ ევროპაში, დასავლეთში ან რუსეთში შეიძლება გაიგონოთ ასეთი დიალოგი. ამიტომ, ჩვენ კი არ უნდა ვისწრაფოდეთ სხვა ქვეყნებისაკენ, სხვები უნდა ჩამოდიოდნენ ჩვენთან სულიერად გასამდიდრებლად. ჩვენი „ევროპეიზაციის" და სხვადასხვა კავშირებში შესვლის მომხრეებს მინდა გავახსენო, რომ ჩვენ უკვე ვიყავით „სსრკ"-ს წევრი ქვეყანა და რა?... სწორედ ევროპის შუაგულში აღმოცენდა მე-20 საუკუნეში - ფ ა შ ი ზ მ ი. დღეს, როცა ასეთი არასტაბილურია მსოფლიო, საშიშროებაც ხომ ადეკვატურია? ისე, რეალობიდან გამომდინარე, დღეს არც ავტომატი და არც ტანკია საჭირო ჩვენისთანა ქვეყნის დამორჩილებისათვის (ძალიან ბევრ ადამიანს დღესაც ჰგონია, რომ ჩვენ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ) და მენტალური გადაგვარებისათვის. თითქმის ყველა ქართული ტელევიზიის 24 საათიან სამაუწყებლო ბადეში სულ 2-3 საათი ეთმობა ახალ ამბებს, არც ერთი ტელეშოუ არ არის ქართული წარმოშობის და ძირითადი დრო ეთმობა დაბალმხატვრული ღირებულების უცხოურ სერიალებს. რაც ჩვენ თავს ტრიალებს, ამას მარტო მე კი არ ვხედავ, ძალიან ბევრი ხედავს, მაგრამ ძალიან ცოტა ა პ რ ო ტ ე ს ტ ე ბ ს !

„ქართული ოცნების" წევრებო, ამაზე „ო ც ნ ე ბ ო ბ დ ი თ"?!

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში არჩევიდან სულ ერთი წელი გავიდა და რა მივიღეთ?...

იძულებული გავხდი მიმემართა უნივერსიტეტის რექტორისათვის.

სსიპ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორს - პროფესორ ერმილე მესხიას

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრება, რომ „ქართული ოცნება" როგორც სიმბოლო - ოცნებების სასაფლაოდ გადამექცეოდა. არადა, ვოცნებობდი, რომ ბოლო მოეღებოდა „ნაციონალური მოძრაობის" სტილს როგორც განათლების სისტემის მართვაში, ასევე ყველა სხვა მიმართულებით. სამწუხაროდ, რეალობაში მივიღეთ, რომ ახალი ხელისუფლება დაადგა ყოფილი ხელისუფლების მიერ გაკვალულ გზას.

მიუღებელია, როდესაც განათლების სამინისტროს ჩინოვნიკი, რომელსაც წარმოდგენაც კი არ აქვს (გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე) სახელოვნებო განათლების შინაარსზე, წყვეტს პროფესიონალებთან შეთანხმების გარეშე, რომ თურმე მაგისტრანტ-რეჟისორმა სადიპლომო სპექტაკლი კი არ უნდა დადგას, არამედ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ექსპლიკაცია. ეს იგივეა, როდესაც წინა ხელისუფლების მმართველობისას, ქუთაისის საცურაო აუზში ბავშვებს ასწავლიდნენ ცურვას წყლის გარეშე (წლების განმავლობაში).

საქართველოს განათლების სამინისტროს მხრიდან სახელოვნებო განათლების უნივერსიტეტებისადმი ამდაგვარ მიდგომას კატეგორიულად ვემიჯნები, ვინაიდან განათლების სამინისტროს არ გააჩნია საკუთარი ხედვა სასწავლო პროგრამებზე და იგი უბრალოდ აკეთებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების „კალკირებას", რაც რა თქმა უნდა, მოდის წინააღმდეგობაში ქართულ მენტალიტეტთან და იწვევს, რბილად რომ ვთქვა - გაუგებრობას, გაკვირვებას, შინაგან წინააღმდეგობას და კიდევ სხვა „ო ბ ე ბ ს"...

აქედან გამომდინარე, პროტესტის ნიშნად იძულებული ვარ უარი განვაცხადო მაგისტრანტ-რეჟისორების სადიპლომო ნამუშევრების ხელმძღვანელობაზე.

თუ პროფესიონალიზმი არ არის ამ ხელისუფლების პრიორიტეტი... ეს ძალიან ძვირი დაუჯდება ჩვენს ქვეყანას!

**მ ლებანიძე**
**7.02.2013 წ.**

და ისევ განათლების სისტემაზე!!!

ადამიანის წამება, მისგან რაიმე სარგებლის ან ინფორმაციის მიღების მიზნით ხომ დაუშვებელი სისასტიკე, არაადამიანობა და უღმერთობაა, მაგრამ უფრო დიდი ცოდვა ისაა, როცა იცი, რომ უშედეგოდ აწამებ. საქართველოში არსებულმა უნივერსიტეტებმა რომ ატესტაცია-აკრედიტაცია მიიღონ, ლექტორებმა უნდა შეავსოთ „სილაბუსი"-ო - გვიბრძანეს ევროპიდან. არავითარი სირთულე ამაში არ არის, თუ აუღებ ალღოს, მარტივი მათემატიკაა მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ მთელი 4 წლის (ბაკალავრიატი) სასწავლო კურსი უნდა გაიწეროს ყველა კვირაზე სასწავლო კრედიტების, სალექციო საათების და სტუდენტთა შეფასების მიხედვით. წრმოიდგინეთ, თუ ლექტორი რამოდენიმე დისციპლინას უკითხავს სტუდენტებს - რამდენი დრო დაიკარგება, რამდენი ქაღალდი დასჭირდება ამას და რამდენი ხის მოჭრა (ქაღალდისათვის). შეიძლება ზღვაზე მოტივტივე და მოლივლივე ხეც აღარ დარჩეს. და რისთვის ყოველივე ეს? არაფრისთვის!!!

იტალიელმა მეცნიერმა ვილფრედ პარეტომ დაადგინა, რომ: „ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად დახარჯული ძალისხმევის უდიდესი ნაწილი სინამდვილეში ვერ აახლოვებს მის განხორციელებას. ქმედებათა უდიდესი ნაწილი მხოლოდ დროის უსარგებლო ხარჯვაა"...

მე, რომ „სილაბუსს" შევავსებ ან მანამდე რომ ვავსებდი, - სტუდენტებს რა? არავითარი სარგებლობა ამ „ღონისძიებას" სტუდენტე-ბისათვის არც ჰქონია და არც ექნება. ეს არის დიდი სიყალბე. „სილაბუსს" რომ შევავსებ, რა, უფრო კარგად წავიკითხავ ლექციას? მაგრამ, ევროპას ხომ ვერ ვაწყენინებთ, აუცილებლად უნდა შევძვრეთ იქაურ კავშირებში და პროცესებში. არადა, ბოლონიის პროცესში ყოფნას უკვე აპროტესტებენ თვით იტალიისა და სხვა ქვეყნების სტუდენტები, რადგან იგი გულისხმობს განათლების ერთიან სისტემას. მასში უგულველყოფილია ნაციონალური ხასიათი, უნარ-ჩვევები და ტრადიციები (შესაძლებელია, ჩვენი ჩინოვნიკები ევროპელების საამებლად თვითონ იჩენენ ზედმეტ გულისხმიერებას). ხომ ვიყავით საბჭოთა კავშირში და გამოვედით იმიტომ, რომ ცუდი იყო. ნებისმიერი კავშირი სახიფათოა, ვინაიდან მოითხოვს ერთფეროვნებას. ამისთვის

გაწყდა ნახევარი საქართველო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში?! რაც ჩვენთან „სილაბუსი“ შემოვიდა, ვერ შევხვდი ვერც ერთ სტუდენტს, რომელსაც წაკითხული ჰქონოდა ან დაინტერესებულიყო მაინც, თუ რა ოხრობაა ეს „სილაბუსი“.

ქართულ ენაზე ეს ნიშნავს - სასაწავლო გეგმას, ოღონდ ისეთი ბიუროკრატიული ფორმით, რომ თავი მეზიზღება, დროს რომ ვკარგავ ამ სისულელეზე. მინდა გამართლება მოვუძებნო ჩემ საქციელს. შესაძლოა, ეს ხელისუფლების ჩანაფიქრი იყოს, რომ რაც უფრო ნაკლები უნივერსიტეტი იქნება საქართველოში, მით უფრო ნაკლები დიპლომირებული უმუშევარი გვეყოლება და ჩვენი მთავრობაც თავს მოიწონებს - უმუშევრობა შევამცირეო. სიბრაზისაგან წარმოვიდგენ - შუა ზღვაში, დაზიანებულ ნავში, რომელიც ივსება წყლით, სხედან ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი, რომლებიც ცდილობენ პატარა ნიჩბით გადმოღვარონ წყალი ნავიდან. ამას უყურებენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ და სიცილით იგუდებიან. გამოვა რაიმე ამ საქმიდან? ეშველება რაიმე ნავს?... ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს მთელი ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს პატარა გემს, რომელიც გაშლილ ზღვაშია და გემის მომსახურე პერსონალმა მისი კაპიტნის მეთაურებით ვერ განსაზღვრა გ ე ზ ი! არ იციან და არ შეუძლიათ გემის მართვა. ამიტომ გემი ტივტივებს. საიდანაც ქარი დაუბერავს, გემიც იქეთკენ ტივტივებს. საინტერესოა, როდემდე ვიტივტივებთ?...

P.S.

ისე, რა დასანანია!

შოთა რუსთაველს რომ შეევსო „სილაბუსი“, ხომ დაწერდა უკეთეს პოემას???!!!!

# რეცენზიები

## „უძრაობის“ - „პერესტროიკის“
## და
## „დამოუკიდებელი საქართველოს“
## ხანაში
## დადგმულ სპექტაკლებზე

ალექსანდრე ღოღობერიძე

გიორგი ცქიტიშვილი

გურამ დოჩანაშვილი - „ხორუმი ქართული ცეკვაა". ორმოქმედებიანი პიესა. დამდგმელი რეჟისორი - მერაბ ლებანიძე. სცენოგრაფია ანტონ ფილიპოვისა და გია რამიშვილის. მუსიკა თენგიზ შამილაძის. სცენური პლასტიკა ამირან შალიკაშვილის.

პრემიერა შედგა 1989 წლის 17 მარტს.

წარმოდგენის დასაწყისში სცენიდან ვისმენთ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ში მოყვანილ ქართველთა დახასიათებას. ქებათა ქება ქართველთა სიქველისა, განურჩევლად კაცისა თუ ქალის, ეფინება დარბაზს. ამის შემდეგ თანამედროვე საზოგადოების ყოფა-ცხოვრებისა და არსებობის ხილვა მართლაც სულისშემძვრელია, იმდენად გამანადგურებელია ერის სულიერი თუ ფიზიკური დაკნინების, დაცემის რეალური სურათი. გურამ დოჩანაშვილის ამ მეტად ცნობილი, მაგრამ თეატრში განსახორციელებლად არცთუ იოლი ნაწარმოების ტოლფასი, ლიტერატურული პირველწყაროს ადექვატური სცენური ქმნილების შეთხზვა საკმაოდ რთულია. სპექტაკლის პირველივე ეპიზოდი იმ ატმოსფეროს ქმნის, იმ განწყობილებით სუნთქავს, რომელსაც ნაწარმოების კითხვისას შეიგრძნობ. სცენაზე ფართო საზოგადოების მრავალფეროვანი, ჭრელი სურათია წარმოდგენილი. ფუნქციადაკარგული, გაზარმაცებული, მცონარე ადამიანები წვრილმანი, უაზრო საქმით არიან დაკავებულნი. მათი ცხოვრება უმოქმედობაში, არაფრისკეთებაში, უსაქმურობაში, ერთმანეთთან წვრილმან, უაზრო კინკლაობაში, კამათში, ჩხუბში, ნარდის თამაშში, ჭორიკანობასა და ტრაბახში გადის. მათ ზურგს უკან გაჭიმული ტილოს ნაჭერი საქართველოს რუკის კონტურებს მოგვაგონებს. მაყურებლის თვალწინ თითქოს ჩვენი სამშობლოა გადაჭიმული, თავისი მკვიდრი მოსახლეობითა და მათი დღევანდელი სავალალო ყოფით. რეჟისორის ჩანაფიქრით (მწერლის მსგავსად) წარმოდგენის სამოქმედო ასპარეზი ფართოვდება, ზოგადდება და მთლიანად საქართველოზე ვრცელდება. ამგვარი განზოგადების საფუძველი ლიტერატურულ პირველწყაროშია.

მწერლისა და რეჟისორის გულისტკივილი ნათლად იკვეთება. ისინი საზოგადოების ფართო სურათს წარმოგვიდგენენ. აქ არის ერასტი (ზურაბ დიასამიძე), ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა კაცი, არაფრისმკეთებელი. სწორედ ამიტომ მოათავსა იგი რეჟისორმა ზეიბრის სავარძელში, რის მეშვეობითაც გადაადგილდება ეს მოქმედი პირი. მუდამ ნარდს ჩაჰკირკიტებენ ბიქტორი (ავთანდილ ქარჩავა) და არქიფო (ხერგო ბაზიაშვილი). მათი ინტერესის სფერო ამ თამაშს ვერ სცილდება. უფრო მეტი აზარტულობის



სცენა სპექტაკლიდან
„ხორუმი ქართული ცეკვა"

გამო ერთმანეთის ნივთებსა თუ ტანსაცმელზე თამაშობენ. ს. ბაზიაშვილის არქიფო განსაკუთრებით გამოირჩევა მკვეთრი სახასიათო ფერებით. მსახიობის შესრულებით იგი მეტად კოლორიტულ სცენურ სახედ იქცევა. მათ გვერდით მუდამ სერიოზული იერით, საქმიანი ნაბიჯით, ასევე უაზროდ მიდი-მოდის ვამიჩეიშვილი (როლანდ კაკაურიძე). ამ საზოგადოების წევრები არიან მარად გაღიზიანებული, ხალხის დასანახავად უკარება (მისთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათიც კია) აგნესა (თამილა მეიშვილი) და მასზე „უგონოდ შეყვარებული" სერგო (ბესო ბარათაშვილი), აგნესას მუდმივი მოპაექრეა ერთობ გადაპრანჭული, „მარად ქალწული„ (ამით სიამაყით აღვსილი), მეტად აგრესიული ვერიკო (ციური აბზიანიძე). ჭორებზე მუდამ მომართული ქალების პორტრეტს აგვირგვინებს ლამზირა (ლამარა ზაქარიაძე). აქვე არიან ქართული ეროვნული სამოსის (შინდისფერი ჩოხა და ქამარ-ხანჯალი) მხოლოდ გარეგნულად მატარებელი, ასაკოვანი სვიმონა (ხასან მეგრელიძე) და შრომისმოყვარეობით, გარჯით, პატიოსნებით ოდითგანვე განთქმული მოხუცი გლეხი (გიორგი ახვლედიანი). იგი გლეხკაცის ერთგვარი კრებითი სახეა. ამჟამად ასპარეზი სხვებს დაუკავებიათ, გახვლედიანის გლეხი კი სცენის კუთხეში მიყუჟულა. სცენაზე დააბოტებს ოდესღაც ქართული ვაჟკაცობის, რაინდობის პაროდიად ქცეული ბესარიონი (იური ცანავა), თავისი ფანტაზიითა და მიუნჰაუზენური გამომგონებლობით შეთხზულ „საქმეთა საგმიროთა" რომ მოუთხრობს ხალხს. მისი მონაყოლისა არავის სჯერა, დასცინიან, მაგრამ მაინც უსმენენ. თავს იქცევენ, ესეც ხომ გართობის ერთ-ერთი საშუალებაა. ბესარიონს აჩრდილივით დასდევს ცოლი (ნინელი მჟავანაძე). ყოველთვის განმარტოვებულია „დიდი მწიგნობარი", მუდამ კითხვით გართული შალვა (ზურაბ ღლონტი), დრო-გამოშვებით „ბრძნული შეგონებებით" რომ მიმართავს საზოგადოებას, ძირითადად, თავის და საკუთარი ერუდირების უკეთ წარმოჩენის მიზნით: მისი ცოდნა, განათლება არც თავად არგია რამეში და არც ხალხს. ამ საზოგადოების მრავალფეროვნებას გამორჩეულ ფერებს მატებს საშიკოსა (ჯემალ ველიაძე) და დათას (დათო მეგრელიძე) განუყრელი წყვილი. ჩვენთვის დამახასიათებელი განუმეორებლობის, ნიჭიერების და ამავე დროს უბედურების ნიშნით აღბეჭდილი ორი პერსონაჟი. შეუძლებელია გენეტიკურად გაუყოფელ, სისხლითა და ხორცით მონათესავე ორ ქართველს ერთი და იგივე აზრი, შეხედულებები ჰქონდეს. ამიტომ, არასოდეს არ სუფევს

ამ ორ გმირს შორის თანხმობა. ისინი მხოლოდ ფიზიკურად არიან ერთად, თორემ მათი ჭეშმარიტი ერთიანობა არც ერთი წუთით არ მიიღწევა. ხაშიკო და დათა მუდამ ერთმანეთს ედავებიან, ეკამათებიან, ებრძვიან, ებუტებიან. მათ მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები და პოზიცია გააჩნიათ. ამგვარი რამ თვითოეული ადამიანის ინდივიდუალობაზე, ყოველი მათგანის გამორჩეულობაზე, აქედან გამომდინარე - ერის განუმეორებლობაზე, მის თავისთავადობაზე მეტყველებს, მაგრამ ამასთან ის თავისებურება ერის გათიშულობის, შეუთანხმებლობის, ურთიერთდაპირისპირების მიზეზიცაა. დ.მეგრელიძის დათა უფრო მშვიდია, ამასთან ცინიკოსი; ჯ.ველიაძის ხაშიკო ემოციურია, ფიცხი, ადვილად ფეთქებადი და უფრო გულჩვილი, ვიდრე მისი გულგრილი, მარადიული „ოპონენტი". ამ მრავალფეროვანი, ჭრელი საზოგადოების პანორამას აგვირგვინებს მონადირე (მიხეილ ნაპირელი). ისიც უაზროდ, უმიზნოდ დაბოდიალებს თოფით ხელში და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ხალხის უფუნქციო, აბსურდულობამდე მისულ ყოფას.

მათი მდორე, ერთფეროვანი, მოსაბეზრებელი ცხოვრების რიტმიც ირღვევა. მხოლოდ გარეგნულად, მაგრამ მაინც. ცენტრიდან ჩამოსული „მაღალი სტუმრის" - უნივერსალის (მანუჩარ შერვაშიძე) და მისი ენებიანი ასისტენტის (ნანა კიკვაძე) - დასახვედრად მთელი საზოგადოება ემზადება. სტუმრის წინაშე აუცილებლად უნდა გამოიჩინონ თავი. ორგანიზებულ დახვედრას მათრახით ხელში ხელმძღვანელობს ადგილობრივი მმართველი, მამასახლისი (ნიაზ მესხიძე) თავისი ამალითურთ (ბესო ბარათაშვილი, ავთანდილ ქარჩავა, ზაზა გოგუაძე). ისინი საგულდაგულოდ ამზადებენ ხალხს. „საამური" ცხოვრებით, რა თქმა უნდა, ყველა „კმაყოფილია". ამ ეპიზოდის შემდეგ ჩვენს თვალწინ პოლიტიკური ტრაგიფარსი თამაშდება. სტუმრის ჩამოსვლისა და მასპინძლების დახვედრის ცერემონიალი, ახლო წარსულიდან ყველასათვის კარგად ნაცნობ წარმოდგენას ჩამოჰგავს. დამდგმელი რეჟისორი მერაბ ლებანიძე გამომგონებლობას, ფანტაზიას, ამავე დროს მწვავე გროტესკულ ფერებს არ იშურებს ამ ეპიზოდების შეთხზვისას. ყოვლისმომცველი პაროდია იპყრობს სცენურ ქმედებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარი სცენები ზომიერების გრძნობით გამოირჩევა, გემოვნებითა და მაღალი სასცენო კულტურითაა აღბეჭდილნი.

საზეიმო მუსიკის თანხლებით, მაღალი ტრაპიდან ცეკვა-ცეკვით ჩამოდიან „ძვირფასი სტუმრები". მამასახლისი და მისი ამალა ლამის კანიდან გამოძვრეს. ძლიერ მოწადინებულნი არიან, ცდილობენ, რითიმე ასიამოვნონ სტუმრებს. მათი მლიქვნელური, ძაღლური ერთგულებით, „კუდის ქიცინით" აღვსილი პანტომიმური ქმედება მრავლისმეტყველია და ამ ეპიზოდებში სიტყვიერ მასალას მართლაც აღარ ითხოვს. აქედან იწყება მასპინძლების, ანუ ქართველების დამღლელი, ყოველგვარ ზომიერებასა და საღ გონებას მოკლებული მარათონი. ისინი ხშირად უაზრობამდე, უგუნურებამდე მიდიან. ჩვენს თვალწინ მრავალჯერ ნანახი და განცდილი სურათები ცოცხლდება. მ.შერვაშიძის უნივერსალს ათას საჩუქარს მიართმევენ, იქნება ეს ფაფახი, ნაბადი, ძვირფასი ქამარ-ხანჯალი თუ ხმალი. ზოგიერთი ტანსაცმელსაც კი თმობს მაღალი სტუმრისა და მისი ამალის (ბოქაული - ზაალ გოგუაძე, ბეჭდიანი - დათო გოგიტიძე) პატივსაცემად. თავად ცარიელ-ტარიელნი რჩებიან. სტუმრის საამებლად, ადგილობრივი ხელმძღვანელობის „ნაყოფიერი" მუშაობის გამოსამზეურებლად, „საამური" ცხოვრების უკვდავსაყოფად, სახელდახელოდ „თბილისობაც" კი იმართება. შინდისფერ ჩოხაში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯლით შემკული, თმა-ულვაშ გათეთრებული, ხნიერი და დარბაისელი ხვიმონა (ზ.მეგრელიძე) სტუმრების საამებლად ცეკვავს, ჩამოსულების თვალწინ აძუნძულდება. უჭირს, მაგრამ, მაინც ცეკვავს. რეჟისორი კვლავ დაცემის, დამცირებისა და გადაგვარების ნათელ გამოხატულებას წარმოგვიდგენს.

სცენა სპექტაკლიდან
„ხორუმი ქართული (ცეკვა)“



უცვალოდ გამქრალა ჩოხოსანი ჭარმაგი ადამიანის სიდარბაისლე, სიამაყე, საკუთარი ღირსების გრძნობა, თავმოყვარეობა. ყოველივე საუკეთესოს ჩვენების მანიით, თავის გამოჩენის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი მასპინძლები სახელგანთქმულ სპექ-ტაკლსაც წარმოუდგენენ ჩამოსულთ. გაისმის გია ყანჩელის ყველასათვის ნაცნობი მუსიკა, თამაშდება რობერტ სტურუას „რიჩარდ III“-დან სცენა კუბოსთან. მსახიობები როლანდ კაკაურიძე (რიჩარდი) და ციური აბზიანიძე (ლედი ანა) პლასტიურად, პაროდირებულად, ჩინებულად გაითა-მაშებენ უსიტყვო ეპიზოდს გასმა-ურებული და აღიარებული სპექტაკლიდან. მასპინძლების ხელთ კიდევ ერთი ადგილობრივი „ღირსშესანიშნაობაა“ მომღერლის (ნოდარ იაკობაძე) სახით. იგი ყოვლად უაზრო სიმღერას უსმენოდ გაჰკივის. კვლავ დაცემა და დაკნინება. მომღერალი თხის ტყავითაა (ვეფხის ტყავის ნაცვლად) შემოსილი.

აღნიშვნის ღირსია დამდგმელი რეჟისორის თვისება ზსარტად, გონებამახვილურად, ირონიით წარმო-აჩინოს წარმოდგენის ძირითადი სათქმელი, ნაწარმოებში არსებული პრობლემატიკა, თავად მისი - ხელოვანის და მოქალაქის სატკივარი. იგი მეტად სახიერ, მიმზიდველ სანახაობას ქმნის, სადაც ყოველ მსახიობს გამოკვეთილი ფუნქცია აკისრია. თუმც, „მერძევე ტევიეს“ მსგავსად, ვერც ეს სპექტაკლი გადაურჩა ზოგიერთი როლის შემსრულებლის იძულებით შეცვლას, რამაც წარუშლელი დაღი დაასვა ამ უდავოდ საინტერესო წარმოდგენას. ამ სპექტაკლის მაგალითზეც თავს იჩენს ქართულ თეატრში მეტად გავრცელებული სენი: წარმოდგენის ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობა (იშვიათ გამონაკლისს არ ვგულისხმობთ), სპექტაკლის ქსოვილის სწრაფი რღვევა. ორი წლის სპექტაკლი ასე მალე არ უნდა დაიშალოს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენთან დროთა განმავლობაში სპექტაკლის პირველქმნილი სიბლის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია. ამ წარმოდგენას სწორედ ამგვარი რღვევის ნიშნები ეტყობა.

დამხვდურთა თავაწყვეტილი მასპინძლობის საპასუხოდ, მანუჩარ შერვაშიძის საკმაოდ ცივი, ფლეგმატური, აუღელვებელი უნივერსალი მასპინძლებს საკუთარი კვლევის, დაკვირვების, ექსპერიმენტების ჩატარების ობიექტად აქცევს. მას ამ ხალხის შესწავლა-ამოცნობა სწადია. მაგრამ იმდენად არაორდინარული, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია მათი ქცევა თუ ხასიათი, რომ მისი ცოდნა და

ყოვლისშემძლეობა ამაო აღმოჩნდება. ქართველები, მათი ფენომენი, ჩამოხულისათვის ამოუხსნელი და გაუგებარი რჩება. ზაზა გოგუაძის გოგის, რომელიც უნივერსალს მეგზურობას უწევს, ახვევ სურს მშობლიური ერის ფენომენის უკეთ გაცნობიერება. ეს სურვილი, საკუთარი თავის შეცნობის ტოლფასია და ამდენადვე რთული. ყოველ ქართველში გენეტიკურად გადმოსული გაუცნობიერებელი კოდია ჩადებული, რომელიც ოდესღაც მაინც იჩენს თავს. ამიტომაცაა, ზ.გოგუაძის გოგი, გახელედიანის გამრჯე მშრომელი მოხუცი გლეხის წინ რომ დააჩოქებს სტუმარს, ხელში ვაზის შტოს შეაჩეჩებს. ხმამაღლა, ამაყად განუცხადებს ჩვენი ძლიერების, გაუტეხელობის, დაუმარცხებლობის, ვერგადაშენების, ვერმოსპობის საიდუმლოს, ფინალური ეპიზოდი - მხახიობის მიერ გზნებით, ეროვნული სიამაყის შეგრძნებით აღმოთქმული ტექსტი, ქართული სიმღერის თანხლებით, დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. ამ სპექტაკლზე ცარიელი დარბაზის ხილვით გამოწვეულ გაოცებალს, დიდი გულისტკივილიც თან ერთვის. ნუთუ ბათუმში ეს პრობლემები, სპექტაკლში წარმოჩენილი სატკივარი არავის აღელვებს. არც ახაკოვანს, არც ახალგაზრდას, არც სტუდენტს, არც მწერალსა თუ შემოქმედს. მაშინ, მართლაც სამუდამოდ დავკნინებულვართ და დავცემულვართ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი პატრიოტული მოწოდებები, შეძახილები და სამიტინგო გამოსვლები მშრალი წამხედურობაა და მეტი არაფერი.

X X X

თეიმურაზ ქურდოვანიძე - „ცისარტყელა ნაცრისფერ ლავაში". ორმოქმედებიანი ყოფითი დრამა, პოლიტიკური თეატრის ელემენტებით. დამდგმელი რეჟისორი - მერაბ ლებანიძე. მხატვარი - მირიან შველიძე. ქორეოგრაფი - ბექარ მონავარდისაშვილი. მუსიკალური გაფორმება თენგიზ შამილაძისა. სპექტაკლში გამოყენებულია იოსებ ბარდანაშვილის მუსიკა. პრემიერა შედგა 1990 წლის 30 ოქტომბერს.

ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორის, მერაბ ლებანიძის მიერ დადგმული მეორე სპექტაკლი აჭარის ახლო წარსულს ასახავს. სცენაზე 20-იანი წლების ბათუმია წარმოდგენილი. მირიან შველიძის სცენოგრაფია, მოქმედ პირთა კოსტუმები ფერადოვანი და მიმზიდველია. ნახევარწრედ, ერთმანეთის მიჯრით პატარ-პატარა დუქნები, აფთიაქი, სადალაქო და სხვა ამგვარი შენობებია განლაგებული. ცენტრში ქალაქის მცხოვრებთა თავშეყრის მოედანი, სცენური ქმედების ძირითადი ასპარეზია მოთავსებული. სცენის მარჯვენა კუთხეში საკმაოდ მოზრდილი საათი დგას. მისი სიღრმიდან საბჭოთა იმპერიის ბელადთა სახეები მოჩანს. ლენინის მომცრო ქანდაკება, სტალინისა და ბრეჟნევის ფოტოსურათები, თითქოსდა თვალსაჩინო ადგილას გამოუტანიათ, როგორც სამუზეუმო ექსპონატები. ულმობელი, სწრაფმავალი დრო გარბის, ისტორიის ჩარხი ბრუნავს და ყველას საკადრის, დამსახურებულ ადგილს უჩენს. ეს მათი პორტრეტები შემოგვცქერის, ვინც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს ბედს განაგებდა. პირველმა ორმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენი სამშობლოს „ნებაყოფლობით" გაწითლებაში. სწორედ ეს პერიოდია ასახული თ.ქურდოვანიძის პიესაში, მხოლოდ აჭარის მაგალითზე. ზემოდან თურქული დროშა გადმოუშვიათ, აჭარის ახალი მფლობელის ბაირაღი. საბჭოთა რუსეთს, მის ბელადს ვ.ი.ლენინს დაუნანებლად გადაუცია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე თავის მოკავშირე თურქეთისათვის.

გიორგი (ნოდარ ძიძიგური), რომელიც ამ სპექტაკლში ორმაგ ფუნქციას ასრულებს, ერთ შემთხვევაში იმ დროს მომხდარი მოვლენების მონაწილეა, მეორე მხრივ წარმოდგენის წამყვანის მისია აკისრია. იგი თანამედროვის თვალთახედვით კომენტარს უკეთებს მომხდარს. ამ ცოტა ხნის წინ, საგულდაგულოდ მიჩქმალულ-დაფარულ დოკუმენტებს, წერილებს, სტატიებს და ბრძანებებს აცნობს მაყურებელს. ბარბაროსულ ბრძანებებს ხელს აწერს პროლეტარიატის ბელადი

ულიანოვ-ლენინი. პლაკატებიდან მუდამ მომღიმარი, ბავშვების მეტად მოყვარული კეთილი კაცის, მასებზე ზრუნვით მოქანცული ადამიანის პორტრეტი ქრება, ჩვენს თვალწინ წარმოსდგება პირქუში, სასტიკი, სისხლიანი დიქტატორის სახე. მსახიობი საკუთარ დამოკიდებულებას არ ფარავს ბელადისა და მისი ნააზრევის მიმართ. გულისტკივილს ირონია ენაცვლება. მკაცრი, დაუნდობელი და სასტიკია ამ დოკუმენტების არსი. ბელადი ყველა სხვანაირად მოაზროვნის, არაბოლშევიკის ფიზიკურ ისტორიულად დასაბუთებული ფაქტია, რომ გადაჯიშებული ქართველი უფრო მეტს ვნებდა საქართველოს, ვიდრე უცხო ტომის წარმომადგენელი. ამის თვალსაჩინო მაგალითია სტალინისა და ორჯონიკიძის გულმოდგინე მცდელობა, რათა საბჭოთა რუსეთს 1921 წელს დაუყოვნებლივ დაეპყრო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ოდესღაც მათი სამშობლო, საქართველოს რესპუბლიკა.

სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მილიციის უფროსი, ბოლშევიკი ჩონჩალაძე (ჯემალ ველიაძე) თითქოსდა ამ ორი პოლიტიკური მოღვაწის კრებითი სახეა. მსახიობის შესრულებით იგი უხეში, დაუნდობელი, ვერაგი, სასტიკი კაცია. მისთვის სამშობლო, ცნება - მშობლიური, აღარ არსებობს. ჯ.ველიაძე არ ერიდება პირდაპირ პარალელებს. მისი გმირის მეტყველება, ინტონაცია, მოძრაობის მანერა, ჟესტიკულაცია აშკარად მოგვაგონებს სტალინს, ორჯონიკიძესა თუ ახლო წარსულისა და დღევანდელობის, უთვისტომო, სხვის სამსახურში ჩამდგარ „ქართველებს“.

რეჟისორის ირონია კიდევ უფრო მძაფრი ხდება, თანდათან სატირასა და გროტესკში გადაიზრდება. მუხინას ცნობილი ქანდაკების იმიტაციით, შემართულ პოზაში დგანან ნახევრად შიშველი მეძავი კლარა (ნანა კიკვაძე) და ბოლშევიკი ჩონჩალაძე. „ინტ-ერნაციონალის“ ჰანგები ეფინება გარემოს. ამ ჰანგების ფონზე „ინტ-ერნაციონალის“ რიტმში ირყევა ყოფილი საროსკიპოს, ამჟამად ჩონჩალაძის შტაბის ვაგონის მსგავსი ხის შენობა, მისი ძველი და ახალი მფლობელების ბოგანო, მოხეტიალე, ეროვნულ ფესვებს მოკლებული ცხოვრების სიმბოლო. აქ „მაღალიდეური“ მილიციის უფროსი კლარასთან ერთად მართავს ორგიებს.

სცენა სპექტაკლიდან „ცისარტყელა ნაცრისფერ ლავაში“



ჩონჩალაძის სექსუალურ თავგადასავლებს მოქალაქეთა დაკითხვის ეპიზოდები ენაცვლება. ჯემალ ველიაძის გმირს დაკითხვის „მრავალფეროვანი“ მეთოდები გააჩნია. თუ ნოდარ ძიძიგურის გიორგისთან საქართველოს ბედით დაინტერესებული ადამიანის ფარისევლურ ნიღაბს ირგებს, ბესო ბარათაშვილის აგიტატორთან და ზაზა გოგუაძის აშკენაზისთან იგი აშკარა მოძალადეა. დაკითხვის სცენები პარალელურად თამაშდება, მათი მსვლელობა ჩონჩალაძის პიროვნებას სრულყოფილად წარმოაჩენს. მსახიობი განსხვავებულ ფერებს იყენებს ცენტრიდან ფარულად შემოგზავნილ კონჩინსკისთან (როლანდ კაკაურიძე) შეხვედრის ეპიზოდებში, წოდებით მასზე უფროსთან ურცხვად მლიქვნელობს. ამ შემთხვევაში იგი ქედმოხრილი, შეშინებული, ყურმოჭრილი მონაა, უფროსს თვალებში შესციცინებს და მის დირექტივებს ერთგულად ასრულებს.

ბათუმის თავზე თურქეთის დროშას ინგლისისა ცვლის. შემდეგ კვლავ თურქეთისა აფრიალდება. წითელ ბაირაღზე ნახევარმთვარის გამოსახულება თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის მოკავშირეობის სიმბოლოდ აღიქმება. ბოლშევიკები საქართველოს იპყრობენ. გამარჯვებულის ტრიუმფალური სვლით შემოდის ჩონჩალაძე. იგი ყოფილი საროსკიპოს ხის შენობავაგონზე შემდგარა. წითელი, უზარმაზარი ნაჭერი უპყრია ხელთ. ამ ახალი ბაირაღითაა შებორკილი მთელი საზოგადოება. მისი ბოლოები მილიციელებს უპყრიათ ხელთ. ძალით თავსმოხვეულმა რეჟიმმა მთლიანად დათრგუნა ხალხი, საზოგადოების ყოველი ფენა, მოხუცი კალისტრატედან (გიორგი ახვლედიანი) დაწყებული, მღვდლით (ხასან მეგრელიძე) დამთავრებული. სული ეხუთებათ შებორკილთ, განსაკუთრებით სტანჯავენ, ამცირებენ სასულიერო პირს.

ფინალურ ეპიზოდში ბორკილებად ქცეული წითელი ბაირაღი ძირს ეცემა. ხალხი თავად ინთავისუფლებს თავს ტყვეობიდან. მაგრამ ასპარეზზე კვლავ რჩება ხის ვაგონზე შემართული ჩონჩალაძე, მის ფერხთით კი მისი „მრევლი“ თათუშა თავისი „ტურფებით“. ისინი ოდნავ შენელებული მოძრაობით დაიხრებიან, სცენაზე დაგდებული წითელი ნაჭრის ასაღებად გაიწვდიან ხელს, შეჩერებული კადრივით გაქვავდებიან სცენაზე მყოფნი. ასე მთავრდება წარმოდგენა. ეს აკორდი გამაფრთხილებელ ჟღერადობას სძენს ფინალს. ძალადობაზე, სისხლისღვრაზე, ტყუილზე დაფუძნებული სასტიკი რეჟიმის რესტავრაციის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. მისი აპოლოგეტები სასურველ მომენტს ელიან. სიფრთხილე, გონიერება, შორსმჭვრეტელობაა საჭირო, რათა არ დავუშვათ მისი აღორძინება. ესაა თეატრის მოწოდება. ამ სათქმელში გამოსჭვივის მათი მოქალაქეობრივი პოზიცია.

მიუხედავად სპექტაკლის კონცეფციის, სატკივარის თანადროულობისა და აქტუალობის, ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ლიტერატურული პირველწყარო აშკარად გაუმართავია და სქემატური. ამ ნაწარმოებში ყველაფერი ცალსახად, ზედაპირულად არის წარმოდგენილი. ამითაა გამოწვეული ზოგიერთი მოქმედი პირის უსიცოცხლო, სქემატური არსებობა. ამან, ბუნებრივია, სცენურ ვარიანტშიც იჩინა თავი და წარმოდგენაში ცოცხალი, სისხლსავსე მოქმედი პირების თვალშისაცემი ნაკლებობაა. რეჟისორმა, მსახიობებმა ერთობლივი მუშაობით, საკუთარი ფანტაზიით, გამომგონებლობით, ოსტატობით, თავად შეთხზეს იმგვარი მიზანსცენები, მეტყველი, სახიერი მეტაფორები, სცენური პერსონაჟები, რომ სპექტაკლში რამდენიმე საგულისხმო სახე შეიქმნა: ჯემალ ველიაძის, ნოდარ ძიძიგურის, ნინო საკანდელიძის, როლანდ კაკაურიძის, ზაზა გოგუაძისა და ბესო ბარათაშვილის სცენური გმირები.

X X X



თეატრი

# სპექტაკლი „ღია მუშაგანდი"

[illegible]

გულნარა გოგიშვილი.

* * *

[illegible]

# ერთხელ მხოლოდ — ისიც...

[illegible]



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან [illegible]

თურმე რა კარგია რეალური სამყარო, ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით, და ეს ოთხი ქალი თოჯებზე ჩამოკიდებულ ფიგურებს ბავშვივით გახალისებული ეთამაშებიან. გაიმარჯვა სიცოცხლემ. მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გარდასახვები საერთოდ და განსაკუთრებით ფინალურ სცენებში, მაღალი ოსტატობით სრულდება.

ახალგაზრდა რეჟისორის მერაბ ლებანიძის ეს სპექტაკლი ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მეხუთეა, და უნდა აღინიშნოს, რომ მასში რეჟისორის ხელწერა საკმაოდ კარგად გამოიკვეთა. აშკარად ჩანს, რომ იგი სიტყვიერ მასალას ბრმად არ მიჰყვება და ქმნის ღრმად გააზრებულ მიზანსცენებს. კარგად ხედავს ხასიათს, ტიპაჟს. სწორედ ამის ნიმუშია სარეცენზიო სპექტაკლი, რომელიც მდიდარია მრავალფეროვანი ხასიათებით, რეჟისორული გადაწყვეტით. ასევე ქების ღირსია ვახტანგ ბუსელიას მხატვრობა და აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თენგიზ შამილაძის მუსიკალური გაფორმება. ორივე — მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება სპექტაკლის ძირითად თემას, ხასიათს და მოქმედების განვითარებას შესანიშნავად უწყობს ხელს და სპექტაკლს აძლევს დასრულებულ სახეს, ხდის სანახავად საინტერესოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ გრჩება უკმარისობის გრძნობა. კარგია ეს თუ ცუდი? ვფიქრობ, კარგი.. რადგან ყველაფერი მზამზარეული მოსაბეზრებელია, მით უფრო, ხელოვნებაში, უნდა რჩებოდეს საფიქრალი, რასაც თქმა სურს ავტორს, ან რატომაა ასე, ამ სახით, თანაც ეს აზრი თუ კარგა ხანს არ გასვენებს, ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა, ე. ი. ნაწარმოები ჩვეულებრივზე მაღლა დგას.

სწორედ ამ კუთხით გვინდა შევაფასოთ მსახიობთა თამაში. სპექტაკლში დიდი და პატარა როლი არ არის, ამასთან ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ოთხივე სხვადასხვა გამოკვეთილი ხასიათია, მისასალმებელია ისიც, რომ მთლიანობაში მსახიობები თავიანთ გმირს შესანიშნავად განასახიერებენ, ცხოვრობენ მათი ცხოვრებით, მაშინაც, როცა თამაშობენ და მაშინაც, როცა „თამაშგარეთ" არიან. მათი ურთიერთობა ლაპარაკით არ გამოიხატება, როლი გათავისებული აქვთ, როგორც აზრობრივად, ისევე შინაგანად.

ადამიანი ბუნებით მეტად რთულია. მისი ერთი კუთხით ხატვას, ჩარჩოში მოქცევას აზრობრივ სიღარიბემდე მივყავართ და დახატული ცხოვრება აშკარად დოზირებული ხდება. ვერ ვიტყვი, რამდენად მისაღებია, ან გამართლებული მეცნიერი მუშაკი, გინდ პედაგოგი ასე დავახატოთ, აქვს თუ არა [illegible] მნიშვნელობა. მთავარი ერთია, შეიძლება თუ არა მომხდარიყო სინამდვილეში ის, რაც სცენაზე ხდება? შეიძლება! მაშ, გამართლებულია, მაგრამ არის მეორე მხარეც — როგორ მოვიდა ჩვენამდე, რა დავინახეთ!

დავინახეთ სიმარტოვეში მოქცეული ოთხი ქალის სულიერი ტკივილები, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ყველა ქალს მიუხედავად თავისი პროფესიისა, რადგან ის უპირველესად მაინც ქალია.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ცირა აბზიანიძემ თამარის სახით დაგვიხატა შუახანს მიღწეული ქალი, რომელიც თავის უმცროს დასთან ქეთევანთან ცხოვრობს. თმაში გარეული ოდნავი ჭაღარა, დაფიქრებული მოძრაობა, სევდიანი სახე და მეტყველი თვალები — ასეთია ც. აბზიანიძის თამარი გარეგნულად. ეს მისი გარეგნობა, რა თქმა უნდა, სულიერი განწყობის შესატყვისია. მას აქვს საკუთარი სამყარო, რომელიც მისგან შორსაა, დაკარგულია და რაკი ეს მისი სამყარო მიუღწეველ ოცნებად დარჩენილა, იძულებულია რეალური სინამდვილით იცხოვროს. მის სულში გაჩენილა სიცარიელე, ოღონდ წარსულს ვერ ივიწყებს. მსახიობმა შესანიშნავად განასახიერა ეს მხატვრული სახე და დაგვანახა, რა მძიმეა მიზანდაკარგული ქალის სულიერი ტკივილი, თუმცა ზოგჯერ მისთვისაც უცხო არაა მიწიერი სიხარული, ეძლევა თავდავიწყებას მღერის და ცეკვავს.

სრულიად განსხვავებული პიროვნებაა დარეჯანი — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლუიზა ჯიბლაძე. რამდენადაც თამარში ვერ ვხედავთ შინაგან გატაცებებს, იმდენად დარეჯანი შეპყრობილია ყოველდღიური ქალური მოთხოვნილებებით. მას არ აინტერესებს, რა იქნება ხვალ. იგი სიცოცხლისეული სინამდვილით ცხოვრობს, რადგან მასში ღვივის ძლიერი ვნებები. ნერვიულობას ვერ მალავს, რატომ არ მოვიდა სტუმარი? გაშმაგებული დაეძებს, სად არის იგი, წუწუნებს თვალებს, იქნებ სწორად ვერ გაიგო დათქმული დრო. იგი იმდენად აღზნებულია, ყნოსვითაც კი გრძნობს „ნატურალური მამაკაცის" სუნს. მსახიობი ძალზე მოძრავი და ენერგიულია, მაგრამ იგი ოდნავაც არ კარგავს კეთილშობილებას, ყურადღებიანია მეგობრების მიმართ, თუმცა ზოგჯერ ცინიზმსაც ვერ მალავს და იმდენად ბუნებრივია ლ. ჯიბლაძის დარეჯანი, რომ ვერ გრძნობ, მას თუ მსახიობი განასახიერებს. სცენაზე ვხედავთ ვნებააშლილ ქალს, ეს ნამუშევარი მსახიობის დიდი მიღწევაა.

თინათინი, იგივე თიკა — მსახიობი თამილა მეიშვილი თითქოს მიამიტი, გულუბრყვილო ქალია. ცდილობს იყოს თბილი, ყურადღებიანი და ერთგული ცოლი. სახეზე მუდამ ღიმილი აფენია და გაბადრული სახითა და სიცილით ლაპარაკობს. მაშინაც კი, როცა მას ირონიით მიმართავენ, იგი წონასწორობას არ კარგავს და უშფოთველი ქალივით უპირავს თავს. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის ერთგულია, მაგრამ იმავე წამს პირველ შემხვედრ მამაკაცში გაცვლის თავის ღირსებას. მასში არაფერია წმინდა, ოღონდაც ამ შინაგან უწმინდურებას წესიერი ქალის ქცევებით მალავს. არც მეგობრების მიმართაა იგი გულწრფელი, ცდილობს, თავისი უპირატესობა წარმოაჩინოს. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თინათინის სახე შესანიშნავად აქვს გათავისებული, მისი სულიერი სიმდიდრე არ სცილდება პირად, თუმცა ფარულს, მაგრამ მაინც ხელშესახებ ვნებებს. როგორც ხალხი იტყვის ხოლმე — დამდგარ წყალში მეტი ბაცილაა. სწორედ ასეთია თამილა მეიშვილის თინათინი.

ახალგაზრდა მსახიობი ლალი ჩახნაშვილი საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნის. უნდა ითქვას, რომ იგი შესანიშნავად ართმევს თავს დაკისრებულ როლს. მისი ქეთევანი აბსოლუტურად უპერსპექტივო პიროვნებაა, მას არაფერი არ აინტერესებს, ვერ მიხვდებით, რა სურს, რითაა გატაცებული, ან ფიქრობს თუ არა საერთოდ თავის მომავალზე. მხოლოდ ერთადერთი რამ მას ამოძრავებს, ისაა, რომ ელოდება ტელეფონის ზარს, უნდა დაურეკოს ვაჟმა, თუმცა არც ის იცის, რა მიზანი აქვს ვაჟთან შეხვედრას. და როცა მას აუკრძალავენ ამას, ფანჯრიდან გადახტომასა და თავის ჩამოხრჩობასაც კი ცდილობს. ასეთია მისი უშინაარსო ცხოვრება. ახალგაზრდა მსახიობი დამაჯერებლად თამაშობს და მაყურებელთა სიმპათიებს იმსახურებს.

ასე აღიქმება ეს ოთხი ქალი სცენაზე. ისინი გვიჩვენებენ, როგორი არ უნდა ვიყოთ, რადგან საზოგადოებიდან გარიყვა თვითმკვლელობას ნიშნავს. სპექტაკლი უამრავ ფიქრს აღძრავს. იგი ძირითადად საინტერესოა და შემოქმედებითი კოლექტივის გამარჯვებად მიგვაჩნია. მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სადაც რეჟისორი რეჟისორია და მსახიობი — მსახიობი, თეატრი რა პირობებშიც უნდა იყოს, მაინც იტყვის თავის სიტყვას. არც ისე მინდა გავიგონ, თითქოს ვინმეს ჩრდილს ვაყენებდე. მისასალმებელია ისიც, რომ ყურადღებასა და თანადგომას, რომლითაც ახლა გარემოსილია თეატრი, კარგი სპექტაკლით შეხვდა. იმედია, მზრუნველობა არც ხელოვნების სხვა სფეროს მოაკლდება, რომ აღარ შეიქმნება ხელოვნური დაბრკოლება და დამკვიდრდება ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო.

ნოდარ მოდებაძე.

თეატრი

# ცხოვრების პირისპირ

ა. გელმანის დრამატურგიას კარგად იცნობს მაყურებელი. მისი პიესები ადამიანებს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, ზნეობრივი სიწმინდისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებენ.

პიესა „პირისპირ", რომლის დადგმაც ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა მერაბ ლებანიძემ, ა. გელმანის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია როგორც პრობლემატიკით, ისე ფორმით. მისი შინაარსი დამდგმელ რეჟისორს თეატრალური გამომგონებლობის საშუალებას აძლევს. სპექტაკლი, რომელიც მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ფილიპოვმა, იწყება მოხეტიალე მსახიობების შემოსვლით. დარბაზში ისმის თანამედროვე პოპულარული იტალიური სიმღერა „სუზანა" ადრიანო ჩელენტანოს შესრულებით, რომელიც მაყურებელს განაწყობს მაჟორული თეატრალური სანახაობისათვის. სპექტაკლის მუსიკალურ ფონზე შემთხვევით როდი ვამახვილებთ ყურადღებას. რეჟისორ მ. ლებანიძის ჩანაფიქრს აუცილებლად სჭირდება მკვეთრი მუსიკალური ფონი, რომელიც უფრო ღრმად განაცდევინებს მაყურებელს სპექტაკლში წამოჭრილ პრობლემათა სიმძაფრეს. ამ ამოცანის წარმატებით გაართვა თავი აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თენგიზ შამილაძემ.

რეჟისორის ჩანაფიქრი კი მართლაც მოულოდნელ სანახაობას უმზადებს მაყურებელს — ჩვენს წინაშეა თეატრ-ბალაგანი. მსახიობები მარტივი თეატრალური რეკვიზიტების მომარჯვებით მაყურებლის წინაშე, თითქოს ბაზრობაზე ან ქალაქის მოედანზე სახელდახელო წარმოდგენას მართავენ, გაითამაშებენ სცენებს და ისევ განაგრძობენ გზას, მაყურებელს კი საფიქრალსა და საკამათოს უტოვებენ სპექტაკლში მომხდარი ამბის ირგვლივ. ეს, ჩვენი აზრით, ფრიად ორიგინალური რეჟისორული ხერხია, რომელიც პირველად ნახა მაყურებელმა ბათუმის თეატრის სცენაზე და რომლის მიზანია, რაც შეიძლება ღრმად გააზრებინოს მაყურებელს სპექტაკლის არსი.

ამბავი კი, რომლის თითქოს თვითმხილველი და თანამონაწილეა მთელი დარბაზი, შემზარავია როგორც შინაარსით, ისე მისი გმირების იდეური და ზნეობრივი პოზიციებითაც. ამაზე თავიდანვე კარგად მიგვანიშნებს მსახიობ ბ. კუპრეიშვილის მიერ განსა-



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „პირისპირ" ლეილა ჩიბლაძისა და ქაზო კობალაძის მონაწილეობით.
ა. ჩანტლაძის ფოტო.

ხიერებული დემონი, რომელიც მთელი სპექტაკლის აქტიური მონაწილეა. ეს სახე პიესაში არ არის, იგი რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფია და მიზნად ისახავს მოქმედ პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს იდუმალი მმართველი ძალების — ეგოიზმისა და პატივმოყვარეობის ბრმა ინსტიქტების წარმოჩენას. ბ. კუპრეიშვილის დემონი პერსონაჟთა უთქმელი აზრის აღქმის ფუნქციას ასრულებს. სპექტაკლის მსვლელობაში მაყურებელს უმუშავდება გარკვეული კონცეფცია ადამიანში ცნობიერი და ქვეცნობიერი ძალების ურთიერთობაზე, კერძოდ, ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ რაც უფრო დაბალია ადამიანში საზოგადოებრივად ღირებული მოღვაწეობის შეგნების დონე, მით უფრო მეტად ემორჩილება იგი ინსტიქტისა და ეგოიზმის დემონებს. გარეგნულად სერიოზული და საქმიანი ადამიანების სულმდაბლობის გამომზეურებით სპექტაკლის ავტორები წარმოაჩენენ ტრაგიკომედიებით აღსავსე ცხოვრებას.

ეს ადამიანები ჩვენი თანამედროვენი არიან, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, ჩვენთან ერთად შრომობენ და ცხოვრების თავიანთ ფილოსოფიასაც ყოველდღე ჩაგვჩურჩულებენ ყურში, როგორც უცილობელ ჭეშმარიტებას და საქმიანი, ჭკვიანი ადამიანების ცხოვრების ნორმის გამოხატულებას. ისინი ისე მასობრივი და ტიპურნი არიან, რომ დრამატურგი გვიხატავს ზოგადად ქალს და ზოგადად კაცს, რომლებსაც შვილიც ჰყავთ და თითქოს ოჯახიც აქვთ, მაგრამ სინამდვილეში მათი საზრუნავი პირადი გატაცებისათვის სამსახურია. ისინი საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობისა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ყველაფერს სწირავენ, ერთადერთ შვილსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ზნეობრივ პრინციპებსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. ამ ადამიანებისათვის უცხოა საზოგადო მორალი, მაგრამ ისინი საშიშნი არიან უფრო იმით, რომ თავიანთ ამორალური ყოფის მიზეზად „თანამედროვე ცხოვრების კანონებს“, „თანამედროვე ცხოვრების პირობებს“ თვლიან. უკიდურეს კრიტიკულ მომენტში, როცა უკან დასახევი გზა აღარ უჩანთ, დემაგოგიურად აცხადებენ: „ცხოვრებაა ასეთი და მე რა ვქნა“.

„პირისპირ“ ორი პერსონაჟის სპექტაკლია. მოქმედება ცოლ-ქმარს შორის დიალოგის ფონზე მიმდინარეობს. ქალი, რომელსაც აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლუიზა ჯიბლაძე ასახიერებს, ბრალს სდებს მეუღლეს, რომ საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობის შენარჩუნებისა და პატივმოყვარეობისათვის საბედისწერო სამუშაოზე გაუშვა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში მათი ვაჟიშვილიც იყო. მოხდა უბედური შემთხვევა, შვილს ორივე ხელი მოწყვიტა მაღალი ძაბვის დენმა. ლუიზა ჯიბლაძე მოსიყვარულე დედად წარმოგვიდგენს გმირს. არტისტი ღრმად გრძნობს მისი ხასიათის ნამდვილ და ყალბ თვისებებს და შესაბამისად არჩევს მხატვრულ ფერებს ტიპური პორტრეტის დასახატავად. ერთი შეხედვით, ლ. ჯიბლაძის ნატო დადებითი გმირია, რომელიც საკუთარ მეუღლეში ამხელს რობოტს, საკუთარი „მე“-საგან დაცლილ პიროვნებას. იგი კიდევ უფრო შორს მიდის და ცდილობს ახსნას — რატომ არ ან ვერ ათავისუფლებენ ადვილად დაკავებული თანამდებობიდან ანდროსთანა ადამიანებს. აქტიორი აქ ურთულესი ამოცანის წინაშე დგას: გვითხრას სიმართლე და თან გვიჩვენოს, რომ, თავის მხრივ, ნატო ის ადამიანია, რომელსაც საამისო მორალური უფლება არ გააჩნია. მსახიობი ამ და მომდევნო მიზანსცენაშიც, როცა ანდრო კონტრბრალდებებს უყენებს მას, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მაყურებელს ეჭვი არ ეპარება მის შინაგანად არამყარ ზნეობრივ თვისებებში. ანდროს უზნეო გზაზე დაყენებაში თვითონაც ხომ გადამწყვეტი როლი შეასრულა. გმირის ხასიათის ეს გაორება იყო სწორედ ის მთავარი მომენტი, რომელიც მსახიობს უნდა წარმოეჩინა და აკი კარგადაც შეძლო.

კახა კობალაძის გმირი ხელმძღვანელი კაცია, რომელიც ცდილობს პირნათელი იყოს სახელმწიფოს წინაშე და ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ამასთან ამტკიცებს, რომ ადამიანის პირადი ბედნიერება სახელმწიფო დავალების შესრულებას ეწყარება. მაგრამ როგორ ესმის ანდროს პირადი ბედნიერება? ამაზე უნდა გაეცა მსახიობ კ. კობალაძეს პასუხი და, ვფიქრობთ, ახალგაზრდა მსახიობმა სწორად მიაგნო დემაგოგი საქმოსნის ხასიათის გასაღებს. მისი ანდრო ზნედაცემული, კარიერისტი, უპრინციპო ადამიანია, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი წმინდა და ზნეობრივი. გმირის ხასიათის გასახსნელად მსახიობმა კარგად წარმართა სცენა, როცა ხელებგადაჭრილი შვილის ძალურნალ ექიმს გაარშიყებას უპირებს.

ანდროსა და ნატოსთანა ადამიანებს შეუძლებელია მყარი ოჯახი ჰქონდეთ. ამ შეგონებით მთავრდება წარმოდგენა. და იგი უთუოდ დააფიქრებს მაყურებელს. თეატრის გამარჯვებაც ხომ სწორედ ესაა.

**იური ბიბილეიშვილი.**

# დაუკრავს ორკესტრი?

რეჟისორმა მერაბ ლებანიძემ ახალი სპექტაკლი დადგა გ. კაჭარავას პიესის „იმპროვიზაციები ფლეიის ორკესტრისათვის" მიხედვით. რეჟისორი თანმიმდევრულად ანვითარებს მისთვის საინტერესო თემას — ვინ ვართ ჩვენ, ქართველები? როგორია ჩვენი დამოკიდებულებები საქვეყნო საქმისა თუ საკუთარი თავისადმი? ამასთან, ამ ხასიათების ჩვენება აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ფონზე მიმდინარეობს, რაც მერაბ ლებანიძის სპექტაკლებს დრამატულ თეატრში პოლიტიკური თეატრის ნაკადად აქცევს. როცა მერაბ ლებანიძის სპექტაკლებს უყურებთ, ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენებს უყურებთ ტრაგიკულ ან ტრაგიკომიკურ ფორმებში. ამჯერადაც ასეა. სპექტაკლში ასახულია ერთი ორკესტრის ცხოვრება, უფრო სწორად არა ორკესტრის, არამედ ორკესტრანტების ცხოვრება, რადგან ისინი დიდი ხანია არ უკრავენ და, მაშასადამე, ორკესტრიც არ არის. იყოს ორკესტრი და არ უკრავდეს! ეს ტრაგედიაა. ტრაგიკულია რეჟისორის ბედიც სათავეში ჩაუდგეს ორკესტრს, რომლის წევრებს მუსიკისათვის არ სცალიათ. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლება მრავალი სატირულ-იუმორისტული სურათი, მაგრამ ყველაფერი ერთად მხოლოდ ტრაგიკულის შეგრძნებას ბადებს მაყურებელში. რეჟისორი მერაბ ლებანიძე და დრამატურგი გ. კაჭარავა ფიქრისათვის განაწყობენ მაყურებელს: რამ დაშალა და დასცა ეს ორკესტრი ანუ იგივე ჩვენი დღევანდელი ცხოვრება? დაუკრავს ეს ორკესტრი ანუ ოდესმე აეწყობა ჩვენი ცხოვრება, ეშველება რაიმე ჩვენს დღევანდელ ყოფას?

სპექტაკლის მთავარი გმირია მაესტრო, რომელსაც საქართველოს დამსახურებული არტისტი ამირან ტაკიძე განასახიერებს. ათი წლიწადი ელოდა ბათუმელი მაყურებელი ამირან ტაკიძის დაბრუნებას ბათუმის თეატრში. მოვიდა ის და მოიტანა დიდი სიხარული. ა. ტაკიძის მაღალი სამსახიობო კულტურა ამშვენებს ბათუმის თეატრს. დაშლილი ორკესტრის დირიჟორის როლში მსახიობს სულის უდიდესი ენერგია უნდა დაეხარჯა იმისათვის, რომ მომავლის იმედი არ დაეკარგოს მაყურებელს. ის, რაც ახლა სჭირს ჩვენს ცხოვრებას, გულგატეხილობის საფუძველს იძლევა, მხოლოდ, მაგრამ თუ ჩვენს შორის კვლავ არსებობენ ამირან ტაკიძის მაესტროსავით გაუტეხელი და დაუმარცხებელი ოპტიმისტები, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი არ არის დაკარგული. მართალია, სპექტაკლი იმ მთავრდება, რომ ორკესტრი მაინც არ უკრავს, დირიჟორმაც მიატოვა იგი, მაგრამ თავად დირიჟორი არ იღუპება. მთელი წარმოდგენის მანძილზე ამირან ტაკიძის დამოკიდებულება თავის გმირის მიმართ იმის იმედს უნერგავს მაყურებელს, რომ თუ ხალხი (ორკესტრანტები) მოეგება გონს, მაესტრო არ დატოვებს თავის ქვეყანას.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სახალხო არტისტები ხასან მეგრელიძე და მანუჩარ შერვაშიძე. ხასან მეგრელიძის ვეტერანი მუსიკოსი, რომელსაც ახლა ყურთასმენაც ღალატობს, კარგად განასახიერებს იმ კოლექტივის წევრის სახეს, რომელსაც პროფესიული ფუნქცია აქვს დაკარგული. არტისტი საინტერესო ფერებში წარმოგვიდგენს თავის გმირს, რომელიც მაყურებელმა გულწრფელად მიიღო და ბატონი ხასანი სიყვარულის ტაშით დაჯილდოვდა.

საქართველოს სახალხო არტისტის მანუჩარ შერვაშიძის სცენაზე გამოჩენას მაყურებელი სიხარულის მოლოდინით ეგებება ყოველთვის. ეს მოლოდინი ახლაც მთელი სისრულით აუხდა მას; მანუჩარ შერვაშიძე მეზანძრის როლში იმისთანა გმირს ანსახიერებს, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში თითქმის ყოველდღე ვხვდებით, მაგრამ რომლის ფასი ყველამ არ ვიცით, მით უმეტეს ახლანდელ პირობებში. იგი სუფთა და ხალასია ადამიანებთან დამოკიდებულებაში, ამასთან აღსავსეა ჯანსაღი იუმორით და უშუალობით. ეს როლი, მართალია, ეპიზოდურია ამ სპექტაკლში, მაგრამ მსახიობმა მას იმდენი სითბო ჩააქსოვა და იმდენი ლამაზი ფერით შემოსა, რომ მაყურებელმა იგი პოპულარული მსახიობის მორიგ შემოქმედებით გამარჯვებად შეაფასა. დარბაზში რამდენჯერმე გაისმა მადლიერი მაყურებლის ტაში მანუჩარ შერვაშიძის პატივსაცემად.

სპექტაკლი თავიდანვე დინამიურად იწყება და მეტ-ნაკლები ინტენსიობით გრძელდება ბოლომდე. ეს წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა, რომელიც სპექტაკლში უშუალოდ შემოაქვს საქართველოს დამსახურებულ არტისტს როლანდ კაკაურიძეს. მისი პირველი მიზანსცენა თითქოს არ უნდა იძლეოდეს საფუძველს მძაფრი სულიერი აფორიაქებისათვის, მაგრამ მსახიობის დამსახურებად უნდა ვაღიაროთ სწორედ ის, რომ იგი ყოველ მიზანსცენაში მომდევნო ეტაპისათვის ამზადებს მაყურებელს. რ. კაკაურიძე თანმიმდევრულად ანვითარებს ორკესტრის დირექტორის ხასიათს. რ. კაკაურიძის დირექტორი ალექსანდრე ტიპიური მეშჩანია, რომელმაც დააჩქარა ორკესტრის დაშლა, და ახლა სწორედ მისთანებისაგან უნდა განთავისუფლდეს საზოგადოება, თუ მან უნდა ფცოცხლოს.

დასამახსოვრებელი სახე შექმნა ტაკიძის როლში აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ნელი მჟავანაძემ. მისთვის უცხო გამხდარა შემოქმედებითი შრომა. უდარდ მძიმე ტვირთად აწვება მსახიობს სულით ღარიბი პერსონაჟის საინტერესოდ წარმოდგენა მთელი სპექტაკლის მანძილზე. მსახიობმა წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა.

ანალოგიური მიზანი იდგა საქართველოს დამსახურებული არტისტის ნუნუ ხინიკაძის წინაშე. მისი გმირი თიკო თითქოს ყველაზე უჩინარი უნდა ყოფილიყო მუსიკოსების ფონზე. იგი ჩვეულებრივი დამლაგებელი ქალია, მაგრამ მსახიობმა იგი ტიპიურის დონემდე წამოსწია და მთელი წარმოდგენის მსვლელობაში შეუნარჩუნა სათქმელი და სამოქმედო. მისი შინაგანი მწუხარება ორგანულად ერწყმის ყველა დანარჩენის საერთო განწყობილებას.

რეჟისორისა და დასის ერთობლივი შემოქმედებითი ძიებისა და თანამშრომლობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, როცა დრამაში წარმოდგენილი ფაქტიურად ერთსახოვანი მასა, მუსიკალურ სამყაროსთან თვითგარიყულთა სახეები. თავის დროზე ყველამ მიიღო უმაღლესი სამუსიკო განათლება კონსერვატორიაში, მაგრამ ხელოვნების მუშაკთა ცხოვრების დუხჭირმა პირობებმა და იმანაც, რომ, როგორც ჩანს, არც ერთ მათგანში ბუნებით არ იყო მოცემული ხელოვნებისათვის თავდადების ნიჭი, ზოგმა გადამყიდველობას მიჰყო ხელი, ზოგმა სასადილო გახსნა, ზოგმა მეზანძრის პროფესია შეითვისა, ზოგიერთები ქელეხებსა და ქორწილებში უკრავენ. ეს უნიჭოთა მასაა, რომლის ჩვენებით დრამატურგი მკაცრად ამხელს ჯერ საზოგადოებას, რომელიც ვერ უვლის ხელოვნებას, შემდეგ პიროვნებას, რომელსაც ღალატობს პროფესიონალისათვის აუცილებელი სიმტკიცე ხასიათისა. მაგრამ როცა სცენაზე ვუჩვენებთ ამ მასას, თეატრალური ხელოვნების კანონების მიხედვით აუცილებელია ამ მასის თითოეული წევრ-პერსონაჟის მკაცრი ინდივიდუალიზმა, თითოეულის საკუთარი სახე-ხასიათით ჩვენება. ეს სიძნელეც წარმატებით არის გადაწყვეტილი. აჭარის დამსახურებული არტისტის თამილა მეიშვილის, ორკესტრანტიც გულგრილია ორკესტრის მიმართ, მაგრამ იგი მაინც გამოირჩევა ამ მასისაგან იმით, რომ შერჩენილი აქვს ერთგვარი პროტესტის გრძნობა. და ამ გრძნობას დამაჯერებლად წარმოაჩენს მსახიობი. არც აჭარის დამსახურებული არტისტი ლია აბულაძის ნანა აწუხებს ორკესტრის ბედი და მთლიანად პირადი სიამოვნების კანონებით ცხოვრობს. მაგრამ მსახიობის ხალასი ნიჭის წყალობით ამ გმირშიც ისახება მიზეზი ორკესტრის ბედისადმი ინდიფერენტული განწყობილებისა. ასეთ მიზეზებს ორიგინალური მანერებით ეძებენ და პოულობენ თავიანთ პერსონაჟებში აჭარის დამსახურებული არტისტები სერგო ბაზიაშვილი, კახა კობალაძე, ნოდარ იაკობაძე, ნოდარ ძიძიგური, ჯემალ ვერიაძე, მსახიობები ლამარა ზაქარიაძე, ნანა კიკვაძე, ნათელა თავართქილაძე. მსახიობ თამილა მეიშვილის ორკესტრანტის პროტესტზე — რატომ არაფერს გვეკითხებიან, გვსურს თუ არა ახალი მაესტრო? — დამაჯერებელი მამხილებელი ინტონაციით აგებებს საპირისპირო შეხედულებას კახა კობალაძის პაატა: „როცა შეგვეკითხნენ, მაშინ რა ქენით!?" — ეს ერთი ეპიზოდი და სხვა კიდევ არაერთი, რომელიც პროფესიულ დონეზე დამუშავებული წარმოდგენაში, მაყურებლის ყურადღებას წარმართავს იქითკენ, რომ საჭიროა უფრო კრიტიკული პოზიციების გამომუშავება დემოკრატიისა და ცრუდემოკრატიულობანას შორის განსხვავებისათვის. დღეს აღარ კამათობენ დიქტატურის მიღება-არმიღების შესახებ, იგი დაგმობილია ცივილიზებულ საზოგადოებაში, მაგრამ ახლა უფრო საშიში სახით მოგვევლინა, ე. წ. დემოკრატურა ანუ უმრავლესობის, მასის ნაკლებად გაზრდილი და დაუსაბუთებელი, მა-



გრამ მაინც „მასების" გადაწყვეტილება. ცხოვრება გვიჩვენებს და გვარწმუნებს, დიდი ილია ჭავჭავაძის შენიშვნას: სიტყვა კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს. რაც უფრო წინ წავა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საქმე, მით უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება სიტყვის არა რაოდენობას, არამედ წონას. ამ თემას, რომელსაც იწყებენ თ. მეიშვილისა და ქ. კობალაძის პერსონაჟები, ბუნებრივად აგრძელებს მსახიობ ბიძინა მიქაუტაძის პერსონაჟი მაესტროსთან კამათში. მსახიობ ბ. მიქაუტაძის მუსიკოსი ერთადერთია ორკესტრში, რომელიც არ ღალატობს პროფესიას, არ მიელტვის იოლი ცხოვრების ცდუნებას. პროფესიონალი მუსიკოსის უაღრესად დაინტერესებული და დამაჯერებელი სახე დამუშავა მსახიობმა.

მ. ლებანიძის სპექტაკლი კიდევ მრავალი საჭირბოროტო ზნეობრივ, პოლიტიკურად სოციალურ პრობლემებზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას. ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ არის მათ შორის ერთი მწვავე საკითხი, რომელზეც არ შეგვიძლია არ შევაჩეროთ მკითხველის და მაყურებლის ყურადღება, მხედველობაში გვაქვს ჩვენი რეალური ცხოვრების ეკონომიური სიდუხჭირე. ახლა, მართლაც, ყველას უჭირს, ეკონომიკა ქაოსურ მდგომარეობაშია. თვალწინ გვიდგება ცნობილი გამონათქვამი ევლესიასტედან: — ქვეყნის ცხოვრებაში დგება „ქამი ნგრევისა" და ჟამი შენებისა". სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით „ჟამი ნგრევისა" გრძელდება და ვინ იცის, როდის დაგვიდგება „ჟამი შენებისა". ეს წუხილიც გაისმის სპექტაკლში, რომელიც სამართლით იმეორებს ცხოვრებისეულ სინამდვილეს და რომელშიც სულ უფრო იკვეთება ორი პოზიცია: ერთნი ფიქრობენ, რომ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება დაანგრია მონურ საბჭოურ მეურნეობაზე აგებულმა ეკონომიკამ. დაინგრა საბჭოთა იმპერია და ინგრევა საბჭოთა ეკონომიკური წყობა. მეორენი ფიქრობენ: საქართველოს არ შეუძლია საკუთარი რესურსებით ამარა ცხოვრება. რუსეთთან გამოყოფამ დაგვატეხა თავს ეს ეკონომიკური ქაოსი. ესეც თქვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეალური შედეგი — დაამატებენ ნიშნის მოგებით.

ამ კონცეფციებს საკუთარი მხარდამჭერები ჰყავს. მათ შორის მიმდინარეობს ცხარე დავა და დისკუსია. ვის მხარეს უნდა დადგეს ქართველი მამულიშვილი? ცხადია, ქართველი მამულიშვილი თანამედროვე ეკონომიკურ სიდუხჭირეს ვერ დაუკავშირებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგებს. ქართველი მამულიშვილი ვერ დაუშვებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეის დევალვაციას. ამიტომ, როცა ჩვენს დღევანდელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძნელეებზე ვლაპარაკობთ, თეატრმაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას, — სიტყვა აწონილი და მოზომილი.

სპექტაკლის საერთო წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მხატვარ ვახტანგ ბუსელიას სცენოგრაფიას. გარდა იმისა, რომ სპექტაკლი მდიდარია დეკორითა და სხვა სასცენო ატრიბუტებით, წარმოდგენა იწყება მაკროსამყაროდან მიკროსამყაროში შემოსაზღვრის მიმნიშნებელი სცენით: ჩამოიშვება წრეული ფარდა. მაყურებელზე გათვლილი ეს მინიშნება, ჩვენი აზრით, წარმატებით აღწევს მიზანს. მაყურებელი გრძნობს, რომ ის, რაც სცენაზე ხდება, გამოძახილს პოულობს ჩვენს სულში. სცენიური სინამდვილე ჩვენი სინამდვილეა. ჩვენს სულში ზის ამირან ტაკიძის ამაღლებული სულის მაესტროც, ბ. მიქაუტაძის კეთილსინდისიერი მუსიკოსიც, ს. ბაზიაშვილის, ქ. კობალაძის, ლ. ზაქარიაძის მეშჩანებიც, რომელს გავაძლიერებთ ჩვენს სულში და რომელს დავთრგუნავთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციას დავიჭერთ ცხოვრებაში ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დახმარებით.

კარგი მუსიკალური ფონი შეუქმნეს ტრაგი-კომიკურ სპექტაკლს ლია თოფურიძემ და აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თენგიზ შამილაძემ.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი შემოქმედებით ძალებს იკრებს და თავის მაყურებელს აუცილებელ სულიერ საზრდოს უმრავლებს, რაშიც ულავოდ გვარწმუნებს სპექტაკლი „იმპროვიზაციები ფლეიტის ორკესტრისათვის".

**იური ბიბილეიშვილი.**

* * *

სურათზე: სპექტაკლის სცენა
ვ. მითაიშვილის ფოტო.

თეატრი

# სეზონი პრემიერით იხურება

**იშვიათად ხდება, რომ ცენტრალური პრესა თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდეს თეატრს, რომელიც თბილისში არ მუშაობს ან ხაგასტროლოდ არ არის. ამიტომაც გაჩნდა სურვილი ახეთი ტრადიციის დარღვევისა.**

**ბათუმის** თეატრს თავისი ისტორია აქვს და სამწუხაროა, რომ წლების მანძილზე საქართველოს დედაქალაქის მაყურებელი არ შეხვედრია ამ საინტერესო კოლექტივს, სადაც, მართლაც რომ, ბევრი საინტერესო სიახლეა.

ამჟამად თეატრის მთავარი რეჟისორია მერაბ ლებანიძე. მას პირველად შვიდი წლის წინათ შევხვდი და მისმა სპექტაკლებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც საკუთარი სათქმელი ჰქონდა. ახლა იგი თეატრის ხელმძღვანელია.

სპექტაკლი „სიბრძნე სიცრუისა", რომელზეც დღეს უნდა ვისაუბროთ, მერაბ ლებანიძემ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით და ნანა ხატისკაცის ინსცენირებით დადგა.

უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა გამომსახველობითი ფორმის ძიებისას, ნაწარმოების სათაურის ამოხსნა გამოიყენა, როგორც თავისებური ენა — სიცრუისა და რეალობის სინთეზი, თამაში და გაუცხოება. ამიტომაც სპექტაკლში ხშირია ეპიკური თეატრის ელემენტები, რომელიც ჯაზური კომპოზიციების თანხლებით ხანდახან ზონგებშიც კი გადაიზრდება. ეს ის ზოგადი ფორმაა, რომელსაც რეჟისორი ოსტატურად იყენებს, რათა შექმნას სპექტაკლის ერთიანი უწყვეტი რიტმი, სიცრუით დაგვანახოს საკუთარი თავი, რომ სიბრძნე შევიგრძნოთ და საზოგადოების მოაზროვნე წევრებად გადავიქცეთ. წარმოდგენა თითქოსდა სძლევს ასაკობრივ ბარიერს. იგი ყმაწვილთათვისაც შემეცნებითია და მოზრდილებსაც აძლევს დაფიქრების საზრდოს.

რეჟისორი და მხატვარი ანტონ ფილიპოვი გეომეტრიულ გარემოს ქმნიან მართკუთხა თუ ოთხკუთხა დაფების სცენოგრაფიით სხვადასხვა ფერით დაფერილ აბსტრაქტულ სამეფო-სახელმწიფოებს, სადაც იგავები უნდა გათამაშდეს. ხშირად კი ეს დაფები ისევე გამოიყენება, როგორც ჩრდილების თეატრში გასათამაშებელი ეკრანები.

სპექტაკლი იწყება დიდი ქსოვილის ღელვით: ხან ცისფერი, ხან თეთრი და ხანაც წითელი ლაქები ჩნდება მასზე. ეს ცხოვრებისეული მეტამორფოზებია, თითქოს სამყაროს ცაა, რომლის ქვეშაც გათამაშდება სიბრძნე სიცრუის რამდენიმე გაკვეთილი.

ვეზირები: ნოდარ იაკობაძე, ბესო ბარათაშვილი, ნოდარ ძიძიგური, კახა ჩანტლაძე უფლისწულის დაბადების ცნობით იწყებენ სპექტაკლს, შემოდის მეფე — სერგო ბაზიაშვილი მალე გაისმის „უცხო ხმის" — მოგზაურის შეგონება. შემგონებელი საერთოდ ყოველთვის განსაცდელში ვარდება და არც აქ ხდება გამონაკლისი, საბოლოოდ კი „მარადიული მოგზაური" — ავთანდილ ძიძიგური — გამზრდელი გახდება.

როგორც კი გამზრდელი იწყებს იგავის თხრობას, ვეზირები პერსონიფიცირდებიან სხვადასხვა ცხოველში უნებლიედ და ეხმარებიან მოგზაურს სიბრძნის „სიცრუედ" სახილველად ქცევაში, მაგრამ როცა მეფე ცდილობს გაესაუბროს „ბრძენს", ვეზირები კვლავ ჰლიმართებიან მათ შორის. მეფე კი დღენიადაგ იმეორებს: „მე მინდა ჩემი შვილი ბედნიერი იყოს" — ეს ფრაზა მეფის მთავარ სურვილად ქცეულა და უფლისწულიც (დავით მეგრელიძე) გამოჩენას არ დააყოვნებს. იგი ბავშვურად მიამიტად და ცნობისმოყვარედ იწყებს კითხვების დასმას.

მზრდელი და უფლისწული დიდ გზას დაადგებიან. ეს არის ცხოვრების შეცნობის გზა, რომელიც ყოველმა კაცმა თვითონ უნდა განვლოს. სწორედ ამაზე აკეთებენ აქცენტს რეჟისორი და მსახიობები.

იწყება მათი თავგადასავალი, სადაც ყოფილი მეფე და ვეზირები სხვადასხვა პერსონაჟს განასახიერებენ: მაჰს თუ ვირს, ვეფხვს თუ ძაღლს, მგელს, მელას თუ მსახურს; სადაც რეჟისორის მიერ ხშირად ხაზგასმულია, რომ ვეზირებს ყოველთვის უკეთიათ შავი ბაფთები, რომ სწორედ ერთი და იგივე პერსონაჟის მრავალსახეობასთან გვაქვს საქმე, მათ მრავალნიშნა გაუცხოებასთან, ცხოვრებისეული ნიღბების ცვლასთან. რა არ გადახდება უფლისწულს თავის მასწავლებელთან ერთად. იგი ხშირად არა მარტო მაყურებელია სხვათა, არამედ უფრო მეტად მონაწილეც იგავთა.

ვაჭარსა და ყადსაც (როლანდ კაკაურიძე) კი შეხვდება, რომელიც მის ძროხას თხად იყიდის. თავგადასავალი ბევრია, საინტერესო სცენაც მრავლადაა. მსახიობები ხშირად ზონგებსაც კი მიმართავენ, რომ უფრო მეტად გაამძაფრონ ჩვენი ყურადღება. ახალბედებიც და გამოცდილი მსახიობებიც ცდილობენ სახასიათო პერსონაჟები შექმნან. მათ თამაშში იგრძნობა იუმორი, მსუბუქი იმპროვიზაცია და დიდი სიყვარული და პატივისცემა თეატრისა, ამიტომაც მე არც ერთ გვარს განსაკუთრებით არ გამოვყოფდი. ყველა მონაწილე დიდ ენერგიას აქსოვს საკუთარი გმირის სახეში.

სურვილის სახით — კარგი იქნება, თუ კიდევ დაიხვეწება სპექტაკლის პლასტიკური ნახაზი, რაც უფრო გაამდიდრებს ბათუმის თეატრის ამ ახალ წარმოდგენას.

სპექტაკლი მთავრდება და კვლავ გაისმის შეძახილი: „ადამიანი დაიბადა". ახალი ადამიანის დაბადებას ახალი სწავლება უნდა მოყვეს. ან კი დაილევიან მოსწავლენი, რომლებსაც „სიბრძნე სიცრუისა" უნდა აძლევდეს გაკვეთილებს, ხანდახან კი ისეთ ორიგინალურსაც, როგორიც ბათუმის თეატრმა შემოგვთავაზა: პრემიერა ახალ სეზონშიც გაგრძელდება, რადგანაც ამ სპექტაკლით დახურავს თეატრი სეზონს. ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ მას სათანადოდ შეაფასებს და დააფასებს როგორც ბათუმელი, ისე თბილისელი მაყურებელი.

**ლევან ხეთაგური,**
**ხელოვნების ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტი, თეატრმცოდნე.**

**13.**

# თეატრი

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ... ბილეთი

ისეთი ენთუზიაზმი, როგორითაც დღეს თითების თეატრში მუშაობენ, ვფიქრობთ, კომუნისტებსაც შეშურდებოდათ, საინტერესო თეატრია. ხელფასი — არა, დაფინანსება — არა, მაყურებელი — არა, მაინც მუშაობენ! პრემიერებსაც მართავენ, გასტროლებზეც დადიან, ტაში და სახელი ხომ მოიხვეჭეს და ორიგინალური თეატრალური შენობაც მოიპოვეს. ახლა ამ შენობაში სიცოცხლეს აჩქეფებენ ხან სამხატვრო გამოფენით, ხან პრესკონფერენციით, ხან სხვა თეატრების მოწვევით, იქნებ როგორმე მაყურებელს თეატრში ფეხი მიადგმევინონ. პრინციპში, ამ თეატრის მესვეურთ სხვა უკეთესი რა უნდა მოეფიქრებინათ, მტრის თვალის დასავსები თეატრალური ინტერიერი რომ არ მოეცდინათ. ცდილობენ, ცდილობენ მთელი ძალით საქმე აკეთონ. ერთ-ერთი საქმეთაგანი გახლდათ მერაბ ლებანიძის მოწვევა თურქული პიესის „მატრიოშკას" (თუნჯერ ჯუჯენოღლუს) დასადგმელად. მოწვევას ვეძახი თორემ, მას უბრალოდ გულით საყვარელი საქმის კეთების საშუალება მისცეს, რასაკვირველია, ანაზღაურების გარეშე. პრემიერამ ზარ-ზეიმით ჩაიარა, თავად პიესის ავტორის თანდასწრებით, იქვე დაიხარჯა მრავალი საქები სიტყვა, გამოქვეყნდა დადებითი გამოხმაურებაც და... უცებვე მინავლდა სიახლის ცეცხლი. ჩვეულებრივ დღეს კი, როცა ეს სპექტაკლი დაინიშნა, მხოლოდ ერთადერთმა მაყურებელმა დააქცია ოჯახი სამლარიანი ბილეთის ყიდვით, კიდევ კარგი ჩვენს თეატრალებს სხვა ქალაქის მაყურებლები მაინც უმსუბუქებენ ცოტათი დუხჭირ ცხოვრებას. მოკლედ, მაყურებელს დანატრებული მერაბ ლებანიძე სპექტაკლის საჩვენებლად ჯერ თბილისის თეატრალურ სარდაფში მიიწვია რეჟისორმა ლევან წულაძემ, შემდეგ კი ტრაპიზონის სამხატვრო თეატრში ტრაპიზონში საქართველოს კონსულმა ნათე ბანაშმა.




მაყურებელი თეატრში სიარულს?

მერაბ ლებანიძისა არ იყოს, დიდი იმედი არც მე მაქვს.

რაც შეეხება ტრაპიზონში გასტროლებს, ბატონი ნათე ბანაშის გულითადი მასპინძლობის წყალობით მერაბ ლებანიძეს და მის მხლებლებს, მსახიობებს ზაზა გოგუაძეს, ეკა ჩავლეიშვილს, თითების თეატრის რეჟისორს ბესო კუპრეიშვილს თითქმის არ უგრძვნიათ სამშობლოს ფარგლებს გარეთ ყოფნა. ისინი ძალზე თბილ გარემოში მოხვდნენ ამ განათლებული და პატრიოტი კაცის წყალობით (პროფესორი ნათე ბანაში ლაზია, ცხოვრობდა თბილისში, იცის შვიდი ენა და შვიდი წელია საქართველოს კონსულის მოვალეობას ასრულებს ტრაპიზონში). სხვათა შორის, თავდაპირველად სწორედ ის ჩამოვიდა ბათუმში, ტრაპიზონის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელთან ერთად, სპექტაკლ „მატრიოშკას" იგივე „შავი ლირიული კომედიის" სანახავად, რის შემდეგაც უცებ გადაწყვიტა ბათუმელთა ტრაპიზონში მიწვევა, სპექტაკლმა იქაც გრიალ-გრიალით, გაჭედილ და სკამებჩაკვეხებულ დარბაზში ჩაიარა, ორჯერ ქალაქ ორდუდან ჩამოსულმა თეატრალებმა სპექტაკლის თავის თეატრში ჩვენებაც გადაწყვიტეს. ასე რომ, მალე მათ მიწვევასაც მიიღებენ და ქალაქ ორდუში „გაედევნებიან" მაყურებელს ჩვენი რეჟისორები და მსახიობები. ისევ მერაბ ლებანიძის ნათქვამი მინდა გავიხსენო — ჩვენ არსად არ წავიდოდით ბათუმიდან, თეატრში რომ დადიოდეს მაყურებელი. ეს არის უდიდესი სულიერი პრობლემა. ჩვენ იძულებული ვართ ვეძებოთ გზები.

თბილისში ჩასვლისთანავე, როგორც მერაბ ლებანიძემ თქვა, დილის ცხრა საათიდან არ შენყვეტილა ტელეფონის ზარი — კითხულობდნენ რა სპექტაკლი გადიოდა საღამოს. არავინ იცოდა ბათუმის თეატრის ჩასვლის ამბავი, უბრალოდ, აინტერესებდათ, რისი ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ. ყოველ საღამოს, ოთხი დღის მანძილზე, ბათუმელთა სპექტაკლზე დარბაზი გაჭედილი იყო და მაინც, მისი ნახვის მსურველთა რიცხვი კვლავ იმდენია, რომ თეატრალური სარდაფის რეპერტუარში ჩასვეს და დაახლოებით თვეში ერთხელ, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, ბათუმელები რეგულარულად ჩავლენ თბილისში წარმოდგენის საჩვენებლად.

— დავიჯერო ახლა თბილისში უფრო დალხინებულია ხალხი? — ცოტა არ იყოს გაცხარებით კითხულობს მერაბ ლებანიძე და იქვე პასუხობს, — მაგრამ იქ აინტერესებთ თეატრი. ჩვენთან კი წარმოდგენაზე მხოლოდ ერთი ბილეთი გაიყიდა. ფასს არა აქვს მნიშნელობა. მთლად უფასოდაც ვითამაშებთ, ოღონდ მაყურებელი მოვიდეს, მაგრამ ხალხი არ არის დაინტერესებული თეატრით და ეს უბედურებაა, ჩემი აზრით.

ისე, სიტყვაზე რომ დავიჭიროთ ბატონი მერაბი და ვთხოვოთ სიტუაციის გამოსასწორებლად მართლაც გამართოს უფასო სპექტაკლი, საინტერესოა ჯერ მივა და მერე მიეჩვევა თუ არა გზას კი, სამწუხაროდ, ისევ უცხოელები სთავაზობენ და იგი ამჯერადაც თურქეთში მიდის. მერაბ ლებანიძეს იქ პიესის „ბუდე მეცხრე სართულზე" დადგმის წინადადება მისცეს. მან გასტროლებიდან ჩამოიტანა კიდეც თურქულად ნათარგმნი პიესა, რომელსაც შეხედულებისამებრ გადააკეთებს, ხოლო „სამეზობლოში" გადასვლა-გადმოსვლის შემდეგ სექტემბრისათვის პრემიერაც გაიმართება, რითაც ალბათ ისევ ჩვენი ძმები თურქები ისიამოვნებენ. მართლაც რა უბედურებაა, თუ ასე გაგრძელდა, მეშინია ჩვენი ნალოლიავები კულტურის ცენტრი საზღვარს იქით არ გადაჩოჩდეს.

თითების თეატრი პირველი დამოუკიდებელი თეატრალური კოლექტივია ბათუმში, თუმცა ძირითადი, რაც მისთვის აუცილებელი იყო — შენობა აჭარის ხელისუფლების წყალობით მიილო, თავისუფლება საუკეთესო ნიადაგია შემოქმედის თავისთავადობის გამოსამზეურებლად, მაგრამ მასვე ახლავს უამრავი სიძნელე, რომელსაც მტკივნეულად შეეჩეხა ეს ახალი თეატრი არსებობის დაწყებისთანავე. პირველ რიგში მას საკუთარი სახის დამკვიდრება სჭირდება პრობლემატური, საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარით. გაყინული, ბნელში მიგდებული და გულგახეთქილი ხალხის თეატრში მიყვანა მხოლოდ ამ გზით შეიძლება... მაგრამ, მოგეხსენებათ, გენიალურ სპექტაკლსაც კი ეკარგება აზრი, თუ მას ცარიელ დარბაზში ითამაშებენ. მოდით, ეს მოჯადოებული წრე ისევ მაყურებლებმა გავარღვიოთ.

**მარინა მითაიშვილი**

**8 თებერვალი, 2001 წ.**

# ესეც ორი! ანუ ახალი თეატრალური სეზონის მეორე პრემიერა და... ჰამლეტი კაბაში

მარიკა
[illegible]

## პროლოგი

[illegible]



[illegible]

## [illegible]

[illegible]



*თქვენ უნდა შეწყვიტოთ ორი რამის აღრევა - როლების, მთელი პიესებისაც კი, დაფასებისა და გაგების, მათი თამაშში განხორციელების უნარი... მსახიობსა და ავტორს შორის დაახლოებით ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც დურგალს ან კალატოზსა და არქიტექტორს შორის. მათთვის არაა აუცილებელი გაგება.*

ბერნარდ შოუ

*თქვენ კი გაიგეთ, ძვირფასო მკითხველებო?*

ავთროპოსი

ვგულისხმობ ძველი შეცდომების გასწორების და ამ შემთხვევაში ხელოვნებისადმი ახლებური მიდგომის დამკვიდრების სირთულეებს. სპექტაკლში არის მთხრობელი, რომლის შემოყვანა (ყიროდუს პიესის მიხედვით), უდავოდ, ეფექტიანი ხერხია სათქმელის განსამტკიცებლად, იგივე შეიძლება ითქვას მასხარის მხატვრულ სახეზეც (სარტრის «ბუზებიდან» - იუპიტერი), რეჟისორმა შესანიშნავად გათვალა, როცა მას აგამემნონისთვის ათქმევინა: - ცუდი ჰქენი, რომ სიკვდილით დასჯა გააუქმე. მართლაც, ასე რომ მოქცეულიყო აგამემნონი, სიკვდილს გადაურჩებოდა, ხოლო მისი შვილები - შურისძიებას. მაშ, მშობლების შეცდომებს შვილები დანაშაულამდე მიჰყავთ. ანტიკური თეატრისათვის დამახასიათებელი ქოროს ფუნქციის ერთ მსახიობზე (ცირა აბზიანიძე) დაკისრებაც საკმაოდ საინტერესოდ მოფიქრებული და აზრობრივად გამართლებულია.

### რაც შეეხება შემსრულებლებს

მსახიობ ეკა ჩავლეიშვილის პროფესიული შესაძლებლობების რეალიზებისთვის ზედგამოჭრილი გამოდგა ელექტრას ამბოხითა და მტკივნეული ძიებებით აღსავსე სულის გამოხატვა. მისი ხმა შთამბეჭდავად ჟღერს, ყოველი სიტყვა გამოკვეთილია და მგრძნობიარე (თუმცა, ვიმეორებ, ჩვენებისას - უფრო), მოძრაობს ბუნებრივად, თამაშობს დამაჯერებლად, მისი სასცენო ტექნიკა გაკვირვებს ხანგრძლივი უმოქმედობის ფონზე. ეკა ჩავლეიშვილი, შესაძლოა, შეუდარებელი ელექტრა გახდეს, იგი ჩინებული პოტენციალის პატრონია და აღტაცებას იწვევს.

ცოცხალი და საშემსრულებლო ფერებით მდიდარია ავთო ქარჩავას მიერ განსახიერებული მასხარას როლი. იგი თავს ლაღად გრძნობს ამ მხატვრულ სახეში. სასიხარულოა, რომ ნიჭიერ მსახიობს ბოლოს და ბოლოს საკუთარი შესაძლებლობების გამომზეურების საშუალება მიეცა. თავისი თამაშით მან წარმოდგენას უეჭველად მეტი დინამიკურობა შესძინა. არ შეიძლება არ გამოვყოთ ქალბატონი ცირა აბზიანიძის მიერ შექმნილი როლი. მსახიობის გამოცდილებამ და ტალანტმა ძველებურად გაშალა ფრთა და, შესაძლოა, ცოტა უფრო მსხვილ კონტურადაც კი დაიჩნდა სპექტაკლის საერთო სურათს.

საინტერესოა, ახალგაზრდა შემსრულებლის მარინა ბურდულის ქრისოთემისი (ელექტრას და). ეს მისი პირველი სერიოზული როლია პროფესიულ სცენაზე და მნიშვნელოვანი განაცხადიც სტაჟიორი მსახიობისთვის.

ორესტეს სახის შემსრულებელი გოგიტა მეგრელიძე როგორც გარეგნული, ისე აქტიორული მონაცემებით ზედმიწევნით შეესაბამება თავის როლს, კარგი იქნება ცოტა მეტი საშემსრულებლო ტემპერამენტიც რომ ჰქონდეს. ვფიქრობ, მომდევნო სპექტაკლებში ის ნელ-ნელა აინთება და ისეთ მგზნებარე ორესტეს მივიღებთ, რომელიც უფრო მიუხდებოდა სპექტაკლს.

ტიპაჟის მიხედვით მომგებიანადაა შერჩეული კლიტემნესტრას შემსრულებელიც (ნანა კიკვაძე), თუმცა მას მოუხდებოდა მეტყველებაზე უფრო მეტი მუშაობა და საშემსრულებლო პალიტრის გამდიდრება.

რაც შეეხება მთხრობელს - კორიფეს, რომელსაც მსახიობი კახა ჩანტლაძე ასახიერებს უდავოდ კარგ მონაცემებს ამჟღავნებს, მაგრამ ამ როლისთვის საჭიროა მეტი ექსპრესიულობა და სიღრმეც. იმედი დავიტოვოთ, რომ ახალგაზრდა მსახიობი ამას მალე მიაღწევს.

***სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი, პირველ რიგში, მაყურებლის სიმრავლეა. ბათუმელებო, ნუ დაივიწყებთ თეატრს! თორემ, როგორც ჩანს, მერაბ ლებანიძეს მართლაც მოუწევს ისეთი «სპეცეფექტებით» მაყურებლის მოზიდვა, როგორიც, ვთქვათ, აუზიდან მკერდმოშიშვლებული კლიტემნესტრას ამოსვლის სცენაა. ნანა კიკვაძე დაჰპირებია ამ «ილეთის» შესრულებას, მაგრამ ჯერჯერობით გამბედაობა არ ჰყოფნის. თუმცა, თუ მაყურებელს თეატრში მოსასვლელად ასეთი სტიმულიც დასჭირდა...***

ო ქ მ ი №1

1983 წლის 27 იანვარს გაიმართა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ორი საკითხი: პიესა "მეფე ერეკლეს" ესკიზი (მხატვარი [illegible])და ა.ვამპილოვის პიესის დადგმა: რეჟისორი მ.ლემანიძე, ბ.მესხლია, ნ.ნიჟარაძე, მუსიკალური გაფორმება თ.შანილაძის. სხდომას ესწრებოდა სამხატვრო საბჭოს ყველა წევრი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ალ.ჩხაიძე – უპირველესად ყურადღებას იქცევს შემსრულებელთა ტონალობა, მაგრამ აკლია ტრაგიზმი. ეს არის რუსული პიესა და არ შეიძლება რაიმე გადმოქართულება, ეს [redacted] ეხება სახელებს. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა რეჟისორი ეძებს ახლებურ თქმას და სწორედ ეს პიესა აირჩია. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა არ არის ჩვეულებრივი. სწორედ ამიტომ მოითხოვს გარჩევით უნდა მიაქცების ყურადღები. პიესა [illegible] დადგმული, მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორის ეს ნამუშევარი სადიპლომოა. გაუგებარია ფინალი. კვდება თუ არა [illegible] მიტოვი, თუ რამ მიიყვანა იგი თვითმკვლელობამდე.

ე. ჩაიძე – ეს პიესა დაწერილია საზოგადოებაზე, სადაც პიროვნება ცხოვრობს. ერთი მეორეს ატყუებს, ასეთ ხალხში ცხოვრება არ შეიძლება. მნიშვნელობა არ აქვს, კლავს იგი თუ არა თავს, მთავარია ეკუთვნის იმას, ვინც ასეთი პიროვნებაა. ტონალობა სწორია, რომ სიყალბე არ შეიპარის. ფსიქოლოგიურად დამუშავებული პიესაა, ძალზე კმაყოფილი ვარ!.

გ.გოგიბერიძე – ერთმოქმედებიანი პიესები აუტანელი გახდა, მაყურებელი შემოძვრება თეატრში და დამთავრდება თუ არა სპექტაკლი გარბის. მაყურებელს სჭირდება თეატრალობა, რომ თეატრში მოვიდეს. ამასთან გავხდით ძალზე სერიოზულნი. არ გვაქვს კომედია. დარბაზი გაცივდა. ეს სპექტაკლი ყურადღებას იპყრობს, მსახიობები არ ჰყავთ, საინტერესო არიან, მაგრამ უბრალოდ ლაპარაკობენ, საშინელებაა. კაცი თავს იკლავს და ერთი წვეთიც არ გამაშინა, წვეთი საერთოდ სპექტაკლს აკლია. სცენები მაგონებს ეტიუდებს. ერთნაირი სახეებია მუსიკის რიტმს უნდა მიემატოს, თორემ იგი პიესიდან არ გამოდის.

ი.ცანავა – ჩაფიქრებული და გადაწყვეტილი კარგია, მხოლოდ ნაკლი დეტალის ლექსიკური მხარის შედეგია, ცუდია განათება. მსახიობები მართა-ლი არიან. ახალგაზრდებმა დეტალში საკუთარი ინტონაცია მოიტანეს, მაგრამ ზოგჯერ გაუგებარია. აწნალობას ზოგჯერ სჭირდება შეწყობა, უნდა ხვდებოდეს ატოქიზმები. არ არის საბაბი, რატომ მოიცდა თავი. სახეები არისტოკრატ ურთიერთია. შენიშვნები გამოვლინებულია და გვექნება კარგი სპექტაკლები.

ბ.დევდარი – ამ ადამიანების მოქმედებას არ განსაზღვრავს სიყვარული. სიყვარუ-ლი სადღაც არ სჭირდებათ. ინტრიგით ხდება ყველაფერი– ვიღაც ვიღაც არ გაშვება მთელი ქალთან სიახლოვე. ყველანი ავტომატები არიან შეპყრო-ბილი. შიშის და შიშის კაცი რეზიუმეები, რომ არაფერია!

მ.მეავანაძე – მოათვისებანა გმირები უნდა ბევრია ჩვენს საზოგადოებაში. ნარნავთა-რი სიყვარული. რეჟისორის ავტორი კარგად წარმოიდგენს და მხარში ამოუდგენ დამდგმელი ჭკვში. მუსიკა მიგნებულია. მთავრი დანდობან მარცხდება. მიმუსაწმები რეჟისორის ნამუშევარს.

მ.შერვაშიძე – მხატვრობა ძალზე მომეწონა, მან უწყის, რომ ლექსიკურად ბევრი რამ დაამკვიდრა დეტალმა. მსახიობებს ინტონაცია მოგვრებული აქვთ, მაგრამ არის, რიტმი აკლია სპექტაკლს. უნდა გაიწინაროს დეტალური გადასვლები. მამა მოუკვდა იგივე ხასიათია, ვიღაც გაუშვა იგივე ხასიათია. მაყურებელი უნდა მიხვდეს, რა ხდება.

ა.სამსონია – მთავარი გმირი არაფრით განსხვავდება სხვებისაგან, ერთერთი თამაში არ შეიძლება.

გ.აბესაძე – მომწონს რეჟისორის ავტორების კონცეფცია, მომწონს მელოდიურობა სპექტაკლის, მხოლოდ საჭიროა სიმძლავრე კომპლიქტების. ბევრი რამ არის დამუშავებული მთავარ-ქარვაზე. იგი ავითარებს თავის თამაშს. დეტალები უნდა ავტორებია სპექტაკლში.

ბ.ნახარაძე – მთავარი არისტოკრატი გმირი, იგი უნდა იყოს უფრო ვაჟკაცური, მოძრა-ობებში უნდა ჰქონდეს ატმოსფერო, რომ სხვები მასზე დაბლა იდგნენ. ამ სპექტაკლში არ ჩანს, რამ მიიყვანა მთავარი გმირი თვითმკვლე-ლობამდე.

ლ.ღლონტი – ჩაიჩაგვას ტექსტი გაურბის და მისდევს დასაწყისად. არ იგრძნობა წინააღმდეგობები, მხოლოდ სცენაზე არენს თავის თავს და იქაც უფრო ძლიერი უნდა იყოს. ვოლის დიალოგი იმდენად დაკვირვებულია, რომ სარე-პერტუარო ხდება, სანამ უნდა იმედოვნებდეს, რომ ფინალში დამაჯერებელი გახდეს კრაგენში.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : სპექტაკლი "იხვებზე ნადირობის" პრემიერა ნაჩვენები იქნას 29,30 ივნისს და I ივლისს.

ხელი სპექტაკლი გამოირჩევა ესკიზის ავტორ ი.ხუხუნაიშვილის არის ერთი დანადგარი, ჩამოწერილი საქართველოს სხვადასხვა დონეები, რომელიც და-კიდებულია კედლებზე, ჩხრებზე, რომელიც ასრულებს ფარდის როლს, ამჯერა-ობის და მისდევს თუ სად ხდება მოქმედება. გამოყენებული კვარის ფერმა აქცენტირებულია რუსთაველის ზეპირებაზეან. ჩაცმულობა ჯავშნის პრიანგის იმიტირება. ზარები გამოყენებულია ცეკვის, სიტყვის მიხვრ-ბის,, გამოჩენის გამოსახატავად. დანადგარად გამოყენებულია წინაპარ-თა საფლავების ქვები, ნელიანად სვეტი წარმოადგენს ნაჯახარ, ნახრილებს გადამწვარ საქართველოს.

წარმოდგენილი ესკიზი მიღებული იქნას ერთხმად.

სამხატვრო საბჭოს თავ-რე – ლ.ღლონტი

მდივანი – ნ.მიქელაძე



თეატრი

# ქართული ხასიათების კალეიდოსკოპი

პიესის მიხედვით დამაშოშმინებელი ჰქვია ბეოდია ინწკირველის გმირს. რეჟისორმა მას ავოეის ფუნქცია დააკისრა. მავ კოსტიუმში გამოწყობილი სულ გამოღვიძებისაკენ მოუხმობს ადამიანებს, მაგრამ უდროოდ და უადგილოდ. ამიტომ სულ გაქაჩული გაჰყავთ სცენიდან.

შუაგულ ქალაქში დიდის ნადირობის ტროფიალი კაცი და შეგვახსენებს, რომ ტყე გაიჩეხა, ფრინველი გადაშენდა და ეკოლოგიამ მწარედ შეგვახსენა თავი. ეს როლი თავად რეჟისორმა განახორციელა.

ჭეშმარიტი, ძირძველი, ფოლკლორის ძალზე ხალხიც შეთხელდა და ამიტომაცაა, ვაი-ფოლკლორისტებს ვუკრავთ ზოგჯერ ტაშს. ნოდარ იაკობაძის მიერ შესრულებული მომღერალი ხაშდეილი ჩოყლაყია, რომელსაც არც ხმა აქვს და არც სმენა.

მთვრალი, მაგრამ თავმომწონე მუსიკოსის სულ პატარა ეპიზოდური სახე შექმნა ნოდარ ძიძიგურმა.

ზაზა გოგუაძის გოგი ავტორის პროტოტიპია, თავისი ერის უზომოდ მოყვარული გოგის გურამ დოჩანაშვილივით აწუხებს ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ. იგი მოგებიანი სახე არაა, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა ამ როლში გამოავლინა ერთი ყველაზე შესაშური თვისება, რომელიც არც ისწავლება და არც შეიძინება. ეს არის შინაგანი სითბო და ამით მოახერხა მსახიობმა ამ სქემატური ბარიერის გადალახვა.

ასევე სქემატური და ხელოვნურია უნივერსალის როლი, იგი განსაკუთრებით უცხოდ ჩანს ამ ქართულ ხასიათებში. მანუჩარ შერვაშიძე მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს გააცოცხლოს ეს სახე.

ერთადერთი ხასიათი, რომელიც სპექტაკლში განვითარებას განიცდის, აკაკი ს[illegible]ხიძის ერასტია. მოსწყინე, უსაქმური, მოქანცე ახალგაზრდა მაყურებლის თვალწინ დაფიქრებულ, შეყვარებულ მამაკაცად იქცევა. ჯან-ღონით სავსე ერასტი ინვალიდის სავარძლით სეირნობს ეზოში და ახალი ამბების მოლოდინში ლაყბობს და უსაქმურობით გაბეზრებული ხან წიგნებს ედება, ხან ბესარიონის პურ-მარილს უთვალთვალებს, ხანაც არშიყობს. მაშინ თანდათან ილვიძებს მონატრების, სინაზისა და მოქმედების გრძნობა. მსახიობი გვაჯერებს თავისი გმირის სახეცვლილებაში და ერთ-ერთ საინტერესო სახეს ქმნის.

სცენურია ნინო მშველიძის ასისტენტი. იგი ლაღი და თავისუფალია. მისი გაპრანჭული ცივი გოხების ასისტენტი სიყვარულით გაცისკროვნებულ ახალგაზრდა ქალად გადაიქცევა.

სპექტაკლის წარმატება — წარუმატებლობის ბედი ყველას ერთნაირად აკისრია. აქ მთავარი მოქმედი გმირი ხალხია, რომელიც ცხოვრობს ჩვეულებრივი ცხოვრებით, შეგუებული ამ ქვეყნის ავ-კარგს, მხოლოდ შიგა და შიგ მათ ოდნავ აფხიზლებს და აკრთობს რაღაც ამაღლებული ხმა, მაგრამ ის ჯერ კიდევ სუსტია. და აი კომედიური სანახაობის ცოტათი ამაღლებული და პათეტიკური ფინალიც. ყველა მონაწილე, ხორუმის რიტმზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარნი შემართულნი, შეკრულნი, მაყურებელს სიმტკიცის, ერთიანობისა და გატანისაკენ მოუწოდებს.

სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დამდგმელ ჯგუფს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, საქართველოს კომკავშირის და ა. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს ამირან შალიკაშვილს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ანტონ ფილიპოვს, ახალგაზრდა ხელოვანს გია რამიშვილს, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თენგიზ შამილაძეს, რომლებმაც რეჟისორთან და თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად შექმნეს დამაფიქრებელი, უაღრესად ქართული, თანამედროვეობის სუნთქვით გამსჭვალული წარმოდგენა.

აჰ, თან რა ძნელი და თან უბოროტო ხალხი ვართ — აი რას ამბობს სპექტაკლი „ხორუმი — ქართული ცეკვაა“.

**მადონა მჟავანაძე.**

# გულახდილად – სპექტაკლზე



მართლაც, იმაზე მეტი გულწრფელობა წარმოუდგენელია, მემეტ ბათუმის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის მესამეკურსელებმა რომ წარმოადგინეს საკურსო სპექტაკლში „ვთამაშობთ „თოლიას"". ა. გოდერძიშვილის ეს ცნობილი პიესა, თეატრის, ასე ვთქვათ, სამზარეულოს ქებაა და წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კინაღამ დადგა (რეჟისორი ზაზა სახარულიძე) ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე მაშინ ეკრ... რიგითი როლი სპექტაკლის გამომზეურებაში იმდროინდელმა პოლიტიკურ-კონიუნქტურამ მოუღწევებმა ითამაშა. არადა, თუმა, რომელზეც დრამატურგი განსაკუთრებული სიმძაფრით საუბრობს, თეატრისათვის ძალზე აქტუალური დღეს, ამ პერიოდში, როცა ხელოვნებისათვის ფრიად არასახარბიელო გარემოებანია გამეფებული.

ფიცარნაგის ტიპის სახელდახელოდ გამართულ სცენაზე, რისთვისაც სპექტაკლის რეჟისორი, შალვა ჯავახიშვილის ხელმძღვანელი მერაბ ლებანიძე და მისი სტუდენტები ინსტიტუტის რექტორის გიზო ჟორდანიას ემადლიერებიან (ასევე სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისათვის — ქალბატონ მაგული ბაზუნაშვილს), გათამაშდა ემოციებით და სათქმელით დატვირთული დრამა. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმპროვიზებულ, ფარდებით „შემოსაზღვრულ" ინსტიტუტის ფოიეს დარბაზში დღის შუქის ფონზე წარმოადგინეს, მაყურებელი სპექტაკლის გმირთა თანამონაწილე გახდა.

წარმოდგენა მთელი თავისი არსით — დრამატურგიული სიღრმითაც და რეჟისორული გადაწყვეტითაც — დღევანდელობის ტრაგიკომიკური გამოძახილია: „პირდაპირობა უმოკლესი გზაა", „უფულოდ ახე იყო — უნიჭოები მუდამ ჯვარს აცვამდნენ ნიჭიერებს", „რა უფრო სჯობს, იარო პირდაპირი გზით მიზნისაკენ, მაგრამ ეს ყოველთვის დამარცხებაა, თუ მუცელზე ხოხვით, ტყუილით და პირფერობით მიაღწიო მიზანს", — ამგვარი რეპლიკებით უხვად შეიარაღებული მომავალი მსახიობები, აქამდე მეტწილად პროფესიონალიზმის კვალობაზე გვიხატავენ მართალ სურათს, რომლის კურებისას გინდა-არგინდა პარალელებს ავლებ. გული გწყდება გამოუვალობით შესაძლებლობების, პიროვნებათა უფულობით, სიცრუის გარდაუვალობის, გამეფებული გულგრილობის, სიყვარულის იმედგაცრუების გამო. სპექტაკლი, რომელიც ამდაგვარ ფიქრებს და გრძნობებს აღძრავს მაყურებელში, რასაკვირველია, შემდგარია. მე პირადად, წარმოდგენამ „ვთამაშობთ „თოლიას"", რომელიც, ჩემთვის დაუვიწყარი პიესის პროვინციულ თეატრში დადგმის ფონზე ხდება, ადამიანურ ქცევათა თუ ხასიათების შეჯახება, პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობათა ჭიდილი, იმ დროის ტკბილ-მწარე მოგონებანი გამიღვიძა, როცა თეატრში სპექტაკლები იდგმებოდა.

მესამეკურსელების საკურსო დადგმა იმის დადასტურებაც გახლავთ, რომ უფულოდაც შეიძლება ისეთი წარმოდგენის გაკეთება, თეატრს რომ შეეფერება.

რეჟისორი მერაბ ლებანიძე სახსრების დეფიციტს შესანიშნავად ანაზღაურებს სპექტაკლის მამოძრავებელი მექანიზმებით, რომელთა პირობითობა მშვენიერად აღიქმება და სპექტაკლის დინამიკურობასა და გამომსახველობას მატებს.

სტუდენტ-მსახიობები მარიკა მურღულია (არკადინა), გოჩა ხუჩუა (ტრიგორინი), მარინე კომახიძე (ნინა), ლაშა კონცელიძე (ტრეპლევი), ოთარ ქათამაძე (რეჟისორი), რეზიკო ლაგვილავა (დრამატურგი), ლევან თოდრიაძე (დირექტორი), ხატია ჩაშმა (რეჟისორის ცოლი), სოფიკო გოგიტიძე (მსახიობი კაცის ცოლი) ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ და გვაიმედებენ, რომ უახლოეს მომავალში ჩინებული აქტიორები შემატება თეატრს. მათი თამაშისას იკვეთება მეტყველების (დოცენტი მ. თოთიბაშვილი, თ. მურმულია), ცეკვის (დოცენტი დ. ჩოგოვაძე, რ. ჩიქოვანი) პედაგოგთა ნაშრომი. სპექტაკლი მხატვრულად ასევე მესამეკურსელმა სტუდენტმა მ. კუჭავამ გააფორმა, ხოლო მუსიკალური გაფორმება თავად რეჟისორმა შეითავსა.

სპექტაკლის წარმატებამ, რომელსაც მაყურებელი არ აკლდა და მათ შორის იყვნენ ინსტიტუტის რექტორი გიზო ჟორდანია, პრორექტორი ნოდარ ვარშანიძე, ცნობილი მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები და, რა თქმა უნდა, სტუდენტები, რეჟისორს გაუჩინა გარკვეული თეატრის დაარსების იდეა.

**ფიქრია დავლაძე**

**რეზონანსი**

# ახალი სიტყვა ანუ «სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის!»



სამშაბათი, 4-5.06.2013

## განხორციელებული სპექტაკლები ბათუმის სახელმწიფო თეატრში

ა. ვამპილოვი - „იხვებზე ნადირობა“, 1983 წ.

ლ. თაბუკაშვილი - „ათვინიერებენ მიმინოს“, 1984 წ.

შ. შამანაძე - „ღია შუშაბანდი“, 1985 წ.

ა. გელმანი - „პირისპირ“, 1985 წ.

ლ. თაბუკაშვილი - „შენკენ სავალი გზები“, 1986 წ.

შ. შამანაძე - „ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში“, 1987 წ.

ა. სამსონია - „ჩემო კარგო ქვეყანავ“, 1987 წ.

გ. დოჩანაშვილი - „ხორუმი ქართული ცეკვაა“, 1989 წ.

თ. ქურდოვანიძე - „ცისარტყელა ნაცრისფერ ლავაში“, 1990 წ.

მ. ხეთაგური - „თეთრი პალატა“, 1990 წ.

ნ. დუმბაძე - „მზე მხიარული და სევდიანი“, 1991 წ.

სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე სიცრუისა“, 1991 წ.

ნ. დუმბაძე - „კუკარაჩა“,  1992 წ.

გ. კაჭარავა - „იმპროვიზაციები felini-ს ორკესტრისათვის“, 1992 წ.

ვ. დოზორცევი - „ბოლო მთხოვნელი“, 1992 წ.

ა. პუშკინი - „ოქროს თევზი“, 2005 წ.

სოფოკლე - „ელექტრა“, 2005 წ.

გ. დოჩანაშვილი - „ვატერ(პო)ლოო“, 2005 წ.

## ცხინვალის სახელმწიფო თეატრში (ოსურ დასთან)

ფ. გ. ლორკა - „ბერნარდა ალბას სახლი“, 1987 წ.

თ. გიუჯენოღლუ - „მატრიოშკა“ ბ. კუპრეიშვილის „თითების თეატრში“, 2001 წ.

## ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში დადგმული სპექტაკლები

ა. ვამპილოვი - „ოცი წუთი ანგელოზთან“, 2002 წ.

ა. ჩეხოვის მიხედვით - „ვთამაშობთ თოლიას“, 2003 წ.

შ. შამანაძე - „ღია შუშაბანდი“, 2003 წ.

ჟ. ბ. მოლიერი - „ტარტიუფი“, 2004 წ.

ლ. თაბუკაშვილი - „ათვინიერებენ მიმინოს“, 2007 წ.

გ. დოჩანაშვილი - „ვატერ(პო)ლოო“, 2008 წ.

ლ. რაზუმოვსკაია - „ჩვენ ვართ მასწ.“, 2011 წ.

ვ. დოზორცევი - „მთხოვნელი“, 2011 წ.

გ. ლომაძე - „თუთიყუში“, 2014 წ.

ვაჟა-ფშაველა - „სტუმარ-მასპინძელი“, 2015 წ.

ა. წერეთელი - „გამზრდელი“, 2017 წ.

## ერთი განუხორციელებელი იდეის შესახებ

რა აზრი აქვს იდეას, თუ იგი მხოლოდ ი დ ე ა დ ვ ე დარჩება?!

მის განსახორციელებლად მატერიალური რესურსი

შ ე ნ - არ გაგაჩნია და არც ოდესმე გექნება.

ს ხ ვ ა ს - იგი არ აღელვებს ან იმდენად არ აღელვებს,

რ ო გ ო რ ც შ ე ნ ! ! !...

მე არ ვიკადრებ გადავიღო ფილმი - არ ვარ კინორეჟისორი.

მე არ ვიკადრებ დავწერო სცენარი - არ ვარ სცენარისტი.

უბრალოდ, ვთავაზობ იდეას იმათ, ვინც ამ საქმის პროფესიონალია!

პირველი, ვისაც იდეა გავანდე, იყო ბატონი ავთანდილ მახარაძე - ბატონ თენგიზ აბულაძის ნაწარმოების, მსოფლიო მასშტაბით ასე დაუმსახურებლად შეუფასებელი ფილმის - „მონანიების“ მთავარი გმირი (აბელი და ვარლამი).

უდავოა, რომ არსებობდა უხერხულობის მომენტი...

ბატონი თენგიზ აბულაძე უკვე აღარ არის ჩვენთან...

მაგრამ, ვინაიდან დღევანდელი მსოფლიო, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეფუძნება და იმართება „ვარლამის იდეებით“, კარგი იქნებოდა, შექმნილიყო ფილმი ახალი სიუჟეტით, რომელიც იქნება „მონანიების“ გაგრძელება დღევანდელობამდე, პირობითი სათაურით - „მონანიებიდან აღსარებამდე“.

ბატონ ავთო მახარაძეს, როგორც ძველ ბათუმელს, შევხვდი სასტუმრო „ინტურისტის“ კაფეში.

დღეს რატომღაც „ლაუნჯ ბარი“ ჰქვია.

ერქვას, რა...

მაგრამ, ძველი „ინტურისტი“ თავისი კაფეთი უფრო ბათუმური იყო.

მომისმინა რა...

ბატონმა ავთომ მითხრა: „იდეა კარგია, მაგრამ ძალიან რთულად განსახორციელებელი იქნებაო და აუცილებლად ეს იდეა უნდა შესთავაზო ქალბატონ ნანა ჯანელიძესო“ (შემდეგ ბატონმა ავთომ თვითონ გააცნო იდეის არსი ქალბატონ ნანა ჯანელიძეს, რაზეც მიიღო

პასუხი, რომ მისთვის „მონანიება“ დასრულდა მაშინ, როდესაც წავიდა ბატონი თენგიზ აბულაძე).

რას გულისხმობდა ბატონი ავთო, როდესაც მითხრა - რთულად განსახორციელებელი იქნებაო:

„აუცილებელია - არანორმალურად კარგი კინორეჟისორი!

არანორმალურად კარგი სცენარისტი!

აღარაფერს ვიტყვი მატერიალურ რესურსებზეო.

მითხრა კიდევ ისეთი რაღაც, რამაც ძალიან გამაკვირვა - „თუ ეს პროექტი შედგა, კარგი იქნება, თუ ფილმში კახი კავსაძე ითამაშებსო“.

ასეთ რამეს მხოლოდ კარგი ადამიანები და დიდი მსახიობები თუ იტყვიან...

იდეა კი არ მასვენებს...

სახელმწიფოსათვის, მაგალითად „კინოკონცერნისათვის“ ამ იდეის შეთავაზებას აზრი არა აქვს, ვინაიდან იქ სხვა „პრინციპები“ მუშაობენ.

ისე, დღევანდელ ხელისუფლებას ყველას ერთად აღებულს, ერთი ე. შევარდნაძის ოდენობის ალღოც კი არ გააჩნია, რომ განჭვრიტოს, რა მრავალმხრივი სარგებელი შეუძლია მოუტანოს ქვეყანას ამ პროექტმა წარმატების შემთხვევაში...

მაშინ შევარდნაძემ შეძლო დაერწმუნებია სსსკ-ს პრეზიდენტი და „პერესტროიკის“ ავტორი მ. გორბაჩოვი, რომ ფილმი „მონანიება“ აუცილებელი და საჭირო იყო იმისათვის, რომ ხალხს დაენახა და დაეჯერებია, თუ როგორ ინანიებს კომუნისტური პარტია თავის ჩადენილ ცოდვებს...

დღევანდელ ხელისუფალთ კი უფრო მიწიერი, პირადი პრობლემები ადარდებთ და სულაც არ ფიქრობენ, რომ დაუდგებათ „მონანიების“ პერიოდი.

სულ ტყუილად ფიქრობენ...

ძალიან ბევრ ადამიანს გავანდე ეს იდეა, იქნებ და...

ზოგმა გაიცინა...

ზოგმა არ მაკადრა, მაგრამ გულში გაივლო ალბათ - „ეს ვერ არისო“...

რამოდენიმემ პირდაპირ მითხრა - „კარგად ხომ ხარო?“...

ერთი-ორი ძალიან ჩაფიქრებული წავიდა...

მეგობარმა მკითხა - რით დაგეხმაროო? (არ ვიცი, ჩემს დახმარებას გულისხმობდა თუ პროექტის განხოციელებაში დახმარებას) საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე მოწვეულ, ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის უცხოენოვანი ფილმების კომიტეტის თავმჯდომარეს - სერგეი რახლინს ვკითხე აზრი ჩემი იდეის შესახებ და ასე მიპასუხა - რატომაც არაო...

მოკლედ, ვარ ამ იდეის ამარა, რომლის ფაბულაც ესეთია:

## მონანიებიდან აღსარებამდე

ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთი სამხეცე. მოხუცი მამაკაცი ასუფთავებს გალიებს.

მოულოდნელად ის გონებას კარგავს. გადაჰყავთ კლინიკაში.

როდესაც გონზე მოვა, იძახებს ექთანს, სთხოვს წყალს და აწვდის მობილურის ნომრებს.

ეს - აბელ არავიძეა (მსახიობი ავთანდილ მახარაძე).

გაეროს შტაბ-ბინაში ზარებია ორ მობილურზე...

აბელის პალატაში შედის დაახლოვებით 30-35 წლის მამაკაცი.

ცოტა მოგვიანებით - ამავე ასაკის ორსული ქალი.

ორთავენი გაოგნებულები არიან...

აბელ არავიძე სთხოვს მათ, რომ დასხდნენ და მოუსმინონ.

თხრობა იწყება იმ ეპიზოდიდან, როდესაც თორნიკე თავს იკლავს „მონანიებაში“.

სასაფლაოდან დაბრუნებული, გამწარებული აბელ არავიძე იმავე ღამით აიძულებს სიყვარულს თავის მეუღლეს და...

25 წლის შემდეგ.

1980-იანი წლების საქართველოში, ზღვაზე დასასვენებლად, ბათუმში ჩამოდიან დები (ან დაქალები) რუსეთიდან. ერთ-ერთ გოგონას დაუახლოვდება 25 წლის ახალგაზრდა, აბელ არავიძის შვილი, რომელიც ასევე ისვენებს ბათუმში. მათ შორის იწყება ურთიერთობა.

ბიჭის დედა კატეგორიულად მოსთხოვს აბელს, რომ დააშოროს ისინი ერთმანეთს (აბელი უშიშროების მაღალჩინოსანია).

რუს გოგონებს ატოვებინებენ საქართველოს...

აბელის შვილი რამოდენიმეჯერ შეეცდება რუსეთში წასვლას, მაგრამ ვერ ახერხებს მამის გამო.

ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდი...

აბელის მეუღლე გარიგებით მოაყვანინებს შვილს ცოლს, რომელიც მთავრობის წევრის ოჯახიდანაა.

აბელი აქტიურადაა ჩაბმული ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო ქმედებებში და დააჭერინებს თავისი რძლის მამას,

მთავრობის წევრს, რომელიც ფარულად უჭერს მხარს ეროვნულ მოძრაობას.

შეუღლებულებს ერთი წლის თავზე ვაჟი გაუჩნდებათ.

9 აპრილის მოვლენების ატმოსფერო.

აბელმა იცის, ვინ ჩამოფრინდა 9 აპრილს თბილისში და ისიც იცის, რაც მოხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და გამსახურდიას გაპრეზიდენტებას (კარვის ქალების ცეკვა „ნარნარი“) აბელი ტელევიზიით ადევნებს თვალს.

სამაჩაბლოში კონფლიქტის ატმოსფერო...

აბელის შვილს სამაჩაბლოში დაჭრის სნაიპერი და იგი ტყვედ ჩავარდება.

აბელი გამოისყიდის შვილს ტყვეობიდან...

ორი ქართველი ბიჭი ცხინვალში დაიჭერენ სნაიპერ გოგოს, ჩამოიყვანენ თბილისში და მიუყვანენ აბელის შვილს. გოგონა აღმოჩნდება ბათუმში გაცნობილი მისი შეყვარებულის და (ან დაქალი).

რუსი გოგო თავისუფალია და წავა საქართველოდან, მაგრამ იგი არ გაუმხელს აბელის შვილს, რომ მას რუსეთში ეზრდება ქალიშვილი (რომელიც გახდება დიპლომატი, ცოლად გაჰყვება უცხოელს, იმუშავებს ჟენევაში და გაეროში). მას მუდმივი დაპირისპირება აქვს ახალგაზრდასთან, რომელიც საქართველოს წარმომადგენელია.

„სსრკ“-ის დაშლა - გორბაჩოვის გამოსვლა ტელევიზიით.

სამხედრო გადატრიალება და თბილისის ომის ატმოსფერო... (აბელი ერთ-ერთი ორგანიზატორია.)

შევარდნაძის დაბრუნება (აბელი მის გარემოცვაშია).

თვითმფრინავიდან ტრაპზე ჩამოდის თეთრ ცხენზე ამხედრებული პიროვნება (ყოველგვარი პორტრეტული მსგავსების გარეშე).

პოლიტიკის გამო დანგრეული ოჯახების თემა.

აბელის მეუღლე გამსახურდიას მომხრეა. აბელი კი მოსაკლავად დასდევს ზვიადს.

აფხაზეთის ომის ეპიზოდი.

ტყვედ აყვანილ ქართველებს (პირობითად - ჟიული შარტავას ჯგუფი) აიძულებენ რაგბის თამაშს აფხაზებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ, მაგრამ ერთი პირობით: ქართველებმა უნდა ითამაშონ ცალი ხელით (მეორე ხელს აიკრავენ მკერდზე). დაპირისპირებაში უნდა გამოჩნდეს, რა სისასტიკით მოქმედებდნენ მხარეები ომის დროს.

დაპირისპირების მსაჯი - რუსია, ფრაკში და თეთრ ხელთათმანებში.

„თამაში“ მიმდინარეობს ტალახიან, სისხლის გუბეებიან მოედანზე.

პარალელურად, დანარჩენ საქართველოში...

ქართველების ღრეობა და გართობა. დუბაიდან ჩამოფრენილი ქართველების „ჩალიჩი“ - უზარმაზარი ჩანთებით.

რაგბის მოედანზე...

ქართველებს, რომლებიც გაიტანენ ლელოს, მსაჯი აძევებს მოედნიდან. იარაღის გასროლის ხმაზე ვხვდებით, რომ მათ ხვრეტენ.

პარალელურად...

დახვრეტილების რიცხვის შესაბამისი ღვინის ბოთლების დამატებას ითხოვენ რესტორანში მოქეიფე ქართველები. ქართველების გუნდშია აბელის შვილიც, მაგრამ მას გაცვლიან რამოდენიმე აფხაზ ტყვეში.

დაკარგული თაობა...

აბელის შვილი ძალიან განიცდის ამ ფაქტს. აფხაზეთიდან დაბრუნებულს მოშლილი აქვს ფსიქიკა.

კონფლიქტები - მამასთან, დედასთან და მეუღლესთან.

მეუღლე მიდის სახლიდან და მიჰყავს შვილი - ვაჟი, რომელიც დაამთავრებს უშიშროების აკადემიას (აბელი ეხმარება ინკოგნიტოდ). შემდეგ საქართველოს ინტერესებს იცავს ჟენევაში და გაეროში, სადაც მუდმივად უპირისპირდება რუსეთის წარმომადგენელ ქალბატონს.

გამსახურდიას სიკვდილი (ამაშიც აბელის ხელი ურევია).

აბელის მეუღლე, როდესაც ამას გაიგებს - კვდება.

შევარდნაძის გადადგომით გამოწვეული მოვლენების ატმოსფერო...

აბელმა იცის „მიშას“ ხელისუფლებაში მოსვლის წყარო და ახლა უკვე ეხმარება - ნაციონალებს.

კონფლიქტი აბელსა და შვილს შორის, კ ო ნ ფ ო რ მ ი ზ მ ი ს თაობაზე.

აბელი მიიღებს შვილისაგან საკუთარ, ნიღბიან პორტრეტს.

„მ ი შ ა ს“ პერიოდი.

თამაშდება კ ო მ ე დ ი ა დ ე ლ ა რ ტ ე -ს სტილში.

კეთილი სახის ნიღბიანი ჯამბაზი ჩადის არნახულ სისასტიკეებს, თავის გუნდთან ერთად.

2008 წლის ომი.

„მიშას“ გაშლილი აქვს მაგიდაზე „მონოპოლია“-ს მსაგავსი თამაში - „ომობანა“.

ააგდებს კამათელს - დაიპყრობს „ცხინვალს“. ბოლოს წააგებს თამაშს და წაგებულ თამაშს ასაღებს მოგებულად...

აბელს კომპრომატები აქვს „მიშა“-ზე, მაგრამ „მიშა“-საც აქვს კომპრომატები აბელზე.

„ქართული ოცნება“ - „მიშას“ წინააღმდეგ (ქვეყნის ყველა კუთხეში, ქუჩაში გამოსული ადამიანები მღერიან ერთ სიმღერას).

აბელი არჩევანის წინაშეა...

კოჰაბიტაცია...

ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მწვავე დაპირისპირება სატელევიზიო დებატებში და შემდეგ ერთად მოლხენა...

ყოფილი ხელისუფლების წევრების სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პოსტებზე დატოვება, რაც აბელისთვისაც კი გამაოგნებელია... ამიტომ, აბელი უცხოელი კოლეგების დახმარებით იპარება ქვეყნიდან.

ნიუ-იორკის კლინიკა.

პალატაში შეხვედრილი აბელის შვილიშვილები იგებენ, რომ თურმე და-ძმა ყოფილან.

აბელი მოიხსნის ჯვარს და გადასცემს ორსულ შვილიშვილს, მომავალი შვილთაშვილისთვის.

აბელი რჩება პალატაში - მ ა რ ტ ო!...

გადის დრო...

აღმოჩნდება, რომ თურმე ჯვარში ჩ ი პ ი იყო ჩამალული, რომელზეც ინახება კომპრომატები, მსოფლიო პოლიტიკის შესახებ.

ვხედავთ, რომ აბელის შვილთაშვილი კომპიუტერში უყურებს კადრებს, როგორ ეხვევა და კოცნის ბრეჟნევი ბენ ლადენს. როგორი თბილი და საქმიანი ურთიერთობები აქვს ბენ ლადენს ამერიკელ და ევროპელ მაღალჩინოსნებთან.

ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების საიდუმლო შეხვედრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან... აშშ-ს დაზვერვა როგორ „უსმენს“ სხადასხვა მ ე გ ო ბ ა რ ი ქვეყნების ლიდერებს... კომპრომატებს არ უჩანს დ ა ს ა ს რ უ ლ ი...

დღევანდელი მსოფლიო წესრიგის საფუძველი - „ვარლამის“ იდეებია:

ყ ვ ე ლ ა მ - ყ ვ ე ლ ა უნდა მოატყუოს!

ა რ ა ვ ი ნ - ა რ ა ვ ი ს არ უნდა ენდოს!

ყ ვ ე ლ ა ს - ყ ვ ე ლ ა ს ი უნდა ეშინოდეს!

. . .

„ვ ა რ ლ ა მ ი ს“ საქმეს - „ა ბ ე ლ ი“ აგრძელებდა.

„ა ბ ე ლ ი ს“ საქმეს - „მემკვიდრე“ ჰყავს.

ყველაფერი გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა ?!...

გამოდის, რომ ღ მ ე რ თ ი არ არსებობს ?! ... და

ყ ვ ე ლ ა აცხადებს თ ვ ი თ ნ ე ბ ა ს“?!...

ბათუმი,
1991-2017 წწ.

ჰო, გამახსენდა:

ვინც მართალი წესებით ცხოვრობს, ის მიაღწევს - ს ი მ შ ვ ი დ ე ს.

ვინც ამ წესებს არ იცავს, მათ ელოდებათ - ს ი ნ ა ნ უ ლ ი!

ს ი ნ ა ნ უ ლ ი მეუფლება, როდესაც ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში დაწერილ უ. შექსპირის ამ სონეტს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა!

„ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა“.

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ს ე ნ ე კ ა (4 ძვ.წ. 4-65 ახ.წ.) - რომაელი ფილოსოფოსი.

კ.სტანისლავსკი (1863-1938) - რუსი რეჟისორი, პედაგოგი, სამსახიობო თეატრალური სისტემის შემქმნელი.

გ.ტოვსტონოგოვი (1915-1989) - თეატრალური რეჟისორი.

ნ. გოგოლი (1809-1852) - რუსი მწერალი (კლასიკოსი).

ზ.ფროიდი (1856-1939) - ავსტრიელი ფსიქოანალიტიკოსი.

ი.კანტი (1724-1804) - გერმანელი ფილოსოფოსი.

ჯ.სტრელერი (1921-1997) - იტალიელი თეატრალური რეჟისორი.

დ.იუმი (1711-1776) - შოტლანდიელი ფილოსოფოსი.

მ.თუმანიშვილი (1921-1996) - თეატრის რეჟისორი და პედაგოგი.

ა.ეფროსი (1925-1987) - რუსი რეჟისორი.

პ.ბრუკი (1925) - ინგლისელი რეჟისორი.

ფ.შალიაპინი (1873-1938) - რუსი ოპერის მომღერალი.

პ.შტაინი (1937) - გერმანელი თეატრალური რეჟისორი.

ლ.პირანდელო (1867-1936) - იტალიელი მწერალი.

ვ.მეირხოლდი (1874-1940) - რუსი თეატრალური რეჟისორი.

პიტერ ო' ტული (1932-2013) - ბრიტანელი მსახიობი.

ი. ლუბიმოვი (1917-2014) - რუსი თეატრალური რეჟისორი.

ე.ვახტანგოვი (1883-1922) - თეატრის რეჟისორი.

ჟან დე ლა ბრუერი (1645-1696) - ფრანგი მორალისტი.

პლატონი (427-347 ჩვ.წ.ა.) - ბერძენი ფილოსოფოსი.

ჟან ლუი ბარო (1910-1994) - ფრანგი რეჟისორი და მსახიობი.

უ.ჩერჩილი (1874-1965) - ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე.

ა.დიკი (1889-1955) - რუსი რეჟისორი.

ა.ბერგსონი (1859-1941) - ფრანგი ფილოსოფოსი.

ს.კერკეგორი (1813-1855) - დანიელი ფილოსოფოსი.

ლ.ტოლსტოი (1828-1910) - რუსი მწერალი (კლასიკოსი).

მ. ოსტროგორსკი (1854-1921) - რუსი პოლიტოლოგი.

ნ. ბერდიაევი (1874-1948) - რუსი ფილოსოფისი.

რ.უ. ემერსონი (1803-1882) - ამერიკელი ესეისტი.

„კომუნიზმში“ - ვ ე რ  ვ ი ც ხ ო ვ რ ე თ!

ვ ი ც ხ ო ვ რ ე თ - „უძრაობის ხანაში“

„პერესტროიკამ“ დ ა შ ა ლ ა „ს ს რ კ“

დ ა

ქართველებმა ჩავთვალეთ, რომ

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი  ვ ა რ თ?!

**„ყოველ ნაბიჯში გზის დასასრულს უნდა ხედავდე“**
**რ.უ. ემერსონი**